

ადრეული ინკლუზიური განათლება

სახელმძღვანელო
პრაქტიკოსებისათვის

ნაწილი მეხამე

რას უნდა ვითვალისწინებდეთ ხარისხიანი
ინკლუზიური ადრეული განათლების
შესაქმნელად

1. სარჩევი

წიგნში, აღწერილი ინკლუზიური განათლება, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და ავტორების ცოდნასა და გამოცდილებას დაყრდნობით, აღწერილია ხარისხიანი აღწერილი განათლების მრავალი ასპექტი. ავტორების ღრმა რწმენით, ხარისხიანი აღწერილი განათლება, თავისი არსით, ინკლუზიურია. ასე რომ, სახელმძღვანელოში, რომელიც ვ ნაწილისგან შედგება, მიმოხუთია ისეთი საკითხები, როგორცაა: აღწერილი განათლებისა და განათლების მნიშვნელობა, ხარისხიანი აღწერილი ინკლუზიური განათლების ორგანიზაციული პრაქტიკა, პასუხისმგებლობები და როლები აღწერილი განათლებაში, მშობლისა და ოჯახის ფაქტორი, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება ბაღში, ხარისხიანი პრაქტიკის შეფასება და მონიტორინგი (პირველი ნაწილი).

სახელმძღვანელო მთელი ნაწილი საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიძლება შექმნა სოციალური, ემოციური, შემეცნებითი, კომუნიკაციური, ფიზიკური და სენსორული თვალსაზრისით მხარდაჭერილი გარემო ყველასთვის.

წიგნის მესამე ნაწილი განხილულია სხვადასხვაგვარი საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვის წარმატებულ მაგალითები, რომლებიც საქართველოს ბაგა-ბაღების რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. უცხოურიდან თარგმნილია მხოლოდ ორი შემთხვევა – „ბოდიში“ და „სარა“, რადგან ისინი ბავშვზე ზრუნვისა და მშობლებთან ურთიერთობის განსაკუთრებულ ნიშნებს იძლევა.

ვიმედოვნებთ, რომ წიგნის მესამე ნაწილი აღწერილი ყველა შემთხვევა ბაგა-ბაღის აღზრდელ-კედანობებს და სხვა პროფესიონალებს (მეთოდისტებს, სპეციალური განათლების მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს, მეტყველების თერაპევტებს) დაეხმარება პრაქტიკის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ამ მაგალითების აღწერისას განული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თბილისის მე-100 საბარო ბაგა-ბაღის თანამშრომლებს, მკაპ ფალავანდიშვილს და მანანა ხუციშვილს, ასევე მაკლენის ასოციაციას და ამ ასოციაციის ოკუპაციურ თერაპევტს, ნინო ჩუბინიძეს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველასთვის, ვისაც რაიმე პირდაპირი ან ირიბი შეხება აქვს აღწერილი განათლებასთან, იქნება ეს გადაწყვეტილებების მიღები პირი, აღწერილი დაწესებულებების ორგანიზებასა და მართვაზე პასუხისმგებელი პირი, ხარისხის მაკონტროლებელი, უშუალოდ ბავშვებთან მომუშავე ადამიანი, თუ მშობელი.

წიგნი სასარგებლო რესურსია აღწერილი განათლებისა და განათლების მიმართულების აკადემიურ პროგრამებში ჩართული მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო მოგზადდა, განათლების, მენეჯერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, როგორც სამინისტროს ერთ-ერთი რესურსი აღწერილი განათლების სფეროში.

სახელმძღვანელო შექმნა საქართველოს პრეზიდენტის ასოციაციისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა საქართველოს ბაგა-ბაღებში“ ფარგლებში, ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით.

ავტორები წიგნის შექმნის პროცესში მიღებული რჩევებისა და მოსაზრებებისათვის მადლობას უხდინან აღწერილი განათლების სფეროს მქსპერტებს: სიმუს ჰეგარტისა და დრაგანა სრეტიწოვს.

დავითი ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი	5
წიგნი უკიდურესი სიმორცხვე და შფოთვა	9
ლევანი ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები	18
თინა ინტელექტუალური დარღვევა, დაუნის სინდრომი	27
ლუკა აუტიზმი	31
ანანო მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეები	36
კოტე ცერებრული დამბლა	42
ლიზი სმენის სირთულეები	52
ირაკლი მხედველობის სირთულეები	56
მარი დედის შფოთვა და არტიკულაცია	62
დარი მინიშნებები წერა-კითხვის შესაძლო სირთულეებზე	64
სანდრო ენობრივი განვითარების სირთულეები	68
ელენე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებები	70
“ბოდიში” ბავშვებს შორის კონფლიქტის მოგვარება და მშობელთან საუბარი	72
სარა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა	77

1. დავითი

ჰიპერაქტივობა, ყურადღების დეფიციტის სინდრომი

სამი წლის და ათი თვის დავითი ახალი მისულია სოფლის ბაღში. ჯგუფში ორმოცი ბავშვი და ორი უფროსია. ოთახი პატარაა, სადაც ადგილი, ძირითადად, მაგიდებსა და სკამებს უკავია. მათ როგორც კვების, ისე აქტივობების დროს იყენებენ.

როგორც აღმზრდელ-პედაგოგი ამბობს, დავითი ბავშვებითა და სათამაშოებით მხოლოდ რამდენიმე წუთით ინტერესდება. თვლის, რომ დავითს არ აქვს გამორჩეული სათამაშო, ან საყვარელი აქტივობა. მოუსვენარია და დიდი ჯგუფური აქტივობებისას წყნარად ვერ ჩერდება, ვერც სკამზე და ვერც ნოხზე. სწრაფად გადაადგილდება ოთახშიც და ეზოშიც. არ მოსწონს, როდესაც აჩერებენ. არ ასრულებს აღმზრდელ-პედაგოგის არცერთ მითითებას. როდესაც ზის, შეუჩერებლად ამოძრავებს ფეხებს და ხელებს. უზღვავე ენერჯია აქვს. ბედნიერი ბავშვია და იშვიათად ტირის, ისიც მაშინ, როდესაც აღმზრდელ-პედაგოგი მის გაჩერებას ცდილობს და ზღუდავს. არ ყავს გამორჩეული მეგობარი ჯგუფში და არ მონაწილეობს ისეთ თამაშებში, სადაც ჯერის დაცვა მოეთხოვება.

აღმზრდელ-პედაგოგი არ არის დარწმუნებული, რა და რამდენად ესმის, რადგან არცერთ მითითებას არ ასრულებს. როდესაც საუბრობს, ძნელია მისი სწრაფი მეტყველებიდან ცალკეული სიტყვების გარჩევა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებათ, რომ არ ისმენს წაკითხულ ან მოყოლილ ამბებს. იგივეა სიმღერის დროსაც, მაგრამ რიტმის შესაბამისად კი მოძრაობს.

დავითის მშობლებიც იგივეს ამბობენ მის ქცევაზე, სათამაშოებთან და ადამიანებთან მის მიმართებაზე. ისინი ასევე ამბობენ, რომ დავითი სულ მოძრაობს. ჭამის დროსაც მოუსვენარია და არასდროს ასრულებს ბოლომდე საკვებს. ძნელია მისი დაბანა და ჩაცმა. სძინავს უფრო ნაკლები, ვიდრე მის თანატოლებს და დაძინების პერიოდი ბრძოლაა. მუდმივად საჭიროებს მეთვალყურეობას, რადგან შესაძლებელია, სახლიდან ან ეზოდან სწრაფად გავარდეს. ძნელია ხელის ჩაჭიდება სეირნობისას, რადგან წინააღმდეგობის განევა იცის.

მშობლებს უთხრეს, რომ დავითი შესაძლებელია, ჰიპერაქტიური იყოს. თუმცა, ამ დიაგნოზის დასმა ოთხ წლამდე არ ხდება. მშობლებმა ნახეს, რომ დავითის ქმედებები ამ დიაგნოზის ერთ-ერთ კრიტერიუმში ჯდება - ასეთი ქცევა, სახლის გარემოში, ექვს თვეზე მეტია რაც აღენიშნება. ბაღის გარემოზე იგივეს ვერ იტყვიან, რადგან ბაღში ახალი დანყებული აქვს სიარული.

მშობლებმა უკვე იციან, რომ დავითის ჰიპერაქტივობის ერთ-ერთი რისკ ფაქტორი შეიძლება, მისი დღენაკლობა იყოს. თუმცა, სხვა რისკ ფაქტორები არ აღენიშნება. მისი წონა დაბადებისას ტიპური განვითარების ზღვარზე იყო. დედა არ ეწევა, ფეხმძიმობისას ალკოჰოლზე დამოკიდებული არ იყო და ასევე, დავითს არ აღენიშნება რაიმე სახის თავის ტვინის ან სხვა სახის ტრავმა, დაავადება, რაც ისეთ ნევროლოგიურ პრობლემებს იწვევს, როგორცაა ენცეფალიტი. ასევე არ არსებობს ისეთი რამ, რაც დამატებით გვაფიქრებინებს ჰიპერაქტივობის

გამომწვევ მიზეზებზე, როგორცაა ჭარბი შაქრის მიღება, ტელევიზორის შეუზღუდავი ყურება, ან სტრესულ გარემოში ყოფნა. ასეთ ფაქტორებს არ შეუძლია ჰიპერაქტივობის გამოწვევა, ეს ფაქტორები მხოლოდ ამწვავებენ აქტიურ ქცევას. მათ ასევე უთხრეს, რომ შეიძლება ჰიპერაქტიულობა ასაკთან ერთად შემცირდეს, ან - არა. ისინი აცნობიერებენ, რომ ძნელია, ამ ასაკში დიფერენცირება მოახდინო სკოლამდელი ასაკის ტიპურ აქტიურ ქცევასა და ჰიპერაქტივობას შორის. ასევე რთულია, განასხვავო ჰიპერაქტივობა ქცევითი სირთულეებისგან. ზოგიერთ ბავშვში ჰიპერაქტიური ქცევა მხედველობის, სმენის ან ძილის დარღვევით არის გამოწვეული. ყველაფერი ეს დამატებით გამოკვლევას საჭიროებს, სანამ დიაგნოზს დასვავენ.

აღმზრდელებს აუხსნეს, რომ ჰიპერაქტივობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება და ამ ფორმებს სხვადასხვა მახასიათებლები აქვს. ასეთი ფორმებია: ა) უყურადღებობა, ბ) ჰიპერაქტივობა-იმპულსურობა და გ) კომბინირებული, ანუ უყურადღებობა, ჰიპერაქტივობა და იმპულსურობა ერთად. აღმზრდელებს ურჩიეს, ჩანაწერები ეწარმოებინათ დავითის ქცევაზე, რაც სპეციალისტებს დიაგნოზის დასმაში დაეხმარებოდა. მათ სთხოვეს, დაკვირვებოდნენ:

უყურადღებობის მახასიათებლებს, როგორცაა:

- შეცდომები უყურადღებობით, ან დეტალებზე ყურადღების არ მიქცევა
- ყურადღების შენარჩუნების სირთულეები
- მოსმენის სირთულეები
- ინსტრუქციების მიყოლის სირთულეები
- ორგანიზებულობასა და მონესრიგებულობასთან დაკავშირებული სირთულეები
- ისეთ ამოცანებზე ან საქმიანობებზე თავის არიდება, რაც დაფიქრებას საჭიროებს
- ნივთების დაკარგვა
- ყურადღების გაფანტვა
- ყოველდღიურობაში გულმავიწყობა

ჰიპერაქტივობის, იმპულსურობის მახასიათებლები

- ხელების და ფეხების წვალება, სკამზე წრიალი
- მოუსვენარი ჯდომა
- ბევრი სირბილი და ძრომიალი
- სულ მოძრაობაში ყოფნა
- გადაჭარბებული ლაპარაკი
- პასუხების წამოძახება, სანამ კითხვას დაასრულებენ
- ჯერის და რიგის დაცვის სირთულეები
- სხვის საუბარსა და საქმიანობაში უცაბედი შეჭრა

როდესაც აღმზრდელებმა ამ ნუსხას დახედეს, გამოთქვეს აზრი, რომ ბავშვების უმეტესობას მსგავსი ქცევები ახასიათებს. შემდეგ იმჯელებს და გააცნობიერეს, რომ ეს ბავშვები, მათი დახმარებით, საკუთარ თავს აკონტროლებენ და ქცევების

უმეტესობა არ ვლინდება. აღმზრდელებს ისიც აუხსნეს, რომ ჰიპერაქტიულ ბავშვებს სკოლამდელ ასაკში ცნებების დასწავლის სირთულეები აქვთ. მათ გადანიშნეს, ცნებები ბევრჯერ გაიმეორონ და სხვადასხვა შეგრძნებების: მხედველობის, შეხების, სმენის, მოძრაობის და გემოს გამოყენებით ასწავლონ. სწავლებისას, განსაკუთრებით ფრთხილად მოეკიდებიან მხოლოდ მხედველობის ან სმენის გამოყენებას, რადგან ჯერ კიდევ გაურკვეველია, არის თუ არა დავითის პრობლემები მხედველობის ან სმენის დარღვევით გამოწვეული. ასევე, დიაგნოზის დასასმელად, მშობლებმა და აღმზრდელებმა დავითის ქცევის შესახებ კითხვარები უნდა შეავსონ, რომ პროფესიონალებს საკმარისი ინფორმაცია ჰქონდეთ.

აღმზრდელებს უთხრეს, რომ ერთ-ერთი ეფექტური ინტერვენცია მშობლების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვაა, რაც მათ ასწავლის, როგორ დაუჭირონ დავითის პოზიტიურ ქცევას მხარი, როგორ ასწავლონ და განუმტკიცონ პოზიტიური ქცევა. მსგავსი პროგრამები მათ რაიონში არ არის, ამიტომ გეგმავენ, დავითს პოზიტიური ქცევები ბაღში ასწავლონ. როდესაც ნახავენ, რომელი ტექნიკა ყველაზე შედეგიანი, მშობლებსაც გაუზიარებენ, რადგან ერთი და იგივე მიდგომები ბაღში და სახლში ყველაზე ეფექტური იქნება დავითისთვის. ასევე გეგმავენ მშობლებთან კარგი კომუნიკაციის შენარჩუნებას, წარმატებების, სირთულეების უფრო რეგულარულ და ინტენსიურ გაზიარებას, ვიდრე ამას სხვა მშობლებთან აკეთებენ.

დამატებით კიდევ რასაც უნდა დააკვირდნენ აღმზრდელები, დავითის რომელი ქცევა ყველაზე შემანუხებელი ბავშვებისათვის; და რას ართმევენ ბავშვები თავს დამოუკიდებლად. როდესაც ჯგუფურ აქტივობებს ან წყვილებში მუშაობას დაგეგმავენ, დავითს ისეთ ბავშვთან დააწყვილებენ, რომელიც კარგად უმკლავდება მის ქცევებს.

აღმზრდელები დიდი ჯგუფური აქტივობისას დავითის მეტყველების ტემპის სამართავად მუსიკას გამოიყენებენ და ამ აქტივობაში სხვა ბავშვებსაც ჩართავენ. ბავშვები მუსიკის ტემპის შესაბამისად ლაპარაკს ანელებენ ან აჩქარებენ, სიტყვებს და ფრაზებს წაიმღერებენ. ამ გზით ისინი გააცნობენ ცნებებს: სწრაფი და ნელი. ასევე დაუმატებენ მოძრაობებსაც, როგორცაა წრეში სირბილი სწრაფი მუსიკის თანხლებით და მუცელზე ხობვა- ნელი მუსიკის ფონზე; ან სწრაფად და ნელა ტაშის დაკვრა.

აღმზრდელებმა ოთახის მონყოფაზეც იფიქრეს და გადანიშნეს, გასასვლელ - გამოსასვლელები გაეთავისუფლებინათ, რომ დავითს თავისუფლად შეძლებოდა სწრაფად და უსაფრთხოდ მოძრაობა. მათ გადანიშნეს, ცენტრები მინიშნებებით და მაღალი ბარიერებით, ან ფერადი მარკერებით გამოეყოთ.

იმისათვის, რომ ბავშვებს და დავითს შეახსენონ, რომელ ცენტრში უნდა იყვნენ მშვიდად, აღმზრდელები ცენტრებში სიმშვიდის და ხმაურის მინიშნებებს განათავსებენ. ამასთან, ცენტრში შესვლის წინ, დავითს ვერბალურ მითითებასაც მისცემენ.

გარეთ დავითს ნებას დართავენ, თავისუფლად ირბინოს და ენერგიულად, სწრაფად იმოძრაოს და ითამაშოს. ასევე, დასვენების დროს, თუ სხვა ბავშვებს თავს მოაბეზრებს და ხელს შეუშლის, გარეთ გაიყვანენ. თუ სხვაზე ადრე დაასრულებს ჭამას, ნაცვლად იმისა, რომ მათ დაელოდოს, რაიმე აქტივობას შესთავაზებენ. აღმზრდელების მიზანი იქნება, დავითმა დასვენების დროს, ჩუმად თამაში ისწავლოს, დაელოდოს სხვებს სადილის და სამხარის დროს. მათ ესმით, რომ ეს დროს მოითხოვს და ამის სწავლება მხოლოდ პატარა-პატარა ნაბიჯებით იქნება შესაძლებელი. თავდაპირველად ნებას დართავენ, ოთახში მცირე ხანი დაჰყოს, სანამ ძალიან ამოძრავდება, ან წუთობრივად გაზრდიან ოთახში ყოფნის დროს. იგივე ტექნიკას გამოიყენებენ კვებისას - სხვა აქტივობაზე მისი გადაყვანა, როდესაც მოუსვენრად დაიწყებს მოძრაობას.

აღმზრდელებმა, მშობლების ნებართვით, ბავშვებს აუხსნეს, რომ დავითს მუდმივი მოძრაობა სჭირდება. მათ წაახალისეს ბავშვები, დავითს დაეხმარონ საგნებზე ყურადღებით დაკვირვებაში, მოკლენიან თამაშებში, წიგნების ერთად დათვალიერებაში.

ჯგუფთან ერთად აღმზრდელებმა დავითს ჯგუფის წესებიც გააცნეს. ერთ-ერთი წესი, რომელიც ბავშვებმა მოიფიქრეს, კარგ მოსმენას ეხებოდა - საუბრის არ შეწყვეტინებას. აღმზრდელებმა დაგეგმეს, რომ დავითს ყოველ დილით მიიყვანენ წესების დაფასთან შესახსენებლად, რადგან იცინან, როგორ უძნელდება დავითს ამ წესის დაცვა აქტივობებისას. ისინი ყოველ ჯერზე შეახსენებენ მას და შეაქებენ, როცა არ შეწყვეტინებს და მოუსმენს. აღმზრდელებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ შედეგის მისაღწევად აქაც დროა საჭირო. თუ დავითს მეტი დახმარება დასჭირდება, ცხრილსაც გააკეთებენ, სადაც თვალსაჩინოდ აღრიცხავენ და დავითს აჩვენებენ წარმატებებს. იმ დღეებში, როდესაც სხვების მოსმენას შეძლებს, შინ “სასიხარულო ცნობას” - გალიმებულ სახიან ბარათს გაატანენ. როცა პირველად დავითმა ასეთი ბარათი დაიმსახურა, ბედნიერი და ამაყი იყო.

2. ნიშნები

უპიღურესი სიმორსხვე და შფოთვა

ოთხი წლის წინოს ბაღში სხვებთან ურთიერთობის პრობლემები აქვს. მშობლებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ის შინ კარგი მოსაუბრე, სოციალური და მეგობრულია, უცხო სიტუაციებში კი - უკიდურესად მორცხვი. ბაღში, ძირითადად, თავისთვის თამაშობს, დადის ან სხვების თამაშს შორიდან უყურებს. ხელს არავის უშლის, ინიციატივას არაფერში იჩენს. მთელი დღის განმავლობაში რამდენიმე სიტყვას თუ იტყვის, ისიც მაშინ, თუ პირდაპირ მიმართავენ. გამორჩეულად არავისთან მეგობრობს. სახლში ბაღის ამბებზე კი ბევრს საუბრობს.

არსებობს ორი ტიპის სოციალურ-ემოციური სირთულეები. ერთი, რომელიც გადაჭარბებული კონტროლით ხასიათდება, როგორცაა შფოთვა, დეპრესია, სოციალური გარიყვა, მორცხვობა, დაბალი თვითშეფასება, სომატური (ფიზიკური) ჩივილები; და მეორე, გარეთ მიმართული ქცევები, როგორცაა აგრესია, იმპულსურობა, დაუმორჩილებლობა. პირველი ტიპის სოციალური და ემოციური სირთულეები, განსხვავებით გარეთ მიმართული ქცევებისგან, უფროსებისთვის ნაკლებად შესამჩნევია. ამგვარი სირთულეების სიმპტომები განსაკუთრებით რთულად ამოსაცნობია ადრეულ ასაკში, როდესაც შინაგანი განცდების და მდგომარეობის აღწერის უნარი ნაკლებად არის განვითარებული ბავშვებში.

რითი ხასიათდება მორცხვობა

მორცხვ ბავშვებს, ძირითადად, ქვემოთ ჩამოთვლილი ქცევებიდან რამდენიმე ახასიათებთ, ისინი:

- ✓ საკუთარი ნებით ძალიან ცოტას ან საერთოდ არ მეტყველებენ
- ✓ მიყვებიან მითითებებს, მაგრამ არ პასუხობენ
- ✓ ცდილობენ თავის არიდებას, როცა სხვები მიმართავენ
- ✓ აკვირდებიან, მაგრამ არ უერთდებიან ბავშვების თამაშს
- ✓ თვალთ კონტაქტს ერიდებიან
- ✓ ხმადაბლა ლაპარაკობენ
- ✓ იშვიათად გამოხატავენ ინიციატივას და აქტივობებისას ძირითადად უკანა ან ბოლო რიგში არჩევენ დარჩენას.

აღმზრდელებმა თანაშემწესთან ერთად გადაწყვიტა, რამდენიმე დღის განმავლობაში, სხვადასხვა სიტუაციაში დაკვირვებოდა წინოს, მეტი რომ გაეგო მის შესახებ და ენახა:

- ✓ რა ტიპის თამაშები იქცევს მის ყურადღებას
- ✓ რა აინტერესებს
- ✓ ვის თამაშს აკვირდება
- ✓ გაეგო, რისი თამაში უყვარს სახლში და აქვს თუ არა საყვარელი წიგნი, სათამაშო

- ✓ დაკვირვებოდა და ჩაენიშნა ემოციური მდგომარეობის ცვლილებებზე მიმანიშნებელი ქცევები. ასეთი შეიძლება იყოს სახის გამომეტყველების ცვლა, სხეულის ენა.
- ✓ ასევე, არის თუ არა ნინო გარკვეულ სიტუაციებში სხვებისგან დაცინვის ან ფიზიკური შეტევის მსხვერპლი.
- ✓ ასევე, გამოეკითხა მშობლები რა თამაშებს თამაშობს სახლში და რა წიგნები უყვარს.

აღმზრდელ-პედაგოგის ჩანაწერები:

„15.11.17. დილით, მოსვლისას, როცა მივესალმე, წამით შემხედა და ხმის ამოუღებლად დაჯდა სკამზე. ანა მიდის მასთან და რაღაცას აჩვენებს. ანა ხელს კიდებს ნინოს, რომ მისი ყურადღება მიიქცეოს. ნინო მხრების გაქნევით იცილებს. ანა ტრიალდება და თავს ანებებს. ბავშვები ოთახის სხვადასხვა კუთხეში თავისუფალი თამაშით არიან დაკავებულნი. დილის წრის გამოცხადების შემდეგ ყველა ნოსზე ჯდება. ნინოსთან მივდივარ და მიმყავს ბავშვებთან. ჯდება ბავშვებს შორის და გამომეტყველებაზე ვამჩნევ, რომ მისმენს.“

... ბავშვები სხვადასხვა ცენტრებში ნაწილდებიან. ნინო ზის და აკვირდება, ვინ რომელ ცენტრში მიდის. მივდივარ და ვეკითხები, რომელი ცენტრი უნდა. არ მპასუხობს. თითოეულს ვუსახელებ. ხატვაზე მთანხმდება და ხელოვნების ცენტრში მომყვება. იღებს ფანქარს და იწყებს ხატვას. ბავშვები პერიოდულად მეძახიან და თავიანთ ნახატებს მაჩვენებენ. ნინო მიყურებს. ვუახლოვდები, ნახატს უყურებს და ხმას არ იღებს. ვაქებ მის ძალისხმევას და ისიც ხატვას აგრძელებს.“

18.11.17. ...მთელი დღის განმავლობაში არაფერი უთქვამს. კითხვებზე თავის დაქნევით მპასუხობს. თავისუფალი თამაშის დროს, ძირითადად, სხვების თამაშს უყურებს, კერძოდ, დრამატული ცენტრის თამაშს, სადაც ბავშვები სახლის ცხოველების მოვლით არიან დაკავებულნი. შევთავაზე, ეთამაშა მათთან, მაგრამ არ დამთანხმდა.“

... ეზოში თამაშისას სულ ჩემ გვერდით იდგა.“

... დარბაზში ჩასვლის დრო რომ გამოვაცხადე, შევატყვე, სახე უფრო მონყენილი გაუხდა. სკამიდან არ ადგა, სანამ არ მივედი და ხელი არ მოვკიდე. გაბრაზებული, აცრემლებული იყო, სანამ დარბაზში ბავშვები მღეროდნენ და ცეკვავდნენ.“

აღმზრდელმა დედისგან გაიგო, რომელია ნინოს საყვარელი წიგნი, რომ მას ძალიან უყვარს კულინარია და ხატვა. სახლში კნუტი, „კატო“ ჰყავს, რომელზეც ზრუნავს.“

დაკვირვების შეჯამება:

„ნინო პრაქტიკულად არ ურთიერთობს თანატოლებთან, უფროსებთან. კვირის განმავლობაში შეიძლება რამდენიმე სიტყვა თქვას. ჩემს მითითებებს ძირითადად ასრულებს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ინდივიდუალურად მივმართავ და ყურადღებას ვუთმობ. ინიციატივას საერთოდ არ იჩენს. იშვიათ შემთხვევაში ცდილობს თვალთ კონტაქტს. აუცილებელია მისი მინიშნებების დროულად ნაკითხვა და რეაგირება, რომ უფრო თავდაჯერებულად იგრძნოს თავი და საჭიროების შემთხვევაში, დავეხმარო და მეტი ნდობა მოვიპოვო.“

ვფიქრობ, ხატვის დროს შედარებით თავდაჯერებულია. შესაძლებელია მისი ამ ინტერესის და სხვა ინტერესების (კატა, კულინარია) გამოყენება მცირე ჯგუფებში სამუშაოდ. დავგეგმავ ისეთ აქტივობებს, რომ ჯგუფმა უკეთ გაიცნოს და მიიღოს ნინო, რადგან ერთი ბავშვის გარდა, არავის უცდია მასთან ურთიერთობა. თუმცა, ის არც დაცინვის და არც დაჩაგრვის ობიექტი არ ყოფილა.“

კვირის ჩანაწერებზე დაყრდნობით, კოლეგებთან და მშობელთან გასაუბრების შემდეგ, აღმზრდელმა დასაწყისისთვის შემდეგი სტრატეგიები შეიმუშავა და გადაწყვიტა:

- ✓ ნინოს პოზიტიური თვითშეფასებისთვის, მასთან თბილი და გულწრფელი ურთიერთობები განემტკიცებინა:
 - ყოველ დილით, მოსვლისას, ყურადღების დათმობა, სახელით მიმართვა და მისალმება: „გამარჯობა, ნინო. მიხარია, რომ გხედავ.“
 - რუტინული და სხვა მცირე ჯგუფური აქტივობების დროს მის გვერდით ყოფნა, მასთან ერთად თამაში, საუბარი. საკუთარი ინტერესების, გამოცდილების და გრძნობების გაზიარება.
 - დღის განმავლობაში ისეთი კომენტარების გააკეთება, რაც მიახვედრებს, რომ მას ამჩნევენ და მისი ესმით. „დღეს შენი საყვარელი მაისური გაცვია?“ „წიგნი ვიპოვე, ვფიქრობ, მოგეწონება.“
 - შინ წასვლამდე, საღამოს წრეზე, დადებითი, წამახალისებელი უკუკავშირის მიცემა, რაიმე კონკრეტულის გახსენება და აღნიშვნა, რაც იმ დღეს კარგად გამოუვიდა.
 - მშობლებთან იმის აღნიშვნა, თუ როგორი კარგი დღე გაატარა მათ შვილთან.
 - ნინოსთვის იმის თქმა, თუ როგორ ენატრება, როცა ბაღში არ დადის.

აღმზრდელთან მიჯაჭვულობის მინიშნელობა

მიჯაჭვულობის მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ მომვლელთან ბავშვების საიმედო მიჯაჭვულობა, ურთიერთობის გამოცდილება, ბავშვის სოციალური და ემოციური განვითარების საფუძველია. ის ასწავლის ბავშვებს, როგორ დაინახონ საკუთარი თავი, სხვა ადამიანები და სამყარო. ეს გამოცდილება მომავალი ურთიერთობების, მათ შორის მასწავლებლებსა და თანატოლებთან ურთიერთობის, მოდელსაც ქმნის.

თანამედროვე კვლევების მიხედვით, თავის მხრივ, აღმზრდელსაც შეუძლია ბავშვი სანდო მიჯაჭვულობით უზრუნველყოს, ამით ასწავლოს, რომ შეიძლება სხვა ადამიანებს ენდოს, რომ იგი ღირებული ადამიანია, რომელიც სიყვარულისა და პატივისცემის ღირსია.

თითოეული მიჯაჭვულობა განსაკუთრებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ რეაგირებს უფროსი ბავშვის მოთხოვნილებებზე, რამდენად გულისხმიერი და ყურადღებიანი მის მიმართ. მერი ენსვორის თანახმად, გულისხმიერი და ყურადღებიანი ზრუნვაა:

- ბავშვისგან მომდინარე მინიშნებების ცოდნა
- ამ მინიშნებების დანახვა, გაგება
- და მათზე დროულად და შესაბამისად რეაგირება.

გულისხმიერი და ყურადღებიანი ზრუნვა, როდესაც მომვლელი არ აწყვეტინებს ბავშვს საქმიანობას. ეხმარება, ისწავლოს კონტროლის და ძალდატანების გარეშე, როდესაც უფროსები თავიანთ ქმედებებს ბავშვის მინიშნებების მიხედვით წარმართავენ, ეთამაშებიან, ესაუბრებიან, კითხვებს უსვამენ, ყურადღებით უსმენენ, ახალისებენ და ხელს უწყობენ ბავშვის ინიციატივას.

მზრუნველი ურთიერთობა ბავშვს საშუალებას აძლევს, მოიქცეს სხვაგვარად და მისი სხვა თვისებები დაინახოს. ის უფრო დაინტერესდება ასეთი უფროსით, უფრო მეტად იზრუნებს, რომ მისი ყურადღება და მოწონება დაიმსახუროს და იწყებს იმის დაჯერებას, რომ უფროსი შეიძლება უფრო ხელმისაწვდომი, რეაგირებადი და მასზე პასუხისმგებელი გახდეს.

რეკომენდაციები მომზადებულია ბარბარა კაიზერის წიგნიდან "რთული ქცევა პატარა ბავშვებში - გაგება, პრევენცია, ეფექტური მართვა", 2007 წელი

- ✓ დროული რეაგირებისთვის, მისი სხეულის ენის და მინიშნებების უფრო მეტად შესწავლა, ნაკითხვა და დაუყოვნებელი მოქმედება.
- ✓ ცენტრებში გადანაწილების სტრატეგიის შემუშავება ბარათების გამოყენებით, რაც ნინოს დამოუკიდებლობას და ავტონომიას შეუწყობს ხელს.

ნაკითხეთ მინიშნებები

აშკარა მინიშნებების და ძლიერი ემოციების დალოდების ნაცვლად, გულისხმიერი აღმზრდელ-პედაგოგი ოდნავ შესამჩნევ ნიშნებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ. ეს ნიშნები ბავშვის სხეულის ენაში, ხმის ტონში, სიტყვებში ან სხვა ქმედებებში ვლინდება და გვეუბნება, რას გრძნობს ის და როდის დგება მასზე ზრუნვის დრო.

პრობლემური ქცევა, როგორცაა აღვსება, შეიძლება ადვილად აღმოიფხვრას, თუ ადრეულ ეტაპზე შევნიშნავთ. ეს ნიშნები სხვადასხვა ბავშვში განსხვავებულად ვლინდება. შესაძლოა, ზუსტად არ იცით, რას ფიქრობს ან გრძნობს ბავშვი, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით და გაიცნობთ ამას მალე მიხვდებით. ასეთი ნიშნებია:

- ფიზიოლოგია: ცრემლები, ხშირი გაღიზიანება, კბილის კბილზე დაჭერა, განითლება, გაფერმკრთალება, სუნთქვის გახშირება, ოფლიანობა, მოუსვენრობა, პირღებინება, წრიპინა ხმა.
- ქცევა: თვალის არიდება, განზე გადგომა, თმის დახვევა, ცერის, თითების, თმის ან ტანსაცმლის წოვა, მიტმასენა, ფრჩხილების კვნეტა, წუნუნა, ახმაურება ან გაჩუმება, ყვირილი, მასტურბაცია, უხერხული ღიმილი, ხითხითი, ტირილი.
- ფიქრები: არავის ვუყვარვარ, არავის ვუნდევარ, არ ვარ კარგი, აქ არ მომწონს, არ მყავს მეგობრები, არავინ დამეხმარება, მე ვერ გავაკეთებ ამას, დედა მინდა.
- გრძნობები: შენუხებული, დადარდიანებული, გაჭირვებული, შეშინებული, ნერვიული, აღელვებული, მომლოდინე, ნაღვლიანი, გაღიზიანებული, უგუნებოდ მყოფი, დაუცველი, იმედგაცრუებული, დაბნეული, პანიკური.

თუ ბავშვს კარგად იცნობთ, ურთიერთობაში მყარი პოზიცია გიჭირავთ. იცით, როგორ გახადოთ ურთიერთობა უფრო გულისხმიერი და როგორ ჩართოთ მისი ინტერესები, როგორ შემატოთ ძალა და ასწავლოთ საჭირო უნარ-ჩვევები. თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ როცა მარტოა, იატაკს უყურებს და თმას აწვალავს, რაღაც კარგად ვერ არის. თუ მას მხრებზე ხელს დაადებთ ან გაუღიმებთ, გასწორდება და გვერდით მჯდომ ბავშვთან ლაპარაკს ან საქმიანობას გააგრძელებს, თქვენ კი დაინახავთ, რომ თქვენმა თუნდაც ფრთხილმა ჩარევამ გაამართლა.

რეკომენდაციები მომზადებულია ბარბარა კაიზერის ნიგნიდან "რთული ქცევა პატარა ბავშვებში - გაგება, პრევენცია, ეფექტური მართვა", 2007 წელი

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები არა მხოლოდ ნინოს ინდივიდუალური გეგმისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითებს ყველა ბავშვისთვის:

- ✓ ჯგუფში ჩართულობის ხელშესაწყობად და ჯგუფში გასაწევრიანებლად:
 - დილის წრისთვის მარტივი მისასალმებელი რიტუალური თამაშის მოფიქრება (მაგალითად, ერთმანეთისთვის ბურთის გადაგდება და სახელით მიმართვა). თავიდან ნინომ შეიძლება, ხმა არ ამოიღოს, მაგრამ არავერბალური მონაწილეობაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.
 - აქტივობის - ნიგნების „ყველაფერი ჩემ შესახებ“ დაგეგმვა და ერთმანეთისთვის გაცნობა.
 - სახლის ცხოველების თემის შეტანა, საკუთარი ცხოველების ფოტოების და მათი ამბების გაზიარება. დილის წრეზე, ნინოს ნებართვით, მისი კატის გაცნობა და მასზე საუბარი. მცირე ჯგუფური აქტივობების დროს, ნინოსთან და რომელიმე ბავშვთან ერთად, კატის თემაზე საუბრის გაგრძელება.
 - ნიგნიერების საათზე, მთელი ჯგუფისთვის, მისი საყვარელი ნიგნის ნაკითხვა.
- ✓ ემოციების რეგულირებისთვის:
 - ჩვენება, რომ ესმის მისი ემოციების. მაგალითად, „ვხედავ, ლელავ, ან გერიდება თამაშის დანყება. ზოგჯერ, როდესაც სხვები მიყურებენ, მეც ვლელავ და არ ვიცი, რა გავაკეთო.“

ურთიერთობის ხელშეწყობა მცირე ჯგუფებში

ეფექტური ჯგუფის გააზრებულად შექმნა

ნებისმიერ ჯგუფში შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ზოგიერთი ბავშვი ჯგუფის რეალური წევრი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯგუფში ფიზიკურად იმყოფებიან, არ მონაწილეობენ აქტივობებში და არ შედიან ინტერაქციაში თქვენთან ან სხვა ბავშვებთან. სწორედ ამ ბავშვებს სჭირდებათ თქვენი დახმარება ყველაზე მეტად. სჭირდებათ, რომ კომუნიკაციის და სოციალიზაციის თანაბარი შესაძლებლობა მისცეთ. საუკეთესო გამოსავალია მცირე ჯგუფში მუშაობა. ყველაზე ოპტიმალურია 4 ბავშვიანი ჯგუფი. ამ რაოდენობის ბავშვების შემთხვევაში, ყველაზე უკეთ შეძლებთ, დააკვირდეთ ყველას და აქტივობა ისე წარმართოთ, რომ ყველა ჩართოთ მათი შესაძლებლობების ფარგლებში (მნიშვნელოვანია, აღმზრდელ-პედაგოგი დღეს ისე გეგმავდეს, რომ ამგვარ მცირე ჯგუფებთან 5-7 წუთიანი თამაშის შესაძლებლობა დღეში რამდენჯერმე ჰქონდეს). არსებობს ბევრი მცირე ჯგუფური აქტივობა, რომლის დროსაც გეძლევათ შესაძლებლობა, გაიზაროთ ბავშვის საჭიროება და დაეხმაროთ მას ინტერაქციაში. ეს აქტივობები შეიძლება იყოს: კითხვა მცირე ჯგუფში, ქვიშის მაგიდასთან თამაში, ხელების დაბანა, ძერწვა, სადილის დროს საუბარი, ნებისმიერი ტიპის თავისუფალი თამაში და სხვა.

როდესაც კონკრეტული ბავშვის დასახმარებლად მცირე ჯგუფურ აქტივობას გეგმავთ, მნიშვნელოვანია, ბავშვების ჯგუფი ჭკვიანურად შევარჩიოთ. დაფიქრდით, ვის რა კომუნიკაციური და სოციალური შესაძლებლობები აქვს. თუ ბავშვს ენობრივი განვითარების შეფერხება ან ჩამორჩენა აქვს, ან ძალიან ჩაკეტილი და პასიურია კომუნიკაციაში, მისთვის რთული იქნება ჯგუფში სოციალური და კომუნიკაბელური რომ იყოს. მეორე მხრივ, მისთვის არც ისეთ ჯგუფში ყოფნა იქნება სასარგებლო, სადაც ბავშვები, ძირითადად, კომუნიკაციის პასიურ სტილს იყენებენ. კარგი ჯგუფი, როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციური სტილის ბავშვებისგან შედგება ხოლმე.

ნანა მასწავლებლის მიზანია, აქტივობებში ჩართოს მაკა, 3.5 წლის გოგონა. მაკა ჩაკეტილი და მორცხვი გოგონა და იშვიათად იჩენს აღმზრდელთან ან სხვა ბავშვებთან ურთიერთობის ინიციატივას. მისი მცდელობები ხშირად შეუმჩნეველი რჩება ხმაურიან ჯგუფში.

ნანა მასწავლებელი ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ მაკას დღეში 5 წუთი მაინც ეთამაშება სხვა ბავშვების ჩართულობით. მან გადაწყვიტა, ამ ჯგუფში ჩართოს თამუნა. თამუნა ძალიან აქტიური კომუნიკატორი არ არის, მაგრამ კარგად შედის ინტერაქციაში, როდესაც კარგადაა აქტივობაში ჩართული. თამუნა უკვე იყენებს 3-4 სიტყვიან წინადადებებს და ის კარგი მოდელი იქნება მაკასთვის. რადგან თამუნას სტილი არ არის, იყოს დომინანტური დიალოგისას, მაკასაც მიეცემა ხოლმე შანსი, ჩაერთოს ინტერაქციაში. გიოც ასაკის შესაბამისად მეტყველებს, ძალიან სოციალური ბავშვია და კარგი იქნება მისი ამ ჯგუფში ყოფნაც. ნანა მასწავლებელი ფიქრობს, რომ ამჯერად დანიელს ჯგუფში არ ჩართავს, რადგან მას, როგორც წესი, თავისი დღის წესრიგი აქვს ხოლმე და დიდ დროს წაართმევს მისი მართვა. ლევანის ჩართვა არ არის ცუდი აზრი, ისიც 2-3 სიტყვიანი წინადადებებით მეტყველებს, საკმაოდ სოციალურია და არ უყვარს დომინირება. გააზრებულად ასეთი მცირე ჯგუფების შექმნა კარგ საფუძველს ქმნის ურთიერთობებისთვის, ეფექტური სამართავია და გაუთვალისწინებელი ფაქტორებისგან დაგაზღვევთ.

მაგალითები მომზადებულია ე. ვაიცმანის და ჯ. გრინბერგის წიგნიდან ენის სწავლა და სიყვარული. ჰანენის ცენტრის გამოცემა, 2002

დამატებითი სტრატეგიები მორცხვ და სოციალურად გარიყულ ბავშვებთან ურთიერთობისთვის:

- ✓ დასაწყისისთვის, დრო მიეცით ბავშვს, დააკვირდეს ახალ აქტივობას, რუტინულ საქმიანობას, რომ დარწმუნდეს ამის მერე რა მოხდება და რას იგრძნობს. მისთვის ასევე საინტერესოა სხვების შესაძლო ემოციების მრავალფეროვნება, რა რეაქციები აქვთ სხვებს. დააკვირდით, ჩაინიშნეთ და გაუზიარეთ ოჯახის წევრებს, თუ არის დღის ისეთი მონაკვეთი, როდესაც ბავშვი უფრო შეზღუდულია. ასეთი პერიოდი შეიძლება იყოს დღის დასაწყისი, დღის ბოლო, კვების დრო, ან დღის განრიგში მოულოდნელი ცვლილებები .
- ✓ არ აიძულოთ თამაში. თამაშის და ურთიერთობების დაძალება უფრო გარიყავს მას და დააფრთხობს. გამოიყენეთ ყველაფერი, რაც თქვენი და მშობლების აზრით, ბავშვს იზიდავს, მოსწონს, აინტერესებს, სახალისო და უშფოთველი მომენტები მეტი რომ იყოს. ასევე გაარკვიეთ, რომელი აქტივობები უმცირებს შფოტს. ეს აქტივობები ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და უფროსმა უნდა შესთავაზოს, როდესაც შფოთვის დონე აინევს.

რატომ არის თამაში შეწყობა მნიშვნელოვანი, როდესაც ბავშვი ნაკლებს ლაპარაკობს და რას ინვესტს ძალდატანება?

ბავშვს, რომელიც იშვიათად გამოთქვამს კომუნიკაციის სურვილს, სჭირდება დრო, რომ შეგეჩვიოს და კავშირი დაამყაროს. ამის საუკეთესო საშუალება კი თამაში შეწყობაა. თავიდან, შეიძლება, საერთოდ არ დაგელაპარაკოთ, მაგრამ თუ თამაში მიყვები - თამაშობ მსგავსი სათამაშოთი, იმეორებ მის მოძრაობებს, (თავს არ ახვევ წესებს და არაფერს ასწავლი), ბავშვი ინტერაქციაში შემოსვლას აუცილებლად დაინყებს შემოხედვით, ემოციის გაზიარებით და შემდეგ- აქტივობის გაზიარებითაც; აქ უკვე დგება კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი მიზნის - სოციალური კონტაქტის დამყარების მომენტი. თუ მომთმენი ხარ და ისევე ახერხებ, რომ ძალდატანებით ლაპარაკს თავი აარიდო, ცოტა ხანში ბავშვი აუცილებლად იტყვის, ან განიშნებს რამეს, რადგან მას აუცილებლად ექნება რაიმე გასაზიარებელი.

ლაურა ძალიან ცდილობდა, 4 წლის მორცხვი მეგი აელაპარაკებინა ძერწვის აქტივობისას, ამიტომ ძალიან ბევრ კითხვას უსვამდა: „ეს რა ფერია, მეგი? რის გაკეთებას აპირებ ამისგან? მოგწონს ამით თამაში?“. მეგი ლაურას პასუხს არ სცემდა.

მნიშვნელოვანია, ლაურა მეგის დაელოდოს, მისცეს დრო მასალის „გამოსაკვლევად“ და კომუნიკაციის ინიცირებისათვის. ამისათვის ლაურამ:

- უნდა შეწყვიტოს ლაპარაკი
- წინ გადმოიხაროს
- და ინტერესით დაელოდოს

როდესაც მეგი ინიციატივას გამოავლენს (და აუცილებლად გამოავლენს, თუ ექნება საკმარისი დრო და საშუალება, თავის ჭკუაზე ითამაშოს) ლაურა მის ინიციატივას უნდა მიყვეს და შემდეგ ისევე უნდა დაელოდოს, მისი შემდეგი ინიციატივა წაახალისოს. ლოდინი არა მხოლოდ ბავშვის ინიციატივას ახალისებს, არამედ ასევე აძლევს დროს პასუხის გასაცემად ან რაიმეს სათხოვნელად. უფროსები, როგორც წესი, ერთ წამს აძლევენ ბავშვებს პასუხის გასაცემად, შემდეგ კი შეკითხვის გამეორებას, გადასხვაფერებას იწყებენ ან თავად სცემენ პასუხს კითხვაზე. 1 წამი ძალიან, ძალიან ცოტა დროა. სანამ ბავშვი პასუხს გაგცემთ, დაითვალეთ გულში 10-მდე, ნუ გააკეთებთ ნურაფერს, შეხედეთ ბავშვს ინტერესით, არ დაილაპარაკოთ, სანამ ბავშვი ინიციატივას არ გამოიჩენს, ან სანამ არ მიგიითთებთ, რა აინტერესებს. ცხადია, ყველა ბავშვის შემთხვევაში გულში 10-მდე დათვლის საჭიროება არ დგას, მაგრამ საკმაოდ ბევრი ბავშვის შემთხვევაში, ამ სტრატეგიას დიდი ძალა აქვს.

მაგალითები მომზადებულია ე. ვაიცმანის და ჯ. გრინბერგის წიგნიდან ენის სწავლა და სიყვარული. ჰანენის ცენტრის გამოცემა, 2002

- ✓ აირჩიეთ სამი მარტივი შეტყობინება, როგორცაა: „შენ მნიშვნელოვანი ხარ“, „ვეცდები, შენთვის ყოველთვის მოვიცალო“, ან „დაგეხმარები, როცა გჭირდება ან მთხოვ“ და დღის განმავლობაში, ჩვეულებრივ სიტუაციებში, ბავშვებთან კომუნიკაციისას გამოიყენეთ. ასეთი მიდგომით ბავშვები თანდათანობით სწავლობენ, რომ უფროსი მათი უსაფრთხოების და სიმშვიდის წყაროა.
- ✓ აჩვენეთ ბავშვს, რომ გესმით მისი, როდესაც სხვებთან ურთიერთობას უფროსის. გამოსატყობ მისი მდგომარეობის მიმართ ემპათია. ამით შიშის გაკონტროლებაში ეხმარებით. ეხმარებით, უკეთ გაერკვეს საკუთარ განცდებში, დაინყოს საკუთარ ემოციებზე საუბარი და კონტროლის გზების ძიება.
- ✓ მიუჯექით საქმიანობის დროს. არ ასწავლოთ, არ მართოთ, ძალა არ დაატანოთ. ნეიტრალური და ობიექტური პოზიცია დაიჭირეთ. ინტერესით აღწერეთ, რას აკეთებს ბავშვი, ჰკითხეთ რას გრძნობს და დაეხმარეთ სახელი დაარქვით მის გრძნობებს.

- ✓ ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია ემოციებზე ღია საუბრები. ბავშვებს, რომლებსაც რთული ურთიერთობები აქვთ, ხშირად ეშინიათ უარყოფითი გრძნობების გამოვლენის და, შედეგად, თავიანთ სიბრაზეს, აღელვებას, სევდას, იმედგაცრუებასა და შიშს გულში იხვევენ. როცა უფროსი ამჩნევს და ეთანხმება ამ ემოციებს, ბავშვს აძლევს საშუალებას, სახელი დაარქვას და ისაუბროს ამ გრძნობებზე („მე ვიცი, ამან გაგაბრაზა“, „ეს შეიძლება საშიში იყოს“), უფროსი ბავშვს სწავლასა და ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ეხმარება.
- ✓ ბავშვს მორცხვი არ დაუძახოთ. ხშირად, უფროსები სხვებთან მის სიმორცხვეზე და პრობლემებზე ბავშვის თანდასწრებით საუბრობენ. ასეთი იარაღი კიდევ უფრო აძლიერებს ბავშვის უარყოფით ნარმოდგენებს საკუთარ თავზე. ხოლო მისი ყველა შემდგომი ქცევა ამ მოლოდინებს ამართლებს და არ ცდილობს შეცვლას. ეცადეთ, ასეთი იარაღებისგან თქვენც გათავისუფლდეთ და დადებითი პერსპექტივიდან აღწეროთ ბავშვის მორცხვობა და ქცევა. მაგალითად: „მას მეტი დრო სჭირდება, რომ ახალ სიტუაციას შეეგუოს“, ან „სოციალურია იმ ადამიანებთან, ვისაც კარგად იცნობს“.
- ✓ არ მისცეთ ბავშვს შენიშვნა მორცხვობისთვის. აღნიშნეთ სხვების სოციალური ქცევა. ამით მიხვდება, როგორ აფასებთ ასეთ ქცევას და რას ელოდებით მისგან. მაგალითად, თუ ვინმე მოგესალმებათ: „მომწონს, როდესაც გამარჯობას ამბობენ. როგორი თავაზიანია“.
- ✓ სოციალური ურთიერთობების სწავლებისთვის გამოიყენეთ დრამატული ცენტრი, ხელის თოჯინები. გაითამაშეთ მარტივი სცენარები:

თოჯინა 1: რა გქვია?

თოჯინა 2: ნინო

თოჯინა 1: მე მარი. რას აკეთებ?

თოჯინა 2: პასკას ვაცხობ

თოჯინა 1: შეიძლება მეც გამოვაცხო?

(და ერთად იწყებენ პასკის კეთებას)

- ✓ ხელი შეუწყვეთ სხვა ბავშვთან ურთიერთობას. შესთავაზეთ საერთო ინტერესის საქმიანობა. მაგალითად, მასალების ერთად დალაგება, ან თავსატეხის აწყობა.
- ✓ აჩვენეთ ბავშვს სხვებთან საუბრის მაგალითები: **“ანი, მომწონს შენი ყვითელი თმის სამაგრი”. ‘ყვითელი შენი საყვარელი ფერია, არა?’** შექმენით მოსაუბრეთა სამკუთხედი. უთხარით სხვა ბავშვს მისი თანდასწრებით: „მომწონს შენი ტრანსფორმერის მაისური“. ბავშვს: „შენ მოგწონს?“, „გახსოვს რა ჰქვია ამ გმირს?“;
- ✓ ფრთხილად იყავით და არ დააძალოთ, რადგან ამით უფრო დიდ წინააღმდეგობას მიიღებთ. მცირე ცვლილებებით დაკმაყოფილდით და თანდათან გაზარდეთ ბავშვის ჩართულობა.
- ✓ ყოველ ჯერზე შეაქეთ, როცა სოციალურ ქცევას განახორციელებს და მორცხვობას დაძლევს. აღნიშნეთ უმნიშვნელო ცვლილებაც. „დავინახე, როგორ განიე წიგნი მარისკენ, მასაც რომ დაეთვალაწიერებინა“. „ხელი რომ დაუქნიე, ეკამ გაგიღიმა“.

- ✓ ასწავლეთ თავის დაცვა (ასერტულობა), განსაკუთრებით მაშინ, თუ ფიზიკური ან ვერბალური შეტევის მსხვერპლია სხვისი მხრიდან. მოიფიქრეთ პასუხი, რომლის გამოყენებასაც ასწავლით. თავდაპირველად, თქვენი მხარდაჭერით, შემდეგ - დამოუკიდებლად. მაგალითად: „ გაჩერდი“, „ნადი“, „მე ეს არ მომწონს“. ამისათვის გამოიყენეთ როლური თამაშები, მოთხრობები, ხელის თოჯინები და ა.შ.

ასერტულობა - როგორ გამოხატო საკუთარი გრძნობები, საჭიროებები, აზრები და როგორ დაიცვა საკუთარი თავი, სხვების უფლებების შელახვის გარეშე.

იმის ცოდნა, თუ როგორ უპასუხო მჩაგვრელს ასერტულად, ბავშვებს საშუალებას აძლევს, საკუთარ მიზნებს, აგრესიის გარეშე, მიაღწიონ. ასერტულ პასუხს შეუძლია დაიცვას ბავშვი მსხვერპლად გახდომისგან. პრაქტიკაში, ასერტულობის სწავლებისას, ბავშვებს თქვენგან მრავალჯერადი დახმარება, წვრთნა, მინიშნებების მიცემა და განმტკიცება სჭირდებათ.

- ✓ კოორდინირებულად იმუშავეთ სხვა უფროსებთან (მშობლები, თანაშემწეები, სხვა ცვლის აღმზრდელები). უფროსების მხრიდან თანაბარი ძალისხმევა ზრდის მიღწევებს.

ქსავითი პროლაფა

3 წლის და 10 თვის ლევანი მოძრავი და აქტიური ბავშვია. ბაღში ახალი მოსულია და ბავშვებთან ურთიერთობის პრობლემები აქვს. ის ჯერ ვერავის დაუმეგობრდა. მუდმივად საჭიროებს უფროსის მეთვალყურეობას. როგორც კი (რომელიმე სივრცეში) ყურადღების გარეშე რჩება, კონფლიქტი წარმოიშობება და უკმაყოფილო ბავშვების ხმა ან ტირილი ისმის. ჩივიან, რომ ლევანიმ სათამაშო წაართვა, არ ათხოვა, თამაშში ხელი შეუშალა, დაარტყა. ბავშვები მასთან თამაშს თავს არიდებენ. როცა ეკითხები, ჯგუფის ყველა წესს ჩამოგივლის; ბოდიშსაც იხდის, მაგრამ შემდეგ იგივეს იმეორებს. აღმზრდელ-პედაგოგი ცდილობს, გვერდით ყოფნით, ლევანის ქცევა აკონტროლოს, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებს.

აღმზრდელმა დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართა, მაგრამ სანამ კონკრეტულ რეკომენდაციებს და სტრატეგიებს შეიმუშავებდნენ, გადაწყვიტეს, რამდენიმე დღე დაკვირვებოდნენ. სამუშაო შეხვედრაზე ფსიქოლოგი, სპეც.პედაგოგი და აღმზრდელ-პედაგოგი შეთანხმდნენ, თუ რაზე გაემახვილებინათ ყურადღება:

- რა აქტივობებით, მასალებით და რამდენი ხნით ინტერესდება
- რომელ ბავშვთან ერთად მოსწონს ყოფნა/თამაში
- რომელ ბავშვს მოსწონს მასთან თამაში.
- რა არის კონფლიქტების მიზეზი და რა სტრატეგიებს იყენებს უფროსი კონფლიქტების მოსაგვარებლად
- რა სტრატეგიები გამოიყენება ჯგუფში კონფლიქტების მოსაგვარებლად
- როგორ ეხმარებიან უფროსები ბავშვებს კონფლიქტების მოგვარებაში
- როგორ იქცევა ლევანი კონფლიქტის დროს
- რა ვითარებებში არ აყენებს ზიანს სხვა ბავშვებს
- დღის რომელ მონაკვეთში და რა დროს არის უფრო მშვიდი, ან უფრო აქტიური

დასაკვირვებლად გამოიყენეს მიმდინარე შემთხვევების ჩანაწერები. ასევე შეთანხმდნენ, რომ ქცევითი ინციდენტების სიხშირეების დასათვლელად, მოკლე ჩანიშვნებსაც გააკეთებდნენ. მონაცემებს არა მხოლოდ სტრატეგიების და სამოქმედო გეგმის განსაზღვრაში გამოიყენებდნენ, არამედ მიღწეული ცვლილებების და პროგრესის შესაფასებლად.

კვირის განმავლობაში საკმაო რაოდენობის ჩანაწერები დაუგროვდათ (მაგალითები იხილეთ ბოქსი 1).

ბოქსი 1

მაგალითები დაკვირვების ჩანაწერებიდან

12.11.17

ლევანი ყუთიდან ორ პატარა მანქანას იღებს და კუბურების ცენტრში მიდის. თან მანქანის ტარების ხმებს გამოსცემს. 5 წუთის განმავლობაში თავისთვის თამაშობს. შემდეგ ერთი მანქანა კუბურებისგან აშენებული შენობის კედელზე აპყავს, რომელსაც ორი ბიჭი აშენებს. ისინი ხელს კრავენ ლევანის. წამიერად ჩერდება და ისევ ცდილობს მანქანის კედელზე აგორებას. ბიჭები ისევ ხელს კრავენ, ლევანი მანქანას შენობის კედელზე ახეთქებს და ნაგებობა ინგრევა. ერთ-ერთი ბიჭი იღებს ლევანის მანქანას და ისვრის. მეორე- ლევანის კრავს ხელს. ლევანიც კრავს ხელს. აღმზრდელ-პედაგოგი ბავშვებთან ამბის გასარკვევად მიდის. ლევანი გარბის. ბიჭები ამბობენ: „მანქანით სახლი დაგვინგრია, არ გვინდა მაგასთან თამაში.“

12.11.17

ეზოში გასვლის წინ, ქურთუკების და ფეხსაცმელების ჩაცმისას, ლევანი დერეფანში სირბილს იწყებს. მირბის ერთ-ერთ ბავშვთან და ეჯახება. ნაქცეული ბავშვი ლევანის ჩხუბება და ტირილს იწყებს.

12.11.17

ეზოში ყოფნის დროს, ბავშვების მცირე ჯგუფი მოგროვებულ ლოკოკინებს აკვირდება. ლევანი შერბის წრეში და კენტებისა და ფოთლების გროვას აყრის ლოკოკინებს. უკმაყოფილო ბავშვები აღმზრდელს ეძახიან. ლევანი გაბრაზებული ურტყამს ფეხს ლოკოკინების გროვას.

ბავშვების მცირე ჯგუფი (6 ბავშვი) აპლიკაციებს აწებებს. გამოჭრილი ფერადი ფიგურები მაგიდის შუაშია მოთავსებული. ლევანიმ ერთი წებო მიისაკუთრა და სულ ხელში უჭირავს. ნინი ცდილობს, ლევანის წებო გამოართვას. აღმზრდელ-პედაგოგი ბავშვებს უახლოვდება და ეუბნება: „გახსოვთ ჯადოსნური სიტყვა?“ ელენე ლევანის მიმართავს: „თუ შეიძლება, მათხოვე“. ლევანი არ აძლევს. ელენე: „მასწავლებლო, ვუთხარი „თუ შეიძლება“ და მაინც არ მაძლევს.“ „არა უშავს, ელენე, დაუთმე. აი, ეს წებო აიღე.“ ბავშვები დარჩენილ წებოებს ინანილებენ. როცა ფერადი აპლიკაციები ცოტავდება, ლევანი სწრაფად იწყებს დანებებას. ერთ-ერთი აპლიკაცია სხვა ბავშვს გამოგლიჯა, „ლურჯი მე მინდა“. გოგონა გაბუტული სახით ჯდება“.

„ბავშვები სასრიალოს რიგში დგებიან. ლევანი მიიბრუნს, ბავშვებს ხელს კრავს, კიბეებზე არბის და სრიალებს. ბავშვები უკმაყოფილებას გამოთქვამენ: „მატკინა, ჩემი ჯერი იყო.“

დაკვირვების შეჯამება

ლევანი სოციალური თამაშის თვალსაზრისით, უფრო წინაა, ვიდრე უბრალოდ მაყურებელი. იგი ცდილობს, რაც შეიძლება ახლოს იყოს მოთამაშე ბავშვების ჯგუფთან. მისი მცდელობა, შეუერთდეს მათ, ძირითადად წარუმატებელია. მრავალჯერადი დაკვირვებიდან ცხადია, რომ ლევანის ჯერ კიდევ არ აქვს გამომუშავებული თვითკონტროლი - რაიმე ქმედებისგან თავის შეკავების უნარი. განსაკუთრებითიზრდება ქცევითი პრობლემები, როდესაც რაღაცის მოლოდინშია. იმპულსურად იქცევა, როდესაც რაღაცა უნდა. უძნელდება მოთხოვნილებების გადავადება, რაც ჯერის და წესების დაუცველობაში ვლინდება. თუმცა, თუ თავს მშვიდად გრძნობს, ყველა წესის ჩამოთვლა შეუძლია. ასევე, ჯერ არ აქვს

გამომუშავებული ემოციების, ბრაზის მართვის უნარებიც. ვერ ხედავს (ხვდება) სხვის სურვილებს, მდგომარეობას, განცდებს (სხვისი პერსპექტივის დანახვა), რასაც, შესაბამისად, არ ითვალისწინებს ურთიერთობებში და მოქმედებს სხვების სურვილების საწინააღმდეგოდ. ამიტომ, ბავშვები უარს ამბობენ მასთან თამაშზე. აღმზრდელ-პედაგოგის მიერ გამოყენებული სტრატეგიები - ბოდიშის მოხდა, წესების დამახსოვრება - არ ეხმარება მას თვითრეგულირებასთან დაკავშირებული უნარების გამომუშავებაში და სხვისი პერსპექტივის დანახვაში. აღმზრდელ-პედაგოგის მიდგომა, ბავშვებს გაუზარდოს თავაზიანი სიტყვების და ფრაზების გამოყენების მოტივაცია, ამ სიტყვების „ჯადოსნურობით“, წარუმატებელია. თავაზიანი ფრაზები ყოველთვის არ გვეხმარება მიზნის მიღწევაში და სურვილების ასრულებაში. შესაბამისად, ეს არ არის პრობლემის მოგვარების უნივერსალური გზა. ბავშვების გამოცდილებით, რაც უფროსებმა ასწავლეს, სწორი არ არის. ამ სიტყვებს ჯადოსნური ძალა არ აქვს. ბავშვებმა კომუნიკაციის სწორი ფორმა- თავაზიანად საუბარი უნდა ისწავლონ. თავაზიანად ნათქვამი სასიამოვნო მოსასმენია, მოსაუბრეს უფრო პოზიტიურად განაწყობს, მაგრამ ეს შეიძლება არ იყოს საკმარისი, რომ სასურველი ნივთი, ადგილი, სათამაშო, ან ჯერი მიიღოს. ამიტომ, ეს პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი და არა ერთადერთი საშუალებაა. ბავშვებმა უნდა ისწავლონ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა საშუალებებზე დაფიქრება. ასეთი პრობლემის გადაჭრის გზები შეიძლება, სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა იყოს, მაგრამ ყველა მათგანი მისაღები უნდა იყოს, არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი. ასეთია, მაგალითად, უფროსისთვის დახმარებისათვის მიმართვა, სანაცვლოს შეთავაზება, ერთად თამაში, ჯერის დალოდება. ეს, ყველაფერი, პრობლემის გადაჭრის მრავალფეროვანი სტრატეგიებია, რომელიც სხვადასხვა ვითარებებში და სხვადასხვა ადამიანებთან შეიძლება გამოგადგეს. ასეთი მიდგომის სწავლება და ხელშეწყობა, ბავშვებს უფრო კომპეტენტურს ხდის. ისინი იწყებენ სოციალურად სწორად ფიქრს და სოციალური პრობლემების უფრო კრეატიულად გადაჭრას. გამზადებული ინსტრუქციების გამოყენება კი, ბავშვების კომპეტენტურობის ზრდას არ ემსახურება.

„მასწავლებლო, ვუთხარი „თუ შეიძლება“ და მაინც არ მაძლევს.“ „არა უშავს, ელენე, დაუთმე. აი, ეს ნებო აიღე.“

რატომ არ არის ასეთი პრაქტიკა წარმატებული?

მიუხედავად იმისა, რომ აღმზრდელმა ელენე ადვილად დაიყოლია სხვა ნებო აეღო, პრობლემის ასეთი ფორმით მოგვარება სოციალური უნარების სწავლებას არ უზრუნველყოფს. მეტიც, კონფლიქტის ასეთი გზით გადაჭრა უსამართლობის განცდას აჩენს და არც ლევანის მიმართ განაწყობს კეთილად. ყველას უნდა ჰქონდეს სამართლიანობის განცდა. შეიძლება ბავშვი ჯერ ისე არ არის მომწიფებული, რომ გაზიარება შეძლოს, მაგრამ ყველას ინტერესი დაცული უნდა იყოს. ასეთი სტრატეგია არც ელენეს ეხმარება, გაერკვეს საკუთარ ემოციებში და ლევანის მოტივებში, და არც ლევანის - დაფიქრდეს, რას გრძნობს ელენე და საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობა აიღოს.

რა იქნებოდა უკეთესი: „ელენე, ლევანი ახლა სწავლობს ნივთის გაზიარებას. სანამ დაგიტომობს, სხვა ნებოს ხომ არ გამოიყენებ? ლევანი, თუ ნებო გჭირდება, უთხარი ელენეს, რომ ჯერ არ დაგისრულებია. როცა დაასრულებ, შეგიძლია მაგიდის შუაში დადო, სხვებმაც რომ ისარგებლონ“.

დაკვირვების შედეგად ისიც გაირკვა, რომ ლევანის გამორჩეულად უყვარს მანქანებით, ფარეხით და წყლით თამაში. ორი წუთის განმავლობაში, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე თამაშობს. გარეთ 5 წუთი შეუძლია ბავშვებთან ერთად თამაში. დილა უფრო რთულია: ოთახში დარბის, ავეჯის ზედაპირიდან ყრის ნივთებს, ხელს კრავს ყველას, ვინც წინ ხვდება. ხშირად იყურება გარეთ და აკვირდება ეზოში ბავშვების თამაშს.

გუნდმა მშობელთან ერთად, ლევანის პრობლემების სამართავად და მისი კომპეტენციების განსავითარებლად, შემდეგი ინდივიდუალური და ჯგუფური მიდგომები შეიმუშავა:

1. მიზანმიმართულად დაეხმარონ სხვისი - ბავშვების, უფროსების - პერსპექტივების დანახვაში. ამისათვის:

ა) უფროსების მხრიდან სხვების და საკუთარი ემოციური მდგომარეობების, ფიქრების, განზრახვების და გადაწყვეტილებების გახმოვანება. ასევე, ბავშვებსაც ჰკითხონ ამის შესახებ. ასეთ სტრატეგიებს, არა მხოლოდ კონფლიქტურ და ემოციურად დამუხტულ ვითარებებში გამოიყენებენ, არამედ რუტინული და ყოველდღიური საქმიანობების დროსაც. ამით ლევანის დაეხმარებიან, მიხვდეს, თუ რას ფიქრობენ, რა მოტივით მოქმედებენ და რას განიცდიან სხვები სხვადასხვა სიტუაციებში.

ბ) წიგნის კითხვისას (ინდივიდუალურად უკითხავენ თუ მცირე ჯგუფებში კითხულობენ), პერსონაჟების ემოციებზე, ფიქრებსა და მოქმედებებზე ისაუბრებენ. ბავშვებს ღია კითხვებს დაუსვამენ - რას ფიქრობენ, რას გრძნობენ პერსონაჟები. რისი გაკეთება შეიძლებოდა, პერსონაჟს თავი უკეთესად რომ ეგრძნო და ა.შ.

გ) სოციალური უნარ-ჩვევების დემონსტრირებისათვის, თოჯინებითა და მარიონეტებით პატარა ამბებს გაითამაშებენ. სიუჟეტები შეიძლება, რომ ბავშვების რეალური ცხოვრებიდან ავიღოთ. მაგალითად, რაც ერთ, ან რამდენიმე ბავშვს გადახდენია. ეს დაეხმარება ბავშვებს, სხვაგვარად გაიაზრონ სიტუაცია, მისცემს მათ დისკუსიის შესაძლებლობას. მაგალითად, სათამაშოების გაზიარებასთან დაკავშირებული სცენა: მათე თამაშობს ბურთით, რომელიც ლუკამ მოიტანა სახლიდან. ლუკამ დაინახა და ყვირილით გაედევნა: „ჩემია, დამიბრუნე“. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა ლუკა? რას გრძნობდა მათე? გაქვთ რაიმე მოსაზრება, როგორ უნდა მოაგვარონ ეს სიტუაცია?

დ) ბავშვებთან ერთად შექმნან წიგნები ზემოთ მოცემულ საკითხებზე, რომელსაც ბავშვები თავად გააფორმებენ და ილუსტრირებას გაუკეთებენ, ისაუბრებენ წიგნის გმირების სახის გამომეტყველებაზე და ემოციებზე.

2. ემოციების სწავლება.

ლევანის ემოციური მდგომარეობის გახმოვანება სხვადასხვა სიტუაციებში. მცირე ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა ემოციების თემაზე. ასევე, ემოციებთან დაკავშირებული ლექსიკური მარაგის გაზრდა. ნახალისება, რომ თქვას, რა უნდა, რა მოსწონს, რა არ მოსწონს.

3. **სოციალური მიზეზ-შედეგობრიობის გააზრება.** საუბარი იმაზე, თუ რა შედეგი აქვს ერთის სიტყვას, ქცევას- სხვის ემოციებსა და ქცევაზე. მაგალითად, „წინოს გაუხარდება, როცა შეგცვლის“. „ვამაყობ, პრობლემის მოგვარების ასეთი გზა რომ მონახე“.

წიგნის კითხვისას და საუბრისას, ამ სტრატეგიების გამოყენება. ასევე, ბავშვებისთვის ისეთი კითხვების დასმა, რაც ქცევის შედეგებზე დააფიქრებს. მაგალითად, „რა მოხდება, თუ ანას სათამაშოს აიღებ?“

4. თვითრეგულირების ხელშეწყობა.

ა) თამაშის ორგანიზებასა და დაგეგმვაში დახმარება.

აქტივობის არჩევის შემთხვევაში, კითხვის დასმა: „იცი, რა გვჭირდება ამისთვის?“ თუ ხატვას ირჩევს- „რითი დახატავ?“, თუ საღებავს - „რა უნდა გააკეთო, რომ არ დაისვარო?“

დაგეგმვის მაგალითები: „ესტაკადის ასაშენებლად, ჯერ საყრდენი ბოძები უნდა ავაშენო.“

დაგეგმვის სტრატეგიების შეხსენება: „გახსოვს, ნამცხვარი რომ გამოვაცხებ, ჯერ რა გავაკეთებ?“

ბ) ისეთი თამაშების შეთავაზება, რომელიც იმპულსების კონტროლის გამომუშავებაში დაეხმარება ბავშვებს. მაგალითად, „წითელი შუქი, მწვანე შუქი“, მუსიკის რიტმზე აყოლა, როდესაც რიტმი და ტემპი იცვლება.

გ) დახმარების აღმოჩენა, რომ არასტრუქტურირებული საქმიანობების დროს, ყურადღება დიდხანს შეინარჩუნოს, დაგეგმოს და გეგმას მიყვებს (იხილეთ ბოქსი 2, არასტრუქტურირებული საქმიანობები).

დ) მაგალითის მიცემა, როგორ გააკონტროლო თავი, შესაბამისად, ფიქრების გახმოვანება.

რიგში დგომისას, აღმზრდელ-პედაგოგი ამბობს: „რიგში ვდგავარ, მოუთმენლად ველი, აღელვებული ვარ, მაგრამ მოცდა მომიწევს.“

ე) ლოდინის დროის შემცირება, ან რაიმე აქტივობით შევსება; თავის შეკავების სტრატეგიების სწავლება.

მაგალითად, ალტერნატიულ, სხვა საქმიანობაზე ყურადღების გადართვა. „მესმის, რომ ლოდინი ძნელია. ამით ხომ არ დავკავდეთ, სანამ შენი ჯერი მოვა?“ ლოდინის დროს: „ხომ არ ვიმღეროთ, სანამ ველოდებით?“

5. ბრაზის მართვის სწავლება

ასწავლონ მთელ ჯგუფს ბრაზის მართვა, როგორც დიდ, ასევე მცირე ჯგუფებში. დრამატულ და წიგნიერების ცენტრში, მცირე ჯგუფებში, ლევანისთან ერთად გაითამაშონ სხვადასხვა სიტუაციები და ბრაზის მართვის ტექნიკები (იხ. ბრაზის მართვა).

ასევე პოზიტიურად აღნიშნონ, როდესაც რომელიმე ბავშვი ამ მეთოდებს გამოიყენებს, ან ეცდება, რომ გამოიყენოს .

ბავშვებისთვის ისეთი თამაშების შეთავაზება, სადაც თითოეული ძალისხმევა ჯგუფის მიღწევებს და საერთო შედეგს გაზრდის.

კონფლიქტურ სიტუაციებში, ლევანის და ბავშვებს დაეხმარებიან, პოზიტიურად გადაჭრან პრობლემები. არ გააკრიტიკებენ, მოუსმენენ ორივე მხარეს, ეცდებიან ერთმანეთის პოზიცია დაანახონ. დააფიქრებენ და თავადაც შესთავაზებენ პრობლემის მოგვარების მისაღებ გზებს.

ბოქსი 2

ბავშვები, რომლებსაც იმპულსურობა ახასიათებთ, არასტრუქტურირებულ საქმიანობებზე (სტრუქტურირებული საქმიანობებისგან განსხვავებით) ყურადღების დიდხანს კონცენტრირებას ვერ ახერხებენ. მაგალითად, ისინი დიდხანს უყურებენ ტელევიზორს, რადგან ისეთი სტრუქტურირებული საქმიანობის დროს, როგორცაა ტელევიზორის ყურება, მოვლენები ავტომატურად მიმდინარეობს და არ მოითხოვს ბავშვის აქტიურ ჩარევას და ყურადღების ნებელობით მართვას. არასტრუქტურირებული საქმიანობის დროს კი ბავშვებმა სტრუქტურა უნდა შექმნან, დასახონ მიზანი, შეიმუშაონ გეგმა და შესაბამისად, თანმიმდევრულად იმოქმედონ. უნარს, რომელიც ასეთი საქმიანობის განხორციელებაში გეხმარება, აღმასრულებელ, ეგზეკუციურ ფუნქციას უწოდებენ. არასტრუქტურირებული საქმიანობებია: პლასტილინით, კუბურებით თამაში, თითებით ხატვა, როდესაც ბავშვებს საშუალება აქვთ, აკეთონ ის, რაც მათ სურთ. ასეთი საქმიანობა რთულია მათთვის, ვინც იმპულსურად ფიქრობს ან მოქმედებს. ისინი დიდხანს ვერ ახდენენ ყურადღების კონცენტრირებას. უფროსის პირდაპირი ამოცანაა, დაეხმაროს ბავშვებს, ისწავლონ დაგეგმვა და იყვნენ უფრო შემოქმედებითები თავიანთ ქმედებებსა და თამაშებში, რაც მათ თვითორგანიზებულობას ზრდის.

თვითრეგულირებაზე წაიკითხეთ მეტი დ. რილვის და ს. ჰუანის წიგნში სოციალური და ემოციური განვითარება - მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი ადრეული ბავშვობის გარემოში. 2008 წელი.

მას შემდეგ, რაც კონკრეტული სტრატეგიები მოიფიქრეს, მშობელს შეხვედრაზე შეუთანხმდნენ, რომ მისთვისაც შეეტყობინებინათ და მისი შეხედულებები მოესმინათ. თუმცა ეჭვობენ, რომ დატვირთული გრაფიკის გამო, შეიძლება არ მოვიდეს. ბავშვის სახლში წაყვანის დროს კი საუბარი რთულია, რადგან დღის ბოლოს, დედაც და ბავშვიც დაღლილები არიან და შინ ეჩქარებათ. გადანყვიტეს, შეხვედრისთვის ერთი უფროსი გამოეყოთ, რომელიც ბავშვს მიაქცევდა ყურადღებას. ყავა და ორცხობილა მოამზადეს, რომ უფრო კომფორტული ყოფილიყო შეხვედრა. ასევე შეთანხმდნენ, რომ საუბარი პოზიტიური ყოფილიყო.

ლევანის დედა შეხვედრაზე შფოთავდა და არ ჰქონდა დარჩენის სურვილი. აღმზრდელ-პედაგოგი ყავით გაუმასპინძლდა და მოუყვა, თუ როგორ უყვარს ლევანის წყლით თამაში, რომ კონტეინერიდან კონტეინერში წყლის გადასხმას წარმატებით ართმევს თავს. ასევე, როგორ სწავლობს ურთიერთობას სხვა ბავშვებთან. ამ ეტაპზე, ხელის დარტყმით ამყარებს კავშირებს. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებთან თამაშის სურვილი აქვს და რომ უფროსები დაეხმარებიან, ასწავლონ ბავშვებთან თამაშის წამოწყების სწორი გზები. უთხრეს, რომ ლევანი ორჯერ მეტ დროს უთმობს ბავშვებთან თამაშს, როდესაც ეზოშია. შესაბამისად, აღმზრდელს გადანყვიტელი აქვთ, გაზარდონ მისი ეზოში ყოფნის დრო და ერთ-ერთი აღმზრდელ-პედაგოგი ყოველთვის დაეხმარება, რომ სხვა ბავშვებთან ერთად, მინიმუმ 3 წუთის განმავლობაში იყოს ჩართული აქტივობაში. დედამ შვებით ამოისუნთქა და თქვა, რომ კარგის არაფრის გაგონებას არ ელოდა საკუთარი შვილის შესახებ. ფიქრობდა, ამ შეხვედრაზეც შენიშვნებს მოისმენდა, თუ რა მოუსვენარი და დაუმორჩილებელია, რა ცუდად იქცევა და ა.შ. აღმზრდელმა დაარწმუნა დედა, თუ როგორ მოსწონთ მისი შვილი და ეძებენ გზებს, დაეხმარონ ლევანის. ამაში მისი დახმარებაც დასჭირდებათ. დიდხანს იმსჯელეს და შეჯერდნენ, რომ გაზრდიდნენ გარეთა აქტივობების დროს, დედაც უფრო ხშირად გაიყვანდა ეზოში და ორივე დაეხმარებოდა ლევანის ბავშვებთან თამაშის დროს. შეთანხმდნენ, რომ თვენახევარში- პროგრესის განსახილველად- ისევ შეხვედობდნენ. ასევე, მნიშვნელოვან სიახლეებს დილით და საღამოს ერთმანეთში გაცვლიდნენ.

სხვისი პერსპექტივის დანახვა- უნარი, გაიაზრო სიტუაცია სხვისი თვალთახედვით და პოზიციიდან. საჭიროა, სხვის ადგილას წარმოიდგინო თავი. რას იგრძნობდი, იფიქრებდი და გააკეთებდი იგივე სიტუაციაში.

გუნდმა ასევე გადანყვიტა:

- მომზადდეს და გავრცელდეს მშობლებისთვის ქცევის მართვის პოზიტიური მიდგომის შესახებ მოკლე ინფორმაცია (იხილეთ ბოქსი 1), სადაც გაკეთდება ჩანაწერი იმის შესახებ, რომ აღმზრდელები ყველა ბავშვთან იმუშავენ სხვა ბავშვების მიერ წამოწყებულ თამაშებში შესაფერისი და პოზიტიური ხერხებით ჩართვაზე.
- პირველი კვირის განმავლობაში, ჯგუფი შეიკრიბება ეზოში და საუზმემდე იქ ითამაშებენ. დააკვირდებიან, ეს როგორ აისახება ბავშვების შემდგომ ქცევაზე, განსაკუთრებით- ლევანიზე.
- უფროსები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნავდნენ და შეაქებდნენ ყველა ბავშვს, ვინც სხვას თამაშში ჩართვის საშუალებას მისცემს.
- აღმზრდელ-პედაგოგი წახალისებს ლევანის, ლევანს და ალექსანდრეს, რომ მანქანის და ფარების გამოყენებით, ერთად ითამაშონ და მათ თამაშს გაუკეთებენ წამახალისებელ, აღწერით და პოზიტიურ კომენტარებს.
- აღნიშნავენ, როდესაც ლევანი ბავშვებთან ერთად თავს მშვიდად გრძნობს.
- ეზოში წყლის აქტივობით დაკავდებიან და სხვა ბავშვსაც ჩართავენ თამაშში. ასევე, დაგეგმავენ უფრო კრეატიულ თამაშებს გართა სივრცისთვის.
- ორი კვირის განმავლობაში, დააკვირდებიან პროგრესს და გააკეთებენ ჩანაწერებს.

ბოქსი . მაგალითები ბალის პოზიტიური გაძღოლის პოლიტიკის დოკუმენტიდან

- ბალის პერსონალმა და მშობლებმა თავი უნდა შეიკავონ ბავშვის შეუფერებელი ქცევის ნეგატიური იარაღებით შეფასებისაგან. მაგალითად: „ცელქი“, „ჯიუტი“, „მოუსვენარი“, „გატუტუცებული“, „აგრესიული“. ასევე, ისეთი ტრადიციული შექებისგან, როგორცაა: „კარგი გოგო“, „კარგი ბიჭი“, რადგან ასეთი შექება არ ეხმარება ბავშვს, გაიგოს, რა საქციელს უწონებთ, ან რას მოელოთ მისგან. მაგალითად, თუ გაზიარების წახალისება გინდათ, ბავშვს უნდა უთხრათ არა „რა კარგი გოგოა“, არამედ „მადლობა, ნინო, რომ ანას ჭურჭელი გაუყავი“, ან „რა კარგად მოიფიქრე ანას თამაშში ჩართვა“, ან „გავიგე, როგორ უთხარი ბავშვებს, რომ მათთან ერთად გინდა თამაში. შენ სწორი გზა მოძებნე ამისათვის, მეგობრებს გასაგებად უთხარი შენი სურვილის შესახებ. ვამაყობ შენით“.
- ბალის პერსონალი და მშობლები ყურადღებით უნდა იყვნენ ბავშვის მხრიდან წამოსული მინიშნებების მიმართ. მაგალითად, უფროსმა ბავშვს უნდა უთხრას: „ელენე, ვხედავ, როგორ აკვირდები ბავშვების თამაშს. ვფიქრობ, მათთან გინდა თამაში, ასეა? თუ ასეა, შემიძლია დაგეხმარო, როგორ მიმართო მათ. უთხარი, რომ მათთან თამაში გინდა. თუ იტყვი, ისინი შენს სურვილებს ადვილად გაიგებენ. პირველ ჯერზე, აჩვენეთ მაგალითი და თქვენ თქვით მის ნაცვლად. ან თუ ამჩნევთ, რომ ბავშვი პირდაპირ, გამომწვევად ერთვება თამაშში, უთხარით: „სანდრო, ჯერ ნებართვა აიღე ბავშვებისგან. ჰკითხე - შეიძლება, მეც ვითამაშო თქვენთან ერთად?“
- დააკვირდით და აღნიშნეთ ბავშვების დადებითი და მისაღები ქცევა. უფრო ხშირად გააკეთეთ პოზიტიური კომენტარები: „შევამჩნიე, როგორ შეუკარი მეგობარს ელვა. ამით დაეხმარე, სწრაფად მომზადებულიყო ეზოში გასასვლელად.“

სიხშირის ცხრილი

	5.02	6.02	7.02	8.02	9.02	ჯამი
ქცევითი სირთულეები	✓✓✓✓✓✓✓✓ ✓✓	✓✓✓✓✓	✓✓✓✓✓✓✓✓ ✓✓	✓✓✓✓✓✓✓✓ ✓	✓✓✓✓✓✓✓✓ ✓✓	47
პროსოციალური ქცევა	✓	✓✓		✓	✓✓	5

ორი კვირის შემდეგ

	7.03	8.03	9.03	10.03	11.03	ჯამი
ქცევითი სირთულეები	✓✓✓✓✓✓✓✓	✓✓✓✓✓	✓✓✓✓✓	✓✓✓✓✓✓✓✓	✓✓✓✓✓✓	32
პროსოციალური ქცევა	✓✓	✓✓	✓✓✓	✓✓	✓✓	10

ორი კვირის შემდეგ გაკეთებულ ჩანაწერებსა და სიხშირეების ცხრილში აშკარად შეინიშნება პოზიტიური ცვლილებები ლევანის ქცევისა და ბავშვებთან ურთიერთობაში.

29.02.2018

ლევანი მანქანას აგორებს და დრამატულ ცენტრში მოთამაშე ბავშვებთან შერბის. აღმზრდელ-პედაგოგი: ლევანი, ბავშვებს არ მოსწონთ, როდესაც თამაშში ხელს უშლიან. მოდი მოვიფიქროთ, რა როლი შეიძლება ითამაშო შენი მანქანით. ისინი ექიმობანას თამაშობენ. შენ ვინ იქნები?... მოდი, შენ სასწრაფო მანქანის მძღოლი იყავი... ვითომ ადამიანი მოგყავს, რომელსაც ძალიან სტკივა რაიმე და სწრაფად უნდა შეიყვანო ექიმებთან, რომ დროულად დაეხმარონ. რას იტყვით, ბავშვებო... ელენე: „კარგი“. „მადლობა, ელენე. ლევანის გაუხარდა, რომ თამაშში ჩართე. ლევანი სწრაფი მძღოლია და არ დააყოვნებს პაციენტის მოყვანას. როცა ავადმყოფს დატოვებ, ჩემთან მოდი, ელენეს აქვს სხვა პაციენტების მისამართები და გეტყვის, ვინ მიიყვანო შემდეგი. ლევანი ბავშვებთან 8 წუთის განმავლობაში თამაშობდა.“

30.02.2018

დღის წრეზე ლევანი გვერდით მოისვა, რომ დაეინტერესებინა კუს ამბით. ბრაზის მართვის ბარათებიც დაათვალიერეს. შემდეგ ისაუბრეს, ვინ რაზე ბრაზობს. ბავშვებმა სხვადასხვა სუტუაციები გაიხსენეს. შემდეგ ისევ გაიმეორეს, რას იყენებს კუ ბრაზის მოსარევად. აღმზრდელმა ისიც აღნიშნა, რომ ხანდახან გვაინწყდება ამ ტექნიკების გამოყენება და ველარ ვმართავთ ჩვენს ხელებს, ფეხებს, ხმას. მერე ეს მეგობრებს სწყინთ და აღარ უნდათ ჩვენთან თამაში. პრობლემა კი არ გვარდება. ამიტომ, ერთმანეთს შევახსენოთ. შემდეგ ბავშვებს ჰკითხა, თუ სად გაეკრათ კუს ბარათები. აღმზრდელმა, ასევე, ანახა ბაკანი, სადაც შეეძლოთ შეძრომა და დამშვიდება. აქტივობა 10 წუთი გაგრძელდა. 5 წუთი დაუთმო დღის თემის გაცნობას.“

2.03.2018

აღმზრდელმა შესთავაზა ლევანის და 3 ბავშვს, დრამატულ ცენტრში კუს ბრაზის მართვა გაეთამაშებინათ. 3 ბავშვი წინასწარ შეირჩა: ელენე, რომელიც ჯგუფურ წესებს კარგად მიყვება. ნიკო, რომელსაც, ასევე, უძნელდება ბრაზის მართვა და საჭიროებს დახმარებას და გიორგი, რომელიც კარგად ახერხებს კონფლიქტების მოგვარებას.

4.03.2018

აღმზრდელ-პედაგოგი ბავშვების მცირე ჯგუფის სამაგიდო აქტივობას ადევნებს თვალს, სადაც ლევანიცაა ჩართული. ლევანი მარკერს ართმევს გიორგის, რომელსაც ჯერ არ დაუსრულებია საქმიანობა. აღმზრდელ-პედაგოგი შენიშნავს: „ლევანი, უნდა დაელოდო, სანამ გიორგი არ დაასრულებს“. ლევანი სკამიდან დგება და სკამს წააქცევს. „ვხედავ, გაბრაზებული ხარ“ - ეუბნება აღმზრდელ-პედაგოგი - „მაგრამ უნდა დაელოდო, სანამ დაასრულებს, ან სთხოვო. მოდი, დაჯექი ჩემთან. სანამ რიგს ელოდები, შეგვიძლია მეორე მარკერი, ან მაკრატელი გამოვიყენოთ.“ ლევანი წრიალებს, მაგრამ მითითებებს ასრულებს.

7.03.2018

ლევანი კუბურების ცენტრში მიდის. აღმზრდელ-პედაგოგი ამჩნევს, უახლოვდება და ეკითხება: „ლევანი, რისი გაკეთება გინდა კუბურებით?“ „სახლის“-პასუხობს ლევანი. აღმზრდელ-პედაგოგი: „ჯერ რა უნდა ააშენო?“ ლევანი არ პასუხობს. შეგიძლია მაჩვენო, სად იქნება კედლები? ლევანი აჩვენებს. აღმზრდელ-პედაგოგი: „რა სიმაღლის უნდა იყოს კედლები?“ ლევანი ხელით აჩვენებს. აღმზრდელ-პედაგოგი: „რამდენი კუბურა დაგჭირდება ამ სიმაღლე კედლების ასაშენებლად.“ ლევანის მოაქვს კუბურების კალათა და იწყებს კედლის შენებას. აღმზრდელ-პედაგოგი: „ამ შენობას კარი ექნება?“ ლევანი თავს უქნევს. „როგორ ფიქრობ, სად ექნება კარი?“ ლევანი კედელზე აჩვენებს. აღმზრდელმა გადაწყვიტა, ამ თამაშში ლევანიც ჩართოს, რომელიც ბოლო დროს, მცირე ჯგუფური აქტივობებისას, კონფლიქტის გარეშე ახერხებდა ლევანისთან ურთიერთობას. აღმზრდელ-პედაგოგი: „გატყობ, დიდი გეგმები გაქვს. ვინმეს ხომ არ დაიხმარ? ერთად უფრო სწრაფად ააშენებთ.“ გინდა, ლევანს დაუძახოთ?“ ლევანი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს. აღმზრდელ-პედაგოგი: „ოღონდ, ლევანს უნდა ავეუხსნათ, რისი აშენება გაქვს ჩაფიქრებული. ლევან, ლევანისთან ერთად ააშენებ, ახლა აგისხნის, რის აშენებას აპირებს“. ლევანი: „მოდი, სახლი ავაშენოთ“. აღმზრდელ-პედაგოგი: „ისიც აჩვენე, რა სიმაღლის კედლები გინდა ამოიყვანო ამ კუბურებით, სად აპირებ კარის გაკეთებას“. ლევანი: „ხო, აი ამხელა. კარი აქ უნდა გაუკეთო“. ლევანი: „მე მანქანის გზას გავაკეთებ. ასფალტიც უნდა დავაგო“. ლევანი: „ხო, მეც“. აღმზრდელ-პედაგოგი: „მომზონს, როგორ გაინანილეთ საქმე. ერთმანეთსაც დაეხმარეთ.“ აღმზრდელ-პედაგოგი სხვა ბავშვებისკენ გადაერთო და თანაშემწეს სთხოვა, თვალყური ედევნებინა ლევანის და ლევანის თამაშისთვის. გადაწყვიტა, აღენიშნა მათი ერთად თამაში, მცირე ჩანაწერიც გაეკეთებინა და ლევანის დედისთვისაც ეთქვა.

9.03.2018

გადავწყვიტეთ, ლევანისთვის ისევ შეგვექმნა ლევანთან თამაშის შესაძლებლობა. ლევანს ასევე უყვარს მანქანებით თამაში. ბავშვებს ფარეხის აშენება ვთხოვეთ, რომელსაც სურათს გადავუღებდით. საბოლოოდ, ეს თამაში იმით დასრულდა, რომ მათ თამაშს სხვა ორი ბიჭიც შეუერთდა.

10.03.2018

აღმზრდელმა დაინახა, როგორ მიქანდა ლევანი ბავშვების ერთ ჯგუფთან, აიღო კუბურა მათი ყუთიდან და სწრაფად დაბრუნდა იმ ბიჭებთან, რომლებთან ერთადაც ცათამბჯენებს აშენებდა. ერთ-ერთი ბავშვი ყვირილით გამოეკიდა და ჩხუბი დაიწყეს. როცა აღმზრდელ-პედაგოგი მიუახლოვდა, ლევანიმ კუბურას ხელი გაუშვა და გაბრაზებული სახით დადგა. აღმზრდელმა ლევანის მზრუნველად გადახვია მხარზე ხელი და მშვიდად უთხრა მეორე ბავშვს: „გიო, უთხარი ლევანს, რას გრძნობ“. გიო: „არ მომზონს, ჩემი შენობიდან რომ აიღე კუბურა“. შემდეგ აღმზრდელ-პედაგოგი ლევანს მიუბრუნდა: „გიო გაბრაზდა, დაუკითხავად რომ აიღე მათი ყუთიდან კუბურა“. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მხარზე დამამშვიდებლად უსვამდა ხელს და ხმადაბლა ელაპარაკებოდა. „თხოვნის შემთხვევაში, შეიძლება გათხოვოს, თუ არადა, სხვა რამე მოვიფიქროთ, რითი შეიძლება გააგრძელოთ მშენებლობა.“ სხვა რამეს მოვიფიქრებ“- უპასუხა ლევანიმ. აღმზრდელმა გაუღიმა: „ლევანი, სწრაფად იზრდები. ძალიან კარგი გადაწყვეტილებია. სხვა დროს არ დაგავინწყდეს, სთხოვო, სანამ მეგობრის ნივთს აიღებ“.

რამდენიმე კვირაში, ლევანის სახლში ასეთი ჩანაწერიც გაატანეს:

ძვირფასო ნინო,
დღეს ლევანიმ შესანიშნავად გაართვა თავი იმედგაცრუებას და არ გაბრაზდა, როდესაც დიდი შრომის შედეგად აშენებული კომპი გიგიმ შემთხვევით დაუნგრია. გაბრაზების ნაცვლად, მეგობრებს უთხრა, რომ სადილის შემდეგ ისევ ააშენებდნენ. სთხოვეთ, მოყვეს ამის შესახებ და შეაქეთ ასეთი საამაყო საქციელისათვის.
დიდი მადლობა.
მანანა

4. თინა

დაუნის სინდრომი

- თინა 5 წლის კომუნიკაბელური ბავშვია, რომელსაც ბაღში სიარული უყვარს. მისი დიაგნოზი დაუნის სინდრომია. თავის სურვილებსა და ემოციებს, ძირითადად, ჟესტებითა და მიმიკით გამოხატავს. უჭირს თავისი აზრებისა და სურვილების მეტყველებით გამოხატვა, საკუთარი რიგის დალოდება და ამის გამო, შეიძლება, ვინმეს ხელი კრას. ბევრად მეტი ესმის, ვიდრე გამოხატავს. თუმცა, ხანდახან ნინო მასწავლებელი ფიქრობს, რომ ორსაფეხურიან ინსტრუქციებს ვერ აგებინებს. სიტყვების უმრავლესობას გაურკვევლად ამბობს. ახლახან დაიწყო სამსიტყვიანი ფრაზების გამოყენება, თუმცა სიტყვებს არასწორად აკავშირებს ერთმანეთთან. 2 წლის წინ, როცა ბაღში სიარული დაიწყო, თინას ქცევა უფრო რთული სამართავი იყო. ნინო ვერ ხვდებოდა, როდის შეეძლო ეკბინა რომელიმე ბავშვისთვის. უჭირდა წიგნის საათზე გაჩერებაც. ჭამის დროს, სულ დახმარება სჭირდებოდა და შეიძლება, მაგიდიდან ჭურჭელი ძირს გადმოეყარა.

ბაგა-ბაღში თინას განვითარების ინდივიდუალურ გეგმაზე გუნდი მუშაობს. ამ გუნდის წევრები თინას დედა, მისი ორივე მასწავლებელი, ბაგა-ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგი და ენა-მეტყველების თერაპევტი არიან. გუნდის შეხვედრას, პირველ ჯერზე, ნინოს ადრეული ჩარევის სპეციალისტიც ესწრებოდა, რომელიც მასთან ინდივიდუალურად, შინ მუშაობს. ნინოს შეფასების ფორმასა და ინდივიდუალურ გეგმაში გაერთიანებულია ის საჭიროებები და განვითარების მიზნები, რაც საბავშვო ბაღის გარემოში მისი ინკლუზიისთვისაა რელევანტური.

თინა, ბაგა-ბაღის გარემოში, მისმა მასწავლებელმა ნინომ, მეტყველების თერაპევტმა და სპეციალურმა პედაგოგმა შეაფასეს.

თინას შესაფასებლად, ნინო და სპეციალური განათლების პედაგოგი ბავშვის განვითარების სტანდარტსა და ბავშვის განვითარებისა და ჩრდილში დაკვირვების არაფორმალურ ინსტრუმენტებს დაეყრდნენ. ენა-მეტყველების თერაპევტმა კი კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების განვითარების ინსტრუმენტები გამოიყენა.

თინას გუნდი ყოველ 6 თვეში ერთხელ იკრიბება და მის მიღწევებსა და საჭიროებებზე მსჯელობს. როდესაც გუნდი პირველად შეიკრიბა, ყველა მათგანისთვის ცხადი იყო, რომ პირველ რიგში, თინასთვის უნდა ესწავლებინათ, რომ ბავშვებისთვის კბენა და ხელის კვრა არ შეიძლება.

თინას მასწავლებლისთვისაც და სპეციალური განათლების პედაგოგისთვისაც ცხადი იყო, რომ ოჯახთან ერთად დაგეგმვა და ჩარევა მნიშვნელოვანი იქნებოდა. ორივემ იცოდა, რომ როდესაც საქმე დამატებითი საჭიროებების მქონე ბავშვების ქცევას შეეხება, მათ მიმართ არსებული მოლოდინის და თანმიმდევრულობის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. უფროსები, მათ შორის ბავშვის მშობლებიც, ხშირად უშვებენ შეცდომას და ფიქრობენ, რომ რადგან ბავშვს განვითარების დარღვევა აქვს, მისგან ადეკვატურ ქცევას ნაკლებად უნდა ველოდეთ და მის მიმართ მოთხოვნა შესაძლოა, ნაკლები იყოს. პირველ ფორმალურ შეხვედრამდე, ამ საკითხზე თინას დედასთან სასაუბროდ, ნინო და სპეციალური განათლების პედაგოგი განსაკუთრებით მოემზადნენ. მოიმარაგეს ამ თემაზე არსებული ლიტერატურა, მათ შორის, მშობლებისთვის განკუთვნილი ლიტერატურაც. თინას დედას აუხსნეს, რომ თუ ოჯახის ყველა წევრს, თინას დამოუკიდებლობისა

და სოციალურად მისაღები ქცევის მიმართ, მაღალი მოლოდინი ექნებოდათ, ამ მოლოდინს თანმიმდევრულად და პოზიტიურად გამოავლენდნენ, მის ყოველ პოზიტიურ მცდელობას წაახალისებდნენ და მიუღებელი ქცევის შემთხვევაში, ყოველთვის მკაფიოდ და გასაგებად აუხსნიდნენ, როგორ ჯობია მოქცევა, თინა ქცევას უფრო ადვილად გაიუმჯობესებდა. მათ ხანგრძლივად ისაუბრეს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისთვის, მითუმეტეს დამატებითი საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, თანმიმდევრული გზამკვლევა და პოზიტიური მაგალითის მიცემა.

დროთა განმავლობაში, უფროსების თანმიმდევრული და კოორდინირებული მცდელობის შედეგად, თინას ქცევა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ახლა გუნდი თინას სხვა საჭიროებებზე მუშაობს.

ერთ-ერთი მიზანი, რომლის განვითარებაზეც წინა წელს მუშაობდნენ, დამოუკიდებლად კვება იყო. სახლში 4 წლის თინას ყოველთვის ბებო აჭმევდა ხოლმე, რადგან ფიქრობდა, რომ თინასთვის ხელში კოვზისა და ჩანგლის მიცემა ნაადრევი იყო. თავიდან ასე ფიქრობდა ნინოც. თუმცა, მას შემდეგ, რაც სპეციალური პედაგოგის დახმარებით, თინას დამოუკიდებლად კვების საშუალება მისცეს, ყველამ დაინახა, რამდენად სწრაფად აითვისა თინამ ეს უნარი. ამ მიღწევის საჩვენებლად, ბაღში ბებოც დაპატიჟეს და მას შემდეგ, თინა ოჯახური სადილების დამოუკიდებელი თანამონაწილეც გახდა.

სპეციალური განათლების პედაგოგმა თინას დედასთან და ბებოსთან იმაზეც ისაუბრა, თუ რამდენ რამეს სწავლობენ ბავშვები, როდესაც სუფრას უფროსებთან ერთად უსხედან და მათ საუბარში მონაწილეობენ. შემდეგში, ამგვარ ოჯახურ სადილებსა და ბაღში დამოუკიდებლად კვების დროს, თინამ ისწავლა ისეთი სიტყვები, როგორცაა: ცხელია, გემრიელია, მარილი, მომანოდე, ბარდის წვნიანი და ა.შ.

ბაღში თინა, სხვა ბავშვებთან ერთად, რეგულარულად ეხმარება ნინოს თანაშემწეს სუფრის განწყობაში. მას ეს საქმიანობა განსაკუთრებით უყვარს.

როდესაც თინა მისმა ენა-მეტყველების თერაპევტმა ბოლოჯერ შეაფასა, მისი შეფასების შედეგები ასე გამოიყურებოდა:

	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
კომუნიკაცია	უყვარს ბაღში სიარული, უფროსებთან და ბავშვებთან კომუნიკაცია.	მოთხოვნების, შეფასებების და შეგრძნებების სიტყვებით გამოხატვა: - „წყალი მინდა, დავილაღე, წიგნი კარგია“
ენა-სემანტიკა	ბევრ რამეს იგებს, თითქმის ყოველთვის ასრულებს ერთსაფეხურიან ინსტრუქციებს.	სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკის გაფართოება. ორსაფეხურიანი ინსტრუქციების შესრულება.
ენა-მორფო-სინტაქსი	დროდადრო ცდილობს გამოიყენოს კუთვნილებითი ფორმები და ნაცვალსახელები.	ისეთი ფორმების გამოყენება, როგორცაა: „შენი ქუდი“, „მაკას ფანქარი“.
არტიკულაცია	ის სიტყვები, რომელსაც ამბობს, გასაგებია მისი მშობლებისა და ახლობლებისათვის.	გაუმჯობესებული არტიკულაცია სიტყვების და სიტყვათა კომბინაციების გამოყენებისას.

ბაღის ენა-მეტყველების თერაპევტი ფიქრობს, რომ ის უნარები, რისი გაუმჯობესებაც თინას, ენა-მეტყველების თვალსაზრისით, ჭირდება, მრავალმხრივი მიდგომით უფრო ეფექტური იქნება. ამიტომ, გუნდის ბოლო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ კომუნიკაციის სფეროსთან დაკავშირებული მისი ზოგიერთი მიზანი ჯგუფში განსახორციელებელ აქტივობებში იქნება ინტეგრირებული; ზოგიერთზე, მაგ. არტიკულაციის გაუმჯობესებაზე, ენა-მეტყველების თერაპევტი ინდივიდუალურ და/ან მცირე ჯგუფურ სესიებზე კვირაში ორჯერ იმუშაებს. ზოგი მიზანი სახლის აქტივობებში იქნება ჩაშენებული.

რამდენადაც ახლა თინას ჯგუფში ფერების სწავლაზე მუშაობენ, ნინო და მისი სპეციალური განათლების პედაგოგი ფიქრობენ, რომ კარგი იქნება, თუ თინაც ისწავლის ორი ფერის დასახელებას და მოთხოვნას.

თინას ფუნქციური გრძელვადიანი მიზნები¹ ახლა ასეთია:

1. ხატვის აქტივობის დროს, ნინო, სხვა 3 ბავშვთან ერთად, ხატავს და სთხოვს ბავშვებს, როდესაც რომელიმე ფერის ფანქარი სჭირდება. მიღწევის ვადა- 3 თვე.
2. ელოდება თავის რიგს ხელის დაბანისას. მიღწევის ვადა- 2 თვე.
3. მეტყველებისას იყენებს კუთვნილების აღმნიშვნელ ფორმებსა და ნაცვალსახელებს (დათოს ქუდი, ჩემი ფანქარი, ბებოს სათვალე, შენი სათამაშო და სხვა). მიღწევის ვადა- 4 თვე.

პირველი გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად, ცხადია, რომ თინამ ფერების ცნობა და სახელდება უნდა იცოდეს. ორი ან სამი ფერის გარჩევის სწავლება-თინას გრძელვადიანი მიზნის მოკლევადიანი მიზანი შეიძლება იყოს. ამ მიზნის მისაღწევად კი, ბაგა-ბაღშიც და სახლშიც, მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება შეიძლება. ნაცვლად იმისა, რომ ბავშვს მოვთხოვოთ დაასახელოს ესა თუ ის ფერი, უმჯობესია, ფერები ბუნებრივ გარემოში დაისწავლოს. თუ თინასთვის მიზნად დავისახავთ, რომ ნითელი და მწვანე ფერების გარჩევა ისწავლოს, კარგი იქნება, ოჯახს ვთხოვოთ, მაგალითად, თინას ნითელი ფერის დღეები მოუწყონ. ამ დღეებში ნინო ჩაიცმევს ყველაფერს ნითელს, ბაღში ნითელი ბუშტით მივა, მასწავლებელი და სხვა ბავშვებიც იზრუნებენ, რომ ამ დღეს ბაღში ნითელი ფერი უხვად იყოს და ამ ფერის გარშემო ბევრ საინტერესო აქტივობებს მოიფიქრებენ. ბალიდან სახლში მიმავალ გზაზე, ნინო და მისი დედა მაღაზიაში შევლენ და მხოლოდ ნითელი ფერის პროდუქტებს იყიდებიან. ცხადია, მხოლოდ რამდენიმე დღე, რაც არ უნდა დასამახსოვრებელი და ხალისიანი იყოს ეს დღეები, ფერის კარგად შესასწავლად საკმარისი არ არის, ამიტომ, სანამ თინა ნითელს და მწვანეს ისწავლის, მის გვერდით მყოფი უფროსები, ყოველ ჯერზე, დაასახელებენ ამ ფერს, როდესაც თინას ამ ფერებთან ექნება შეხება. ოღონდ ისე, რომ „გამოცდას“ (ფერის ცოდნაზე) არ მოუწყობენ.

პირველი გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად, თინამ თხოვნაც უნდა ისწავლოს. ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიები შემდეგია: მცირე ჯგუფურ აქტივობებში, იქნება ეს საუბრე, სადილი თუ სამხარი, ხატვა, ლოტოს თამაში თუ სხვა, აღმზრდელ-პედაგოგი, ან აღმზრდელ-პედაგოგი ბავშვებთან ერთად ჩაერთვება და თინასა და სხვა ბავშვებს სოციალურად მისაღები თხოვნის მაგალითებს მისცემს: „ლუკა, თუ შეიძლება, პური მომანოდე“, „თინა, წყალი დაგისხა?“. „აი, გამომართვი ნითელი კუბურა. მგონი, სახლის სახურავისთვის გჭირდება“ და ა.შ. მასწავლებელი სთხოვს თინას მშობლებსაც, რომ სახლში, ოჯახის წევრებმა, თინასთან ერთად სადილობისას, მსგავსი შინაარსის ფრაზები უხვად გამოიყენონ.

¹ ფუნქციური მიზნის შესახებ იხ: ამ წიგნის მეორე ნაწილი, თავი 15

მეორე მიზნის მისაღწევად, ყოველთვის, როდესაც ბავშვები ხელის დასაბანად გადიან, აღმზრდელ-პედაგოგი ყურადღებას აქცევს, რომ თინა რიგში არც პირველი იდგეს (ასე ის რიგის დაცვას ვერ ისწავლის) და არც ძალიან უკან (რადგან დიდხანს ლოდინი მას სხვა ბავშვებზე მეტად გაუჭირდება). პირველი თვის მანძილზე თინა რიგში ყოველთვის მეორე იქნება და აღმზრდელ-პედაგოგი ყოველთვის გაახმოვანებს, ჯერ გიორგის ჯერია, მერე თინას ჯერია და ა.შ. იგივე სტარტეგია იქნება გამოყენებული ეზოში გასვლისას, საქანელაზე ჩამოსრიალებისას და ა.შ. რიგის დაცვის, დალოდებისა და ერთმანეთის გათვალისწინების აუცილებლობაზე მასწავლებელი თანმიმდევრულად მუშაობს ყველა ბავშვთან. მათთან თამაშისას, წიგნის კითხვისას თუ წრის აქტივობებისას, მუდმივად მოუხმობს მსგავსი ტიპის კომენტარებს: „მაიკო, ცოტა დაიცადე, ახლა თამუნამ უნდა დაასრულოს თავისი სათქმელი და მერე შენ მოგისმენ“, „მანო, მომეწონა, თინას კიბეზე ასვლა რომ აცალე და არ გაასწარი“ და ა.შ.

მესამე მიზნის მიღწევის სტრატეგია თინასთან თამაშისას ან სხვადასხვა რუტინული საქმეების შესრულებისას (ჭიკინა, ჩაცმა, ჭამა, დაძინება და ა.შ.), „ვისია?“ შეკითხვის ხაზგასმაა. ოღონდ, მნიშვნელოვანია, რომ უფროსები ამ შეკითხვას სულ თინას კი არ უსვამდნენ, არამედ საკუთარ თავსაც ან ერთმანეთსაც ეკითხებოდნენ: „ნეტა, ვისია ეს სათვალე?“ თუ თინამ სწორი პასუხი გაგცათ, ცხადია, ამის აღნიშვნა და თინას შექება მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში, თუ თინამ პასუხი არ გაგცათ, შეგიძლიათ ასე გააგრძელოთ: „თინა, ეს სათვალე მანანასია? მივუტანოთ მანანას? აი, მანანა, შენი სათვალე მოგიტანეთ, სათვალე მანანასი ყოფილა“ და ა.შ.

ცხადია, ენობრივი განვითარებისათვის ასევე უხვად გამოიყენება ისეთი სტრატეგიები, როგორცაა მოკლე საბავშვო ლექსებისა და სიმღერების ხშირი გამეორება და ერთად სიმღერა, ასევე თინას საყვარელი საბავშვო წიგნების კითხვა, ერთად თვალიერება და საუბარი.

თინას საუკეთესო მეგობრები და ქომაგები დანიელი, თეკლა და რუსკა არიან. როდესაც წინომ შეატყო, რომ ბავშვების ყურადღებას თინას განსაკუთრებული მეტყველება და ქცევა იზიდავდა, მან ეს რეალობა განსხვავებულობასა და მსგავსებებზე, მეგობრობასა და ზრუნვაზე სალაპარაკოდ გამოიყენა. თინას დედასთან შეთანხმებით, ბავშვებს აუხსნა, რას ნიშნავს ქრომოსომები; რომ სწორედ ჩვენს უჯრედებში არსებული ქრომოსომებია პასუხისმგებელი ჩვენი თმისა და თვალის ფერზე, სახის ნაკვთების მოყვანილობაზე, ხასიათსა და განვითარებაზე. წინომ ბავშვებს უთხრა, რომ ჩვეულებრივ, ადამიანებს ყველა უჯრედში 46 ქრომოსომა აქვთ, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს კი- 47 და, რომ ეს იწვევს მათი შესაძლებლობების განსხვავებულობას. ბავშვებს მეტი რომ გაეგოთ დაუნის სინდრომის შესახებ, წინომ მათ ნაუკითხა მოთხრობა „ჩვენი ძმა, ალბინი“². წინომ თინასთან დაკავშირებით ბავშვებს ხშირად ეკითხება რჩევას: „- როგორ ფიქრობთ, როდის გრძნობს თავს თინა ყველაზე კარგად? როდის არის შედარებით გაღიზიანებული? როგორ მოვიქცეთ დილის წრეზე რომ არ ირბინოს? რას ფიქრობთ, ვინ შეიძლება თინას მეგზური იყოს სასრიალოზე?“ და ა.შ. წინომ ბავშვებისგან ძალიან საინტერესო რჩევებსა და დახმარებას იღებს. ხედავს, როგორ სწავლობენ თინას ჯგუფელები ფიქრს, დაგეგმვას, ზრუნვას, ემპათიას, როგორ იფართოებენ წარმოდგენას სამყაროზე და ყველაფერ ამით ძალიან ამაყობს.

2 წიგნიდან „10 განსაკუთრებული გაკვეთილი“. გვ. 36.

5. ლუკა

აუტიზმი

- ლუკა 3 წლისაა, მას ახლახან დაუდგინეს აუტიზმის სპექტრის დარღვევა. ბალში გაჩერება უჭირს, ხშირად ყრის სათამაშოებს და ლიზიანდება. ყველაზე მეტად სახლიდან მოტანილი მანქანით თამაში უყვარს. აღმზრდელ-პედაგოგისთვის განსაკუთრებით რთულია მისი გაჩერება დილის წრის დროს. დღის მანძილზე, დროდადრო ცდილობს, ჯგუფიდან გაიქცეს და , თუ ამის საშუალება არ ეძლევა, იატაკზე წვება და ყვირის.

როგორც ყველა ბავშვის შემთხვევაში, ლუკას შემთხვევაშიც, თუ გვინდა, რომ მას დავეხმაროთ, ორი რამ უნდა გავითვალისწინოთ: 1) ლუკას ინტერესები, რა მოსწონს და რა უყვარს მას, ვისთან ამყარებს კომუნიკაციას ყველაზე მარტივად და 2) გავიხსენოთ, რა ვიცით ზოგადად აუტიზმის შესახებ და დავფიქრდეთ, როგორ შეიძლება ეს ცოდნა გამოვიყენოთ ლუკას შემთხვევაში.

რა ვიცით აუტიზმის შესახებ:

აუტიზმის მქონე ბავშვის ტვინს ინფორმაციის მიღების, გადამუშავების და მასზე რეაგირების განსხვავებული გზები აქვს. გადამუშავების ეს გზები გარე სამყაროს აღქმისა და შემეცნების, ასევე სწავლის, კომუნიკაციისა და ურთიერთობების სხვაგვარობას იწვევს. აუტიზმის მქონე ბავშვები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ მხედველობის, სმენის, შეხების, ყნოსვისა და გემოს შეგრძნებების მიმართ. ზოგიერთი მათგანი ამ შეგრძნებების მიმართ ზემოქმედებას, მაგალითად, ვერ იტანს ხმაურს, ზედმეტად განათებული გარემოს, მოულოდნელ შეხებას, მკვეთრ სუნს და გარკვეულ გემოებს. ზოგიერთი კი ამ შეგრძნებების მიმართ ქვემოქმედობას - ურჩევნია მაგრად ჩახუტება, სხვადასხვა (ხანდახან არასაკვები ნივთების) გემოების დაგემოვნება, კაშკაშა ნივთების და მზის სხივების ყურება და ა.შ. ხანდახან ამ შეგრძნებების ზღურბლი იცვლება და ერთი და იგივე ბავშვს, დღის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა შეგრძნებების მიმართ სხვადასხვა მგრძობელობა შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ, მათთან ურთიერთობისას დაკვირვებული და გულისხმიერი უფროსის თვალი ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთ დროს, გულისხმიერი უფროსი, სიტუაციიდან გამომდინარე, ბავშვს ან ყურსასმენს სთავაზობს, ან მზის სათვალეს. უქმნის ისეთ გარემოს, რომ ბავშვი დამშვიდდეს და ძალები აღიდგინოს, ან, პირიქით, უქმნის ისეთ გარემოს, სადაც ბავშვი მისთვის საჭირო სტიმულებს უსაფრთხოდ მიიღებს.

აუტიზმს ხშირად თან ახლავს მოძრაობის საჭიროება - ხან შფოთვის დასაძლევად, ხან სიხარულის გამოსახატად, ხან ინფორმაციის გადასამუშავებლად. ეს მოძრაობა შესაძლოა, გამოიხატოს კოტრიალში, ტრიალში, ცეკვაში, ხოხიალში, ხტუნვაში, ხელების ქნევაში და ა.შ. მნიშვნელოვანია უფროსებს გვესმოდეს, რომ ეს გამომწვევი, უფროსის გასაღიზიანებლად წამოწყებული ქცევა კი არა, საკუთარი ემოციების რეგულირებისა და ინფორმაციის გადამუშავების გზაა. ასევე, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ აუტიზმის მქონე ზოგიერთ ბავშვს ზედმეტი მოძრაობა და არასტაბილურ პოზიციაში ყოფნა - ესკალატორი, საქანელა- ძალიან ამინებს.

აუტიზმის მქონე ზოგიერთ ბავშვს ახასიათებს სტერეოტიპული ქცევა: რწევა, რაიმე საგნის ხანგრძლივად ტრიალი და სხვა, რაც, ასევე, თვითრეგულირების, საკუთარი თავის დაკავების და სტრესულ გარემოსთან გამკლავების ერთ-ერთი ხერხია.

კომუნიკაცია და ენა, ბავშვის ცხოვრების პირველივე თვეებიდან, უფროსებთან დამყარებული ინტერაქციისა და ემოციური ჩართულობის გზით ვითარდება. მას შემდეგ, რაც ჩვილი ემოციურად შეიგრძნობს და ნელ-ნელა „სწავლობს“, რომ მისი კომუნიკაციური სიგნალები სხვების უკურეაქციას იწვევს, ის მიზანმიმართული კომუნიკაციური სიგნალების გაგზავნას იწყებს. ბავშვისა და უფროსის ურთიერთჩართულობის ეს პროცესი სამი რამით ხასიათდება: გამიზნული კომუნიკაციის სურვილი, კომუნიკაციური სიგნალების გაცვლა-გამოცვა და გაზიარებული ყურადღება (გაზიარებულ ყურადღებას განვითარების თავისი სტადიები აქვს: ბავშვის ყურადღების ფოკუსი უფროსზეა მიმართული, ბავშვის ყურადღების ფოკუსი უფროსის ყურადღების ფოკუსს მიყვება და ბავშვი სხვის ყურადღებას იქცევს, რათა მისი ყურადღება რაიმე საგნის ან მოვლენის მიმართულებით წაიყვანოს). სამივე კომპონენტი კომუნიკაციისა და ენობრივი განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი საფუძვლებია და უმეტეს ნილად, აუტიზმის მქონე პატარა ბავშვებს სირთულეები სწორედ აქ - განზრახული კომუნიკაციის, კომუნიკაციის გაცვლა-გამოცვლის და გაზიარებული ყურადღების უნარებში აქვთ. ენა, როგორც შეთანხმებულ სიმბოლოთა საკმაოდ რთული სისტემა, თავისი წესებითა და სტრუქტურით, სწორედ ამ საბაზისო უნარებზე შენდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სანამ ბავშვებს ენის დაუფლებასა და მეტყველებას მოვთხოვთ, მათ გაზიარებული ყურადღების, მიზანმიმართული კომუნიკაციისა და კომუნიკაციური გაცვლების მნიშვნელობის გაგებასა და დასწავლაში დავეხმაროთ.

როგორც წესი, მეტყველებას აუტიზმის მქონე ბავშვები გვიან იწყებენ. ზოგიერთი ბავშვი შესაძლოა, ენას დაეუფლოს, სიტყვების შინაარსი ისწავლოს და დანიშნულებისამებრ, ბარათების ან ბუნებრივი ყესტების მეშვეობით გამოიყენოს. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ორალურ-მოტორული დისფუნქცია იმდენად ძლიერია (როდესაც მას პირის ღრუს აპარატის სამეტყველოდ მობილიზება ძალიან უჭირს), რომ მას მეტყველება არ შეუძლია.

გახსოვდეთ, რომ აუტიზმის მქონე ბავშვები სტრუქტურირებულ, მოულოდნელობებისაგან დაცულ გარემოში თავს უფრო უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობენ. მათთვის რთულია რუტინის შეცვლა და ამიტომ, მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ ხოლმე. ზოგიერთ ბავშვს, რომელიც უკვე განვითარების ლინგვისტურ სტადიაზეა, შეიძლება ვერბალური მითითებაც ესმოდეს, მაგრამ ზოგი ბავშვისთვის სასარგებლო იქნება, თუ ეს მითითებები ვიზუალურად, ბარათების მეშვეობითაც იქნება დამყარებული. თუმცა, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ბარათები, თავისთავად, სიმბოლოებია. აუტიზმის მქონე ზოგიერთ ბავშვს სიმბოლური ნიშნებით ოპერირება შეიძლება უჭირდეს, და იმის გასაგებად, რომ ბარათი ამა თუ იმ აქტივობას გამოხატავს, დრო დასჭირდეს. მანამდე, მასთან ბევრი უნდა ვიმუშაოთ გაზიარებულ ყურადღებასა და კომუნიკაციურ გაცვლა-გამოცვლაზე.

მნიშვნელოვანია, ლუკას, პირველ ეტაპზე, ბალის გარემოში ერთი კომუნიკაციური პარტნიორი მაინც ჰყავდეს, ვისთანაც რაიმე ინტერაქციაში იქნება ჩართული, თუნდაც დღეში მხოლოდ რამდენიმე წუთის მანძილზე გრძელდებოდეს. ამ ინტერაქციის დასამყარებლად, უმჯობესია, შეგვეძლოს იმის დანახვა, რა შეუძლია ბავშვს.

ლუკას შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ის მანქანებით ინტერესდება და უყვარს სიმღერა ანაბანაზე. ასევე, შეუძლია შეხედვით, ან ხელის მოკიდებით და ჩვენებით, მიგვანიშნოს, რა უნდა. სწორედ ამ თვისებებზე დაყრდნობით უნდა მოხერხდეს მისი ჩართვა ჯგუფის ცხოვრებაში.

ლუკას ენისა და მეტყველების თერაპევტი, რომელთანაც ის კერძოდ დადის, ბაღში ლუკას ინდივიდუალური გეგმის განსასაზღვრად დაგეგმილ შეხვედრას დაესწრო. ამ შეხვედრას ლუკას მშობლები, ლუკას მასწავლებლები, ბალის სპეც.პედაგოგი და ფსიქოლოგი ესწრებოდნენ. ლუკას ენისა და მეტყველების თერაპევტის რჩევით, ბალის გარემოში, მის მიზნად განისაზღვრა, რომ მისთვის სახალისო აქტივობის დროს:

- ლუკა შეძლებს ყურადღების გაზიარებას,
- ორმხრივ კომუნიკაციაში ჩართვას
- კომუნიკაციური ინიციატივის გამოჩენას

თითოეული მიზნის მიღწევის ვადად 2 თვე განისაზღვრა. გადაწყდა, რომ ეს აქტივობა მანქანით თამაში იქნება, რადგან ლუკა ყველაზე მეტად საკუთარი მანქანითაა დაინტერესებული.

ბაგა-ბაღში ლუკას გარშემო არსებული გუნდის წევრები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ როდესაც ლუკა რამდენიმე უფროსთან დაამყარებდა ინტერაქციას, შემდეგ, ხელი შეეწყობოდა ამის განზოგადებას რამდენიმე ბავშვის შემთხვევაშიც და ნელ-ნელა ლუკა ისწავლიდა ისეთი სიტყვების გამოყენებას (ბარათებით ან ვერბალურად), როგორცაა: „კიდე“, „მინდა“, „კარგია“, „მომწონს“, „არა“.

იმისათვის, რომ ბავშვი იყოს ჩართული, შემოდიოდეს კომუნიკაციაში და იჩენდეს კომუნიკაციის ინიციატივას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, გვესმოდეს შეუძლია თუ არა ბავშვს ყურადღების გაზიარება. მაგალითად, როდესაც ბავშვი დაკავებულია რაიმე საგნით - ატრიალებს მანქანის ბორბალს, აკაკუნებს ფანქრით ფურცელზე, უყურებს მზის სხივების კვალს ოთახში ან აკეთებს ნებისმიერ სხვა რამეს, შეუძლია მას, ამავდროულად, ამ ქმედებასთან დაკავშირებული მისი ყურადღება და ემოცია სხვასაც გაუზიაროს? ყურადღების გადანაწილების სწავლება შესაძლებელია მხოლოდ იმაზე დაკვირვებით, თუ რა აქტივობა, რა საგანი მოსწონს და აინტერესებს ბავშვს, რის მიმართაა ემოციურად პოზიტიურად განწყობილი და შემდეგ, ამ აქტივობაში შეწყობით. შეწყობის მთავარი პრინციპია, ბავშვთან ერთად, მის პარალელურად აკეთოთ ის, რაც მას მოსწონს და როგორც კი ბავშვი ყურადღებას თქვენზე გადმოიტანს, რაიმე პოზიტიური უკუკავშირი მისცეთ - გაუღიმოთ, ან რაიმე პოზიტიური უთხრათ. თუ მაგალითად, ბავშვი რაიმეს აგორებს, თქვენც იგივე გააკეთეთ და დაელოდეთ. თუ ბავშვი მიგანიშნებთ, რომ კიდევ გააგოროთ, გააგოროთ. შემდეგ ისევ დაელოდეთ მის რეაქციას, რომ განიშნოთ, თუ კიდევ უნდა. თუ ამგვარი ინტერაქცია შედგება, ეს უკვე ნიშნავს, რომ ბავშვმა ყურადღება თქვენსა და საგანს შორის გაანაწილა. თუ რაიმეს გაკეთება გთხოვთ ან მიგანიშნა, რომ გააკეთოთ და თქვენ ეს გააკეთეთ, ეს უკვე კომუნიკაციური გაცვლა-გამოცვლაა და ბავშვის მხრიდან კომუნიკაციური ინიციატივის გამოჩენაც. ბავშვთან კომუნიკაციის ამ გზით დამყარება იმის საფუძველია, რომ მას ნელ-ნელა მეტი აქტივობების მიმართ გაუჩნდება ინტერესი, პოზიტიური ემოციური კავშირი და გამოიჩენს კომუნიკაციის მეტ ინიციატივას.

სანამ შეწყობის სტრატეგიას დაგეგმავთ, არ დაგავინწყდეთ, გაიაზროთ ბავშვის სენსორული პროფილი: თქვენი როგორი ხმა და ლაპარაკი მოეწონება მას? რა რეაქცია ექნება შეხებაზე? და სტრატეგია შესაბამისად დაგეგმეთ.

რამდენიმედღიანი დაკვირვებისა და მშობლის გამოკითხვის შედეგად, ლუკას მასწავლებელმა უკვე იცის, რომ ლუკას უცაბედი შეხება და ხმაური არ სიამოვნებს და, შესაძლოა, ამან ძალიან გააღიზიანოს. თუმცა, მისი ყურადღების მიქცევა შესაძლებელია მაშინ, როდესაც „მის სივრცეში“ მოექცევი, მკაფიოდ და გარკვევით მიმართავთ, თუმცა არა ზედმეტად ხმამაღლა.

ლუკასთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პირველ შეხვედრაზე ითქვა, რამდენად მოსწონთ ბავშვებს, განსაკუთრებით კი აუტიზმის მქონე ბავშვებს, წინასწარგანსაზღვრული რიტუალების შესრულება. ლუკას ფსიქოლოგმა აუხსნა გუნდის წევრებს, რომ ამგვარი რიტუალები ლუკას წინასწარი მოლოდინის გრძნობას გაუჩნდა და გაურკვევლობით გამონვეულ სტრესს შეუმცირებდა. ლუკას ბაღში მოსვლის რიტუალი უფრო წინასწარგანსაზღვრული რომ გამხდარიყო, მასწავლებელმა დედას ლუკას ფოტოს მოტანა სთხოვა, რომელსაც, თავის ფოტოსთან ერთად, წინასწარ მომზადებულ ყუთში ჩადებდა, რათა ყოველ დილას მასწავლებლისა და ლუკას ფოტოების დაკიდება ბაღში მოსვლის რიტუალი გამხდარიყო. ეს რიტუალი ლუკას წინასწარგანსაზღვრულობის მეტ შეგრძნებას მისცემდა და ბაღში მისვლასა და დარჩენას გაუადვილებდა.

ლუკას მშობლები და აღმზრდელ-პედაგოგი შეთანხმდნენ, რომ პირველ ეტაპზე, ლუკა ბაღში მივიდოდა დილის წრისა და საუზმის შემდეგ, როდესაც ბავშვებს ცენტრებში თავისუფლად თამაშის დრო აქვთ, რათა აღმზრდელ-პედაგოგს მეტი დრო ჰქონოდა, ლუკას ქცევას თავისუფლად დაკვირვებოდა და სიტუაცია ისე მოეწყო, რომ ლუკასთან ერთად, მშვიდ კუთხეში ინტერაქციის შესაძლებლობა მისცემოდა.

აღმზრდელმა გაითვალისწინა, რომ კუთხეში, სადაც ლუკა პირველ ჯერზე ითამაშებდა, ბევრი გამლიზიანებული (სათამაშოები, ყურადღების მისაქცევი საგნები) არ ყოფილიყო. თავიდან, როდესაც აღმზრდელ-პედაგოგი ლუკას გვერდით დაჯდომას და მის პარალელურად მანქანის ბორბლის ტრიალს და წინ და უკან ტარებას შეეცადა, ლუკას ყურადღება ვერ მიიპყრო. მაგრამ როდესაც შემდეგ ჯერზე ისე მოეწყო, რომ ლუკას მხედველობის არეალში იყო და თანაც, დროდადრო, ლუკას საყვარელ სიმღერასაც მღეროდა (რომლის შესახებაც ინფორმაცია მშობლისგან მიიღო), ლუკამ ერთი-ორჯერ წამიერად შეხედა. მასწავლებელს ლუკას ეს მზერა არ გამოპარვია და როდესაც, სიმღერისას, ლუკამ ისევ გამოხედა, მისი მიმართულებით მანქანა უფრო სწრაფად გააქანა და კედელს დააჯახა. ლუკამ მასწავლებელს შეხედა, მაგრამ თავისი საქმიანობა განაგრძო. ცოტა ხანში მასწავლებელმა ისევ დააჯახა მანქანა კედელს და ლუკას რეაქციას დაელოდა, გაუღიმა და ჰკითხა: „კიდე?“ ლუკას მზერამ და თავის ოდნავ დახრამ მასწავლებელს მიანიშნა, რომ ლუკას ისევ უნდოდა ენახა, როგორ შეაჯახებდა მასწავლებელი მანქანას კედელს.

პირველი ორი თვის მანძილზე, შეჩვევის ეტაპზე, ლუკა ბაღში მხოლოდ შუადღემდე დადიოდა. მას შემდეგ, რაც ლუკას ბაღში მოსვლის ერთი და იგივე რიტუალი ჩამოუყალიბდა და ორ უფროსს მანქანით თამაშსა და ქვიშაში თამაშში შეეწყო, ლუკას გუნდმა დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, როგორ გაეზარდათ ლუკას ბაღში ყოფნის დრო და როგორ შეეწყობოდა ხელი, რომ ლუკას რამდენიმე საბაზისო სიტყვის გამოყენებაც შეძლებოდა.

გადაწყდა, რომ ისეთ სიტყვებს, როგორცაა: „კიდე“, „მინდა“, „მომწონს“, ლუკას მანქანებით თამაშისას და ასევე, ეზოში საქანელაზე ქანაობისას გაუვარჯიშებენ. ლუკას მასწავლებელმა უკვე იცის, რომ ლუკა მოძრაობისადმი მიდრეკილი. მას დროდადრო ისეთი აქტივობები უნდა შევთავაზოთ, სადაც მოძრაობა იქნება ჩართული, თორემ სხვაგვარად, თუ შედარებით მშვიდი და უმოძრაო აქტივობების დრო ძალიან გახანგრძლივდა, ის მოუსვენრობას, სათამაშოების გადმოყრას და ჯგუფში წრეზე სირბილს დაიწყებს. ამიტომ, ლუკას შინაგანი მოთხოვნილება- დროდადრო იმოძრაოს და ირბინოს, გამოყენებული იქნება მისი ბაღში ყოფნის დროის გასახანგრძლივებლად და ასევე, მისთვის საბაზისო სიტყვების გამოყენების სიტუაციის შესაქმნელად.

ლუკას მოძრავ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა არა მხოლოდ ეზოში აქვს, არამედ ყოველდღიურად, რამდენიმე ბავშვთან ერთად, დიდ დარბაზშიც შეყავთ, სადაც მას სირბილისა და კოტრილის შესაძლებლობა ეძლევა. გარდა ამისა, როდესაც ბაღში მასთან ინდივიდუალურად, ან მცირე ჯგუფში სპეციალური განათლების პედაგოგი და ფსიქოლოგი მუშაობს, ისინი თავიანთ სესიებში მონაცვლეობით მოძრავ თამაშებსაც რთავენ.

სწორედ ამგვარი აქტივობებისას, როდესაც მის გვერდით გულისხმიერი კომუნიკაციური პარტნიორები არიან, ლუკამ დაიწყო სიტყვების - „კიდე მინდა“, „მომწონს“ - გამოყენება.

ახლა უკვე ლუკა ბაღში მთელ დღეს ატარებს და მისი ინდივიდუალური გეგმის ნაწილია:

- 1) ისწავლოს მისაღმება და დამშვიდობება - ამის მაგალითს მასწავლებელი ბავშვებს ყოველდღიურად აძლევს და ყველა ჯერზე ბავშვებს ხელის დაქნევითა და სახელით მიმართვით ესაღმება და ემშვიდობება. მისაღმებისა და დამშვიდობების სოციალური წესი ყველა ბავშვმა კარგად დაისწავლა, მათ შორის ახლა ლუკასაც შეუძლია ხელის დაქნევა, როცა შეახსენებენ.
- 2) ისწავლოს რიგის დაცვა - ლუკასთვის რიგის დაცვა რომ გაეადვილებინა, მასწავლებელმა აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის (ტრანზიციის) წესები შეცვალა. ახლა ბევრ ბავშვს ერთად უსაქმოდ ყოფნა და რიგში დგომა აღარ უნევს, რამაც ჯგუფში ქცევის წესები გააუმჯობესა და ლუკასაც გაუადვილა თავისი რიგის დალოდება.
- 3) ისწავლოს ჯერ-მერე თანმიმდევრობა - ამ მიზნის მისაღწევად, მასწავლებელმა ონკანთან ხელის დაბანის თანმიმდევრობის აღმნიშვნელი ბარათები დაკიდა. მასწავლებლის თანაშემწის მოვალეობაა, ლუკას მისცეს დამოუკიდებლობა ხელის დაბანისას, ყოველ ჯერზე შეახსენოს ხელის დაბანის თანმიმდევრობა და თან ბარათებზე მიუთითოს.
- 4) დამოუკიდებლად ჩაიცვას და გაიხადოს ფეხსაცმელები და ქურთუკი - ლალი მასწავლებლისთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ შეიძლებოდა, ლუკას ფეხსაცმელების დამოუკიდებლად გახდა და ჩაცმა ესწავლა. ის თვლიდა, რომ ამისთვის მის ჯგუფში მყოფი დანარჩენი ბავშვებიც არ იყვნენ მზად. გარეთ გასვლისას ლალი მასწავლებელი და მისი თანაშემწე თითქმის ყველა ბავშვს ეხმარებოდნენ ჩაცმაში, რასაც ძალიან ბევრი დრო მიჰქონდა და უსაქმურად დარჩენილი ბავშვები ერთმანეთთან ჭიდაობით ერთობოდნენ. როდესაც ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგი მათა და ლალი მსჯელობდნენ, როდის და როგორ უნდა ესწავლა ლუკას დამოუკიდებლად ჩაცმა და გახდა, ორივესთვის ცხადი იყო, რომ ლუკა ამას უფრო მეტი მონდომებით გარეთ გასვლისას გააკეთებდა, როცა ფუნქციური თვალსაზრისით აზრიანი იყო და როდესაც ამას სხვა ბავშვებიც აკეთებდნენ. ამ თემაზე მსჯელობისას ლალი და მათა იმ დასკვნამდეც მივიდნენ, რომ ყველა ბავშვისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა, თუ ლალი მათ დამოუკიდებლობას მეტად წახალისებდა. ჯერ ერთი, ბავშვები შეიძენდნენ დამოუკიდებელი თვითმომსახურების ახალ უნარებს და ერთმანეთისთვის მუჯლუგუნის კვრის ნაკლები ასპარეზი დარჩებოდათ. ლალი გაკვირვებული დარჩა, როდესაც ნახა, რამდენად სწრაფად და უმტივინულოდ ისწავლეს ბავშვებმა, ლუკას ჩათვლით, დამოუკიდებლად გახდა და ჩაცმა.

მასწავლებელმა იცის, რომ თუ ლუკა მაგიდის ქვეშ შეძვრა ან კუთხეში მიიმალა, ე.ი. მას დრო სჭირდება დასასვენებლად, განმარტოებისათვის და ასეთ დროს მას წყნარი კუთხისკენ მიმართავს ხოლმე.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სპეციფიკური საჭიროებები

შემთხვევის აღწერა

4 წლის ელენეს დედა, ბაღში სიარულის დაწყებამდე, დირექტორს და მომავალ აღმზრდელს შვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ შეხვდა. ელენეს მსხვერველად ძვლის სინდრომი აქვს. მას სპეციფიკურად შეკერილი ფეხსაცმელი გადაადგილებაში ეხმარება, რადგან ერთი ფეხი მეორესთან შედარებით მოკლე აქვს. როგორც დედა ამბობს, ელენეს ძვლები იმდენად მყიფეა, რომ ადვილად შეიძლება დაზიანდეს, გატყდეს უბრალო ნაქცევის შემთხვევაშიც. ელენეს, ასევე, სუსტი კუნთები აქვს, რაც მის ადვილად დაღლასაც იწვევს.

აღმზრდელ-პედაგოგი ელენეს მკურნალობის დეტალებით დაინტერესდა, კიდევ რა უნდა იცოდეს მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რაც გავლენას მოახდენს ელენეს სწავლასა და მონაწილეობაზე. როგორც დედა ამბობს, ეს სინდრომი არ იკურნება. თუმცა, გარკვეული სამედიცინო მეთვალყურეობით, მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია. ელენე ფიზიკურ თერაპიას გადის სხეულის გასაძლიერებლად, მოძრაობის, კოორდინაციის გასაუმჯობესებლად. ასევე, გარკვეულ მედიკამენტებსაც იღებს, რაც მის ბაღში ყოფნის პერიოდთან არ არის კავშირში.

რა უნდა იცოდეს აღმზრდელმა ელენეს შესახებ

მშობელთან თანამშრომლობა, წინასწარ საკითხების განსაზღვრა, თუ რაზე უნდა ნაიკითხოს და რა უნდა იცოდეს აღმზრდელმა, ინფორმაციის დროულ მოძიებაში დაეხმარება. თანამშრომლობა მშობელსა და აღმზრდელს სწორი გადაწყვეტილებების მიღებასა და პირველადი გეგმის შედგენაში დაეხმარება.

მნიშვნელოვანია, ბაღმა სასწავლო წლის დაწყებამდე მოახდინოს მშობელთან და სხვა სპეციალისტთან შეხვედრის ორგანიზება. ასეთი შეხვედრები ემსახურება გაცნობას, სპეციფიკური საჭიროებების განსაზღვრას, სწორ დეგემვასა და გამოსავლების ძიებას.

ბავშვზე დაკვირვებითა და მშობლის ჩართულობით ბავშვის სპეციფიკური საგანმანათლებლო საჭიროებები ვლინდება, რაც განვითარების უფრო ღრმა შეფასებას საჭიროებს. ამ შემთხვევაში აღმზრდელ-პედაგოგი მშობელს შეფასების ორგანიზებაში ეხმარება და იწყებს მშობელთან და მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშრომლობას ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისთვის. ინდივიდუალური გეგმა სპეციფიკურ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო მიზნებს, მიზნის მისაღწევ საშუალებებსა და სტრატეგიებს მოიცავს.

აღმზრდელ-პედაგოგი აღელდა, რადგან მისგან კიდევ უფრო მეტი ყურადღება საჭირო, რომ სხვა ბავშვებმა, თამაშისას, ისეთი მოძრაობა არ გააკეთონ, რაც მის ნაქცევას და დაშავებას გამოიწვევს. თუმცა, იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ ელენე სრულფასოვნად იყოს ჩართული აქტივობებში. აღმზრდელ-პედაგოგი იმაზეც ფიქრობს, რომ ელენეს ეზოში და დარბაზში გასვლაც დამატებით სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

აღმზრდელმა გადაწყვიტა, ელენეს დაკვირვებოდა. ენახა, სად იყო საჭირო მისი განსაკუთრებული სიფხიზლე, როდის აღმოეჩინა დახმარება ელენესთვის და რისთვის უნდა მოერიდებინა იგი. ასევე, მშობელთან პირველი შეხვედრის შემდეგ, ბევრი დამატებითი კითხვა გაუჩნდა. პრაქტიკაში ახალი კითხვებიც დაემატა, რაზეც შეიძლება, ელენეს დედამ, პედიატრმა და სხვა თერაპევტებმა (ფიზიოთერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი) უპასუხონ, ან პასუხი ელენეზე და ბავშვებზე დაკვირვებით აღმოაჩინოს. ეს საკითხებია:

- არსებობს თუ არა ჯანმრთელობის ამ პრობლემასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბროშურა, რაც შეუძლია, მშობლისგან ან სხვა სპეციალისტებისგან ითხოვოს.
- რა იცის ელენემ თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და
- რა უსაფრთხოების ზომებს იცავს იგი
- როგორია ელენეს საკუთარ თავზე და მის კომპეტენციებზე წარმოდგენა
- რა უნდა გააკეთოს ან ვის უნდა დაურეკოს, თუ ელენე დაშავდა.
- რა შეუძლია უთხრას სხვა ბავშვებს ელენეს მდგომარეობის შესახებ?
- რა სტრატეგია უნდა მოიფიქროს, რომ ელენე მოძრავი ბავშვების დიდ ჯგუფს ისე მოარიდოს, რომ თამაშს არ მოაკლდეს
- როგორ მოარგოს ელენეს ბავშვებისთვის საყვარელი დარბაზის აქტივობები (კედელზე ცოცვა, საცალფეხო ხიდზე სიარული, სრიალი, ქანაობა) ისე, რომ ჩართულობა იყოს და ფიზიკური დაშავების რისკიც შეამციროს.
- როგორ შეაფასოს რისკები ექსკურსიებისა და სპეციფიკური შემთხვევების ორგანიზებისას.
- როგორ დაიცვას ბალანსი უსაფრთხოების წესების სწავლებას, დაცვასა და ბავშვის დამოუკიდებლობას შორის.

ზოგიერთ კითხვაზე პასუხი უკვე არსებობს ოჯახისა და სპეციალისტების მხრიდან, ზოგიერთზე პასუხები და გადაწყვეტები ხანგრძლივი ურთიერთობის, პრაქტიკის და კოლეგებთან თანამშრომლობის შედეგად მიიღება.

მნიშვნელოვანია, სასწავლო წლის დაწყებამდე, ბაღის წარმომადგენლების მხრიდან ბავშვის ოჯახთან და სხვა სპეციალისტებთან შეხვედრის ინიცირება.

ასეთი შეხვედრები ერთმანეთის გაცნობის, სპეციფიკური საჭიროებების განსაზღვრის, სწორი დეგემვის და გადაწყვეტების გამოძენის შესაძლებლობას იძლევა.

პირველი დღეები ბაღში

აღმზრდელ-პედაგოგი ყურადღებით აკვირდება ელენეს თამაშს, ბავშვებთან ურთიერთობას ბაღში. ტუალეტში მიყვება და ნახულობს, რომ ელენეს იქაც სჭირდება დახმარება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სველ იატაკზე ადვილად შეიძლება ნაიქცეს და იატაკი მუდმივად მშრალ მდგომარეობაში უნდა იყოს.

ეზოში ჩასვლისას, აღმზრდელ-პედაგოგი ელენეს უკან დგას, რათა თავიდან აირიდოს უკნიდან დაჯახება და ხელისკვრა. იძლევა საერთო მითითებას: “არ ვჩქარობთ, საკმარისი დრო გვაქვს ეზოში სათამაშოდ. ყველანი ნელა, ყურადღებით ჩავდივართ. ხელებს ვაკონტროლებთ/ვიმორჩილებთ, ან მოაჯირს ვკიდებთ.” შემდგომში, ეცდება, რომ ელენე მეგობართან ერთად ბოლოში დააყენოს.

დარბაზში აღმზრდელ-პედაგოგი ელენეს დაყვება და აკვირდება, როგორ იყენებს სხვადასხვა მონყობილობას. ელენე თოკების კიბეზეც ადის, საქანელაზეც ქანაობს, საცალფეხო ბილიკზეც დადის. მცოცავ კედელზე ასვლის სურვილი არ გამოთქვა. დახრილ ზედაპირზე თოკით ასვლა სცადა, თუმცა არ მოეწონა და ისევ საქანელას დაუბრუნდა. აღმზრდელ-პედაგოგი ყურადღებას არ აკლებს ელენეს, უკან დაყვება და აკვირდება ბავშვების და ელენეს მოქმედებებს და მოძრაობას. ფიქრობს, რა საერთო უსაფრთხოების ზომები უნდა შეიმუშაოს და წახალისოს ბავშვები, აფიქროს ამაზე.

მყიფე ძვლის სინდრომი ძვლის გენეტიკური დარღვევაა, რომლის დროსაც ძვალი ადვილად ტყდება. ჯანმრთელობის ეს მდგომარეობა სიმწვავის და სიმპტომების მიხედვით განსხვავდება. ზოგიერთი ბავშვი საჭიროებს ეტლს, ზოგი ყავარჯნებს, ან სხვა დამხმარე საშუალებებს იმისათვის, რომ დამოუკიდებლად გადაადგილდნენ. თაბაშირი და არტახები მოტეხილი კიდურების დასაფიქსირებლად გამოიყენება. ზოგიერთს, სიარულის და დგომისთვის, ფეხის აჭიმები სჭირდება. მწვავე მყიფე ძვლის სინდრომის შემთხვევაში, ბავშვებს ახასიათებთ სიდაბლე და ხშირი მოტეხილობები მინიმალური ტრამვის დროს. შედარებით მსუბუქი შემთხვევებისას, ბავშვებს ან ძალიან მსუბუქი, ან შეუმჩნეველი სიმპტომები ახასიათებთ. შესაბამისად, ბავშვებს განსხვავებული დახმარება და ასისტირება სჭირდებათ. ზოგიერთი შემთხვევა სმენის დაქვეითებასთან, ხერხემლის გამრუდებასთან და სუნთქვით სირთულეებთანაა დაკავშირებული.

რა უნდა გაითვალისწინო ბავშვის ორთოპედიული საჭიროებების დროს გარემოსთან მიმართებაში

მულტიდისციპლინურმა გუნდმა, რომელსაც წარმოადგენს ბავშვის საჭიროებების შესაბამისად შერჩეული ორი ან მეტი ბალის სპეციალისტი (აღმზრდელ-პედაგოგი, ფსიქოლოგი, მეტყველების სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ექთანი), ბავშვის გარემო სრულად უნდა შეაფასოს. შეფასების პროცესი მოიცავს ბავშვთან მომუშავე სპეციალისტების მხრიდან დაკვირვებას, ბავშვის სამედიცინო ისტორიის შესწავლას, ოჯახის დაკვირვებებისა და ინფორმაციის გაზიარებას.

გარემოს შეფასებისას დაიწყეთ იატაკის ზედაპირით - არის თუ არა ბავშვის საჭიროებების ადეკვატური. ასევე შეამოწმეთ კარების სიგანე (შედის თუ არა ეტლი, თუ იყენებს), ავეჯს შორის მანძილი, სამოძრაო სივრცე, ტუალეტის ხელმისაწვდომობა, ზღურბლი (არის თუ არა დამატებითი ბარიერი ბავშვისთვის), სახელურები (ადვილი გასაღებია თუ არა), კიბეები (რა სირთულეებთან არის დაკავშირებული). თუ არის არჩევანის შესაძლებლობა, ჯგუფი უკეთეს ოთახში უნდა გადავიდეს, ან არსებული შეკეთდეს. ტუალეტის ადაპტირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გადაადგილების სირთულეების მქონე ბავშვებისთვის. უმეტეს შემთხვევაში, გარემოს ადაპტირება მარტივადაც შეიძლება - საპნის დისპენსერის შესაბამის სიმაღლეზე დაკიდებით, სამუშაო ზედაპირის დადაბლებით. ასევე, სასწავლო წლის დაწყებამდე, ბავშვის ბაღში ვიზიტი და ყველა იმ ადგილზე მიყვანა, სადაც გადაადგილება მოუწევს, ბალის თანამშრომლებს დაეხმარება, წინასწარ განსაზღვრონ, რა ადგილები უნდა

მოარგონ და სად დასჭირდებათ ბავშვისთვის დამატებითი დახმარების აღმოჩენა.

ბავშვზე დაკვირვებით და მშობლის ჩართულობით შესაძლებელია, ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებიც გამოიკვეთოს, რაც განვითარების უფრო სიღრმისეულ შეფასებას ითხოვს. ასეთ შემთხვევაში, აღმზრდელ-პედაგოგი მშობელს შეფასების ორგანიზებაში ეხმარება და მშობელთან და მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად იწყებს ბავშვის ინდივიდუალურ გეგმაზე მუშაობას, რაც მოიცავს ბავშვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს და ამ მიზნების მისაღწევ სპეციალურ საშუალებებს და სტრატეგიებს.

ძირითადად, ორთოპედიული პრობლემები ფიზიკურ, სამედიცინო და უსაფრთხოების სპეციფიკურ საჭიროებებთან არის დაკავშირებული.

რა გადაწყვეტილებები მიიღო აღმზრდელმა ელენეს შემთხვევაში

- მწკრივის ბოლოში დაყენება, რომ თავიდან აირიდოს ხელისკვრა.
- ასევე, მეგობართან დაწყვილება, რომ იზოლირებულად არ იგრძნოს თავი.
- შეიძლება, ბავშვმა პატარა სკამზე უფრო კომფორტულად იგრძნოს თავი, ვიდრე ბალიშზე.
- ზოგიერთ ბავშვს შეიძლება დასჭირდეს ხატვის და წერის აქტივობის დროს, ჩაჭიდების გასამარტივებლად ადაპტიური ფანქრის, კალმის გამოყენება, ან ფანქრის დიამეტრის გაზრდა. ოკუპაციური თერაპევტი რეკომენდაციას გაგინევთ, როგორ გაუკეთოთ ადაპტირება არსებულ მასალას.
- ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვები შეიძლება, თანატოლებთან შედარებით, ადვილად ილღებოდნენ. დასვენების შესაძლებლობის მიცემა, ან აქტივობის ტემპის შენელება, ასევე სწორი სტრატეგიაა.
- იატაკის სისუფთავე და სიმშრალე, ფეხის აცურების და დაცემის რისკის შესამცირებლად.
- „წყნარი“ ადგილის მონყობა, სადაც ბავშვი, მეგობართან ერთად, განმარტოვებას და მშვიდად თამაშს შეძლებს.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ბავშვმა შეიძლება, ნებისმიერ სიტუაციაში (ბალის გარეთ, სახლში) მოიტეხოს რაიმე, და ეს არ შეიძლება იყოს არც აღმზრდელის, არც ბავშვების ბრალი. ბავშვის ბაღში ჩართულობა და თანატოლებთან ყოფნა, უფრო მეტი დადებითი მომტანია მისთვის, ვიდრე რისკის.

არსებობს ზოგადი წესები, რაც უნდა გაითვალისწინოთ მოტეხილობისას:

- ✓ არ გაამოძრაოთ დაზიანებული ადგილი, თუ არ არის ბავშვის გადაადგილების აუცილებელი საჭიროება (ხიფათისგან მოცილების აუცილებლობა). ბავშვმა შესაძლოა თავად გითხრათ, სად არის მოტეხილობა.
- ✓ უმჯობესია, მოერიდოთ ბავშვის ტრანსპორტირებას, სანამ მშობელი ან სპეციალისტი მოვა. თუ გარდაუვალია ბავშვის ტრანსპორტირება, მაშინ, რამდენადაც შესაძლებელია, დაშავებული ადგილი არ უნდა გაამოძრაოთ.
- ✓ უსმინეთ ბავშვს. მან შეიძლება სწორი მითითება მოგცეთ, როგორ გაამოძრაოთ დაშავებული ადგილი, ან როგორ დაუდოთ ბალიში ისე, რომ თავიდან აიცილოთ მოძრაობა.
- ✓ სანამ მშობელი მოვა, ეცადეთ, ბავშვს კომფორტი შეუქმნათ. თუმცა, ერიდეთ საკვების და სითხის მიცემას. შესაძლებელია, ბავშვს ანესთეზია დასჭირდეს.
- ✓ არ დაგავინყდეთ სხვა ბავშვების მხარდაჭერა. განსაკუთრებით მათი, ვინც თავს დამნაშავედ თვლის ან პასუხისმგებლობას გრძნობს მომხდარი ფაქტის გამო. ყველასთვის კომფორტულია, (დაშავებული ბავშვისთვის განსაკუთრებით), თუ გარშემო მყოფები სიმშვიდეს ინარჩუნებენ და თავს არიდებენ პანიკას და გაკიცხვას. თუ ვინმეს გამო მოხდა ეს ინციდენტი, ბოდიშის მოხდაზე მოგვიანებით შეგიძლიათ იფიქროთ, და არა ამ რთულ ვითარებაში.

ჯანმრთელობის პრობლემა გავლენას ახდენს ბავშვის არა მხოლოდ ზოგად ფიზიკურ მდგომარეობაზე, არამედ მის თვითშეფასებაზე, თვითრწმენაზე, მეგობრებთან ურთიერთობაზე, თამაშსა და საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობაზე. როგორც ყველა ბავშვთან, აღმზრდელ-პედაგოგი ფხიზლად უნდა იყოს, პრობლემის მქონე ბავშვი არ გარიყონ და დაჩაგრონ, განსაკუთრებით ბავშვების მიერ ინიცირებული თამაშების შემთხვევაში.

დაეხმარეთ სხვა ბავშვებს, გაიგონ მეგობრის სირთულეები და სპეციალური საჭიროებები, ამით ხელს შეუწყობთ არა მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვის სრულ ინტეგრაციას ჯგუფში, არამედ სხვა ბავშვებსაც დიდ დახმარებას აღმოუჩინთ. ბავშვების დაინტერესება ეტლით, ყავარჯნით, არტაშანით ან სხვა დამხმარე საშუალებებით ბუნებრივი პროცესია. უმჯობესია, შეზღუდულ შესაძლებლობებს ღიად გაუმკლავდეთ და ისაუბროთ ისე, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდოთ ბავშვი. გაითვალისწინეთ:

- ✓ არ შეეცადოთ, ჩაერიოთ ბავშვების დიალოგში, თუ სხვა ბავშვი ეკითხება მისი მდგომარეობის შესახებ, მაგალითად „რა მოგივიდა?“. შეიძლება ბავშვი თავს კომფორტულად გრძნობს და იცის, რა უპასუხო.
- ✓ მხოლოდ მაშინ ჩაერიეთ, თუ ბავშვი შეურაცხმყოფელ ან ღირსების შემლახველ სიტყვებს იყენებს.
- ✓ მიეცით ბავშვს შესაძლებლობა, ისაუბროს თავის შეზღუდულ შესაძლებლობაზე, მაგრამ ძალა არ დაატანოთ, თუ არ სურს ამაზე საუბარი. ასევე არ ისაუბროთ მასზე ისე, თითქოს იქ არ არის, ან არ ესმის.

- ✓ ზოგ ბავშვს სურს, გაუზიაროს სხვა ბავშვს თავისი დამხმარე მონყობილობა, ან ისაუბროს სამედიცინო გამოცდილებაზე, ზოგს არა. ბავშვისა და მშობლის თანხმობის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ, მისი ექიმი ან სპეციალისტი მოიწვიოთ ამ თემაზე სასაუბროდ.
- ✓ სხვა ბავშვების კითხვები და კომენტარები დისკუსიის და მსჯელობის ბუნებრივ შესაძლებლობას ქმნის. მაგალითად, ერთ-ერთმა შეიძლება თქვას, რა ბედნიერია, რომ ეტლით დადის. აღმზრდელ-პედაგოგის პასუხი ამ რეაქციაზე შეიძლება შემდეგი იყოს: „შენ რას ფიქრობ ამაზე?“ ამ შემთხვევაშიც დააკვირდით ბავშვის რეაქციებს, არ განიხილოთ ასეთი პირადი საკითხები, თუ ბავშვს ამაზე საუბარი არ სურს.
- ✓ წაუკითხეთ ასაკის შესაბამისი წიგნები შეზღუდულ შესაძლებლობებზე (მაგ. „ათი განსაკუთრებული გაკვეთილი“). გამოიყენეთ რეკვიზიტები - თოჯინა ეტლში და ა.შ. ვიზუალური ილუსტრაციები ბავშვებს ამბის გააზრებაში ეხმარება. მაგალითად, მყიფე და მყარი ძვლების დემონსტრირებისთვის, შეგიძლიათ, რომ მყარი და არამყარი ხის ტოტები გამოიყენოთ. აჩვენეთ, როგორ ტყდება ადვილად.
- ✓ ზოგიერთმა მშობელმა შეიძლება სურვილი გამოთქვას, სასწავლო წლის დასაწყისში ესტუმროს ბაღს და ბავშვებს შვილის შეზღუდულ შესაძლებლობაზე ესაუბროს.

ცერებრული დამბლა

მაკა საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობს. სასწავლო წლის დასაწყისში მაკას უთხრეს, რომ მის ჯგუფში ეტლით მოსარგებლე 3 წლის და 10 თვის ბიჭი იქნებოდა. როდესაც ბაღის ადმინისტრაცია ბავშვს და დედას შეხვდა, კოტე დედის კალთაში იჯდა. გასაუბრებისას რაიმე განსაკუთრებული განვითარების შეფერხება არ შეუმჩნევიათ. ერთადერთი საჭიროება, რაც იკვეთებოდა, დამოუკიდებლად გადაადგილების სირთულეები იყო.

ცერებრული დამბლა
მუცლადყოფნის, მშობიარობის ან ახლაშობილობის პერიოდში თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული მოძრაობის, პოზის და კოორდინაციის დარღვევა. ცერებრული დამბლა არ პროგრესირებს, თუმცა ზრდასთან ერთად უფრო შესამჩნევი ხდება. ეს მდგომარეობა იწვევს თავის ტვინიდან (დაზიანებული მოტორული უბნიდან) კუნთებისკენ მიმავალი შეტყობინებების „არევას“, რაც „უცნაურ“ მოძრაობებს და პოზას განაპირობებს.
ცერებრული დამბლა არ იკურნება, მაგრამ, შესაბამისი და დროული მხარდაჭერით, სხვადასხვა უნარების განვითარება, დასწავლა, კუნთების კოორდინაციისა და კონტროლის გაუმჯობესება შესაძლებელია. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებს სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სპეციალისტთან უნევთ ურთიერთობა. ესენი არიან: ფიზიოთერაპევტი, რომელიც მოძრაობის და პოზის გაუმჯობესებაში ეხმარება; ოკუპაციური თერაპევტი, რომელიც თამაშისა და ყოფითი აქტივობების ადაპტირებაზე მუშაობს, და კვების პროცესსა და კომუნიკაციურ უნარებზე მომუშავე ენისა და მეტყველების სპეციალისტი.

მაკამ კოტეს დედას შეხვედრა შეუთანხმა, რომ უფრო მეტი გაეგო ბავშვის მდგომარეობის შესახებ. კოტეს სპასტიური ტეტრაპარეზის დიაგნოზი თვეების ასაკში დაუსვეს.

სპასტიური ტეტრაპარეზი
ცერებრული დამბლის მრავალი ფორმა არსებობს. მისი კლასიფიკაცია იმის მიხედვით ხდება, თუ რამდენადაა მოძრაობის ფუნქციები დარღვეული და გავრცელებული. სპასტიური ნიშნავს კუნთების მომატებულ ტონუსს, ტეტრაპარეზი კი ოთხივე კიდურის მთლიან ან ნაწილობრივ მოცვას.

ოჯახმა რთული პერიოდი გამოიარა, რომ ბავშვის მდგომარეობას შეგუებოდა და მის საჭიროებებს მორგებოდა. კოტე, პერიოდულად, ფიზიოთერაპიის მკურნალობას გადის. ბაღშიც დღის პირველ ნახევარში ივლის, რადგან დღის მეორე ნახევარში ფიზიოთერაპევტთან დადის ვიზიტებზე. ადრეული

ინტერვენციის პროგრამაში ჯერ არ არის ჩართული. წელიწადნახევარია, რაც ადრეული ინტერვენციის ვაუჩერის მისაღებად მომლოდინეთა სიაშია. კოტეს ოჯახმა ერთი წელი შესაბამისი ბაღის ძებნაში დაკარგა. მაკამ დედა დეტალურად გამოკითხა, თუ როგორ უნდა მოპყრობოდა კოტეს და სპეციფიკურად რა უნდა გაეკეთებინა, რომ მისთვის აქტივობებში და ბაღის ცხოვრებაში ჩართვა გაეადვილებინა. დედამ წერილობითაც მიმართა ბაღს:

კოტეს აშინებს და თრგუნავს ხმაური, იძაბება კამათის დროს. გული უჩუყდება, თუ ვინმე უხეშად წაართმევს რაიმე ნივთს, არ აქცევს ყურადღებას. მოსწონს თბილი დამოკიდებულება. თავადაც თბილი და მოსიყვარულეა.

სასურველია, თავად იმოძრაოს, იხობოს, დაჯდეს-ადგეს. თუ ატირდა ან იკივლა, ე.ი. ძალიან ეტკინა. ეშინია ვარდნის. თუ არ ზის ან არ დგას მყარად - რამეზე დაყრდნობით ქანქარებს, ანუ წონასწორობას ვერ იჭერს, ჯობია გავასწოროთ და ისე დავტოვოთ.

ამ ეტაპზე, დგომის მოთხოვნილება აქვს. დგება - ეს ჩვენთვის დიდი მიღწევაა. ვეხმარები დგომიდან ჯდომის პოზიციაში გადასვლაში. „ნუ გეშინია, ჩამოდი, გაშალე ხელი, დადე დაბლა, გადმობრუნდი, მეორე ხელი, თითები გაშალე. ფეხები გაშალე განზე.“ ასეთი ინსტრუქციებით ვეხმარები და ვაძლევ დამოუკიდებლობას, რათა თავად გააკეთოს ბევრი რამ. მაგალითად, ჩაალაგოს სათამაშოები, დაალაგოს ფერის მიხედვით, აანყოს პირამიდა. ახლა მარტივი თავსატეხის ანყობაზე ვმუშაობთ. იცის, მაგრამ ხანდახან ეშლება თვლა და რიცხვები. ცოტას ჭამს. წვნიანის ჭამაში დახმარება სჭირდება.

ხანდახან ცდილობს, თავად ჩაიცვას შარვალი, ჩუსტი. ცდილობს ტაკოზე დაჯდომას. ითხოვს ტარებას. თუ გაატარებთ, უთხარით: „ხელები გაშალე, მომეცი ხელი, ნუ ჭიმავ, გამოუშვი ხელი“.

ფრჩხილებს ხშირად ვერ ვაჭრი. სანამ კარგად არ გაეზრდება, მარცხენა ხელის თითებს არ შლის ხოლმე. თუ წამოზრდილ ფრჩხილს შეამჩნევთ, უპასუხისმგებლობას ნუ დამაბრალებთ.

პატივისცემით,
ნინო.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების დამატებითი საჭიროებები

თითოეული ბავშვი ინდივიდია და ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების საჭიროებებიც ერთმანეთისგან განსხვავდება. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებს შეიძლება, დამატებითი საჭიროებები ჰქონდეთ, რაც მათთან მომუშავე უფროსებმა უნდა გაითვალისწინონ.

ეს საჭიროებებია:

ვიზუალური და სივრცითი ცნობიერება: ბავშვების უმეტესობას გარკვეული ვიზუალური ინფორმაციის გააზრების სირთულეები აქვს. ყველაზე მწვავე შემთხვევებში, ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებს მხედველობის რთული პრობლემები აქვთ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, მხედველობის გაუმჯობესება სტიმულაციით და შესაბამისი მხარდაჭერით არის შესაძლებელი. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების სირთულეები, ყველაზე ხშირად, სურათებთან, ხაზებიან ნახატებთან და ნანერებთან არის დაკავშირებული. ჩვეულებრივ, ადამიანებს სივრცითი ცნობიერება აქვთ, რასაც ისინი გარემო არსებულ საგნებთან და ადამიანებთან მოქმედებაში იყენებენ. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი შეიძლება, ეტლით რაიმე საგანს შეეჯახოს, ან ვერ მოზომოს საგნებს შორის არსებული მანძილი. შეიძლება, წიგნში ნახატის, ან დახატული საგნის აღქმა გაუჭირდეს და სიუჟეტის აღსაქმელად ნამდვილი საგნები დასჭირდეს.

მეტყველების და/ან ლექვის და ყლაპვის სირთულეები ხშირია ცერებრული დამბლის შემთხვევაში. ენისა და მეტყველების თერაპევტი საუკეთესო რჩევებს მოგცემთ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად და/ან ლექვისა და ყლაპვის პრობლემების გასამკლავებლად. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების უმეტესობა, მეტყველებას კომუნიკაციისთვის იყენებს, მაგრამ მათი მეტყველება შეიძლება ჩამორჩებოდეს, რაც აძნელებს ბავშვებთან ურთიერთობას და საჭიროებს კომუნიკაციაში დახმარებას.

სმენის სირთულეები: ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებში სმენასთან დაკავშირებული საჭიროებებიც საყურადღებოა. ისინი სმენითი სირთულეების მიმართ განსაკუთრებით მიდრეკილები არიან.

ეპილევსია: ჩვეულებრივ, ეპილევსია მედიკამენტებით იმართება. თუმცა, მედიკამენტური მკურნალობა ბავშვის ქცევაზე, ყურადღების კონცენტრაციაზე, ტუალეტის უნარ-ჩვევებზე შეიძლება მოქმედებდეს, რაც, ასევე, გასათვალისწინებელი და გასარკვევია. პერსონალმა უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს გულყრის შემთხვევაში და მზად იყოს ამისთვის.

სხვა: ზოგიერთ ბავშვს, შესაძლოა, ყურადღების კონცენტრაციასთან, მეხსიერებასთან, ძილთან, ტუალეტთან და სწავლის სპეციფიკურ უნარებთან დაკავშირებული დამატებითი სირთულეები ჰქონდეს.

აღმზრდელმა კოტე ბავშვების მცირე ჯგუფთან, მაგიდასთან დასვა. ბავშვები ლეგოს ასანწყობებით იყვნენ დაკავებული. მშობლისგან მიღებული ინფორმაცია მისთვის ღირებული იყო, მაგრამ კოტეს უკეთ გასაცნობად, გადანყვიტა, დღის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა აქტივობებისას მიზანმიმართულად დაკვირვებოდა და ჩანაწერები გაეკეთებინა. დედას სთხოვა, დასაწყისისთვის, კოტესთან გაეტარებინა რამოდენიმე ხანი, რომ მაკას ენახა, თუ როგორ უვლიდა და ეპყრობოდა მას.

მაკას დაკვირვების მიზანი იყო, გაეგო:

- კოტეს სპეციფიკური საჭიროებები. როგორ ზემოქმედებდა ცერებრული დამბლის მდგომარეობა სწავლისა და განვითარების პროცესზე
- რამდენად ხელმისაწვდომი იყო მისთვის გარემო და აქტივობები
- კონკრეტულად რა შემთხვევაში და ვისთვის უნდა მიემართა რჩევისა და ინფორმაციისთვის კოლეგებისა და გარე სპეციალისტებისთვის

- მეტი ინფორმაცია მიეღო, რათა პროაქტიულად, წინასწარდაგეგმილად უზრუნველყო კოტეს ჩართულობა
- ასევე, გაეთვალისწინებინა კოტეს საჭიროებები ახალი მასალების და ინვენტარის შეძენისას
- საჭიროების შემთხვევაში, დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, გადაეხედა პრაქტიკისათვის და ბალის პოლიტიკისათვის.

მაკას მიერ, სამი-ოთხი კვირის განმავლობაში, გაკეთებული ჩანაწერები:

დაკვირვების სფერო: დამოუკიდებლობა/თვით-მოვლა

თარიღი: 2-3 ოქტომბერი, 2017

დამოუკიდებლად, ხელით ჭამს მყარ საკვებს, თუ მცირე ზომის ნაჭრებად არის დაჭრილი. არ იყენებს კოვზს და ჩანგალს (დედის ნათქვამი). წვნიანის ჭამაში დახმარება სჭირდება. ჭამის დროს, სკამზე ჯდომისას, ხშირად სჭირდება გასწორება, რომ მყარად და სწორად იჯდეს. საჭიროებს ადაპტურ სკამს, რომ მყარად იჯდეს და არ ჩამოცურდეს.

ტუალეტი: უნიტაზზე ზის დამოუკიდებლად. სჭირდება დახმარება, რომ დაჯდეს. უნიტაზზე დასაფიქსირებლად პატარა დასაჯდომს საჭიროებს.

დაკვირვების სფერო: მიჯაჭვულობა, ინტერესები და ინსტრუქციის/ მითითებების შესრულება.

თარიღი: 2-3 ოქტომბერი, 2017

როდესაც დედა ჯგუფშია, მშვიდად არის. ვთავაზობ სხვადასხვა აქტივობებს და დედას ვეუბნები, რა უნდა გავაკეთოთ. ცოტა ხნის შემდეგ, ვთხოვ დედას, ადგეს და მე ვუჯდები გვერდით. მეც ვაკეთებ მასთან ერთად. დედა ამბობს: „უჭირს და არ შეუძლია ფანქრის და მაკრატლის გამოყენება“. დედა რასაც ეუბნება, არ ასრულებს. მე როდესაც ვუჯდები და ვეუბნები თუ რას ვაკეთებთ, ცდილობს ინსტრუქცია შეასრულოს.

ხატვისას, ფურცელი უსრიალებს და ძირს უვარდება. მოსაფიქრებელია, რით დავაფიქსირო ფურცელი მაგიდაზე. ასევე, უნდა ვასწავლო მარცხენა ხელით ფურცლის დაფიქსირება.

აკვირდება და ინტერესს იჩენს (უყურებს, იღიმება, კითხვებზე პასუხობს) ბავშვების სხვადასხვა საქმიანობების მიმართ. განსაკუთრებით იზიდავს დრამატული ცენტრი, ჭურჭლის რეცხვა და ხის, დასაჭრელი ბოსტნეული. ასევე, ხშირად ირჩევს კუბურების ცენტრს და ცხოველების ფიგურებს.

სხვა ბავშვებთან შედარებით, მანიპულაციური აქტივობებისას სწრაფად ილღება და წყვეტს აქტივობას, მეუბნება, რომ აღარ უნდა. შევთავაზებ ისეთ აქტივობას, რაც განტვირთავს, მაგ. ცხოველებით თამაში, რაც მისთვის მოსახერხებელ სიმალღეზეა განთავსებული, ნოხზე, კუბურების ცენტრში. დავეხმარები აქტივობის დასრულებასა და ალაგებაში.

ბევრს გვესაუბრება საკუთარ ცხოველებზე (ძაღვი, კატა) და ფრინველებზე (თუთიყუში).

ჯგუფში მის ძაღლს დავპატიჟებ, რომ გავიცნოთ და გავუადვილო ადაპტაციის პროცესი.

მის ნაცვლად არ გავაკეთებ არაფერს.

როცა ეტლს ჯგუფში შემოვიტან, ბავშვებს აუხსნი, რისთვის არის საჭირო. მივცემ მათ ეტლის შესწავლის, გამოცდის და კვლევის შესაძლებლობას.

აქტივობების ინდივიდუალიზაცია და ინდივიდუალური გეგმა:

მაკამ, დედასთან ერთად, გადანყვიტა თანდათანობით, ნახევარ-ნახევარი საათით გაეზარდა კოტეს ბალში ყოფნის პერიოდი.

მაკას ამოცანაა, კოტეს დამოუკიდებლად ხელის დაბანის შესაძლებლობა მისცეს.

დააინტერესოს და შესთავაზოს მრავალფეროვანი აქტივობები. მისცეს არჩევანის შესაძლებლობა. სანამ სხვა აქტივობაზე გადავა, დაეხმაროს, დაასრულოს წამოწყებული. აქტივობების დროს, დაეხმაროს მაკრატლის, წებოს, ფუნჯის და ფანქრის გამოყენებაში, ხელის ხელზე მოკიდებით და სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენების გზით, აქტივობების გამარტივებით. მაგალითად, მაკრატლის გამოყენებისას- დაეუჭერ ფურცელს, მოთმინებით დაველოდები. ასევე, ხშირად შევთავაზებ ცომით, ქვიშით და პლასტელინით თამაშს. პლასტელინს წინასწარ დავურბილებ.

ხატვისას, მუყაოს ჩარჩოს ფურცელზე სარჭებით დავამაგრებ, რომ ფურცელი მყარად დაფიქსირდეს მაგიდაზე. ასევე, კოტემ საზღვრები რომ იგრძნოს, რაც ხელის მოძრაობის გაკონტროლებაში დაეხმარება, დავუფენ ისეთ ქსოვილს (მაუდის მსგავსს, მაგალითად), რომ არ ისრიალოს.

დილის წრეზე გამოვიყენებ ეტლს და დავსვამ დაფის და ჩემ წინ, რომ მის სიმაღლეზე, პირდაპირ გვიყუროს დაფას და მე. თანაშემწე გვერდით იქნება.

მოსაფიქრებელია მასალების დამატებითი ადაპტაცია: მაგალითად, ჩაჭიდების გასამარტივებლად, მოკლე და მსხვილტარიანი ფუნჯების გამოყენება, ფანქრების გამსხვილება და ა.შ.

რადგან ოთახი მეორე სართულზეა, სივრცე ხელმისაწვდომი არ არის. ტუალეტში გადასადგილებლად, ეტლის გამოყენება დავგჭირდება.

დედას პერიოდულად მივანვდი ინფორმაციას და გადავუგზავნი ფოტოებს, რომ მუდმივად საქმის კურსში იყოს, თუ რას აკეთებს მისი შვილი ბალში.

ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ, მაკამ კოტეს ინდივიდუალური გეგმის მიზნები გამოყო. ესენია:

მყარი საკვების ჭამისას, ხელის ხელზე მოკიდებით, დავეხმარები, ისწავლოს კოვზის და ჩანგლის გამოყენება.

მივცემ შესაძლებლობას, იმუშაოს მრავალფეროვანი სახატავი საშუალებებით.

ინდივიდუალურ მიზნებზე შესათანხმებლად, მაკა მშობელს, ბალის ფსიქოლოგს და სპეც.პედაგოგს დაუკავშირდა. დანიშნულ დღეს მულტიდისციპლინური გუნდი შეიკრიბა. საუბარი კოტეს წარმატებებით დაიწყო - როგორ ერთვება ჯგუფურ აქტივობებში, როგორ მონაწილეობს ბალის რუტინაში. შემდეგ ის საკითხები განიხილა, რაშიც მათი დახმარება იქნებოდა მნიშვნელოვანი, კერძოდ, კოტეს მდგომარეობასთან დაკავშირებით, ჯგუფებთან საუბარი. მაკამ გეგმები გააცნო და დედას შესთავაზა, მასაც მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში. პირველ ჯერზე შეთანხმდნენ, რომ ბავშვებთან ეტლზე და გადაადგილების სირთულეებთან დაკავშირებით ისაუბრებდნენ. ბავშვებს მისცემდნენ საშუალებას, თავად მოესინჯათ ეტლი და ეცადათ გადაადგილება. შემდეგ ნაუკითხავდა ოქროსთმიანი გოგონასა და სამი დათვის ამბავს, სადაც დათვის

ბელს ცერებრული დამბლა აქვს და რეაბილიტაციის ცენტრში დადის (იხ. ათი განსაკუთრებული გაკვეთილი). ნახალისებს ბავშვებს, დასვან კითხვები, რომ სწორი პასუხები გაეცეს და ჯანსაღი წარმოდგენები ჩამოუყალიბდეთ კოტეს მდგომარეობაზე.

ამის შემდეგ, დედას სთხოვეს, ჩამოეთვალა მისთვის პრიორიტეტული მიზნები. მაკამ თავისი ამოცანები გააცნო. შეხვედრის ბოლოს საერთო მიზნებზე შეჯერდნენ. შეთანხმდნენ, რომ ერთ თვეში შეხვედბოდნენ, თუ განსაზღვრული სტრატეგიები პოზიტიურ ცვლილებებს ვერ მოიტანდა და, შესაბამისად, მიზნებს ვერ მიაღწევდნენ. წარმატებული მუშაობის შემთხვევაში კი შემდეგი შეხვედრა სამ თვეში დაინიშნებოდა.

ბალში ყოფნის პერიოდს ნელ-ნელა, ნახევარ-ნახევარი საათით ზრდიდნენ, რაც ერთ თვეში დასრულდა. დასრულდა კოტეს ბალთან შეგუების პერიოდი. კოტე ბალში სადილზეც რჩება და პრაქტიკულად სრულად არის ჩართული ბალის ცხოვრებაში. სამთვიანი მუშაობის და დაკვირვების შედეგად, მაკამ კოტეს მიღწევებზე შემაჯამებელი ანგარიში დანერა. იხილეთ ბოქსი 1.

ბოქსი 1. აღმზრდელ-პედაგოგის შემაჯამებელი ანგარიში 3 თვის შემდეგ.

შემაჯამებელი ანგარიში: თებერვალი, 2018 წ.
დამოუკიდებლობა/თვითმოვლა
<p>მიღწევები: კოტე წვრილად დაჭრილ მყარ საკვებს კოვზით და ჩანგლის გამოყენებით ჭამს (იხ. პორტფოლიოში მიმდინარე ჩანაწერი ფოტოთი).</p> <p>ტუალეტის შემდეგ ეტლში ვსვამ და დამოუკიდებლად იბანს ხელს. დამოუკიდებლად იღებს ხელსახოცს, იმშრალებს და ავდებს ნაგვის ურნაში.</p> <p>გავაგრძელებთ მუშაობას:</p> <p>წვინანის დამოუკიდებლად ჭამაზე, მარცხენა ხელით თეფშის დაფიქსირებაზე. უფრო მეტად გავუზრდი დამოუკიდებლობის ხარისხს სამაგიდო აქტივობების დროს.</p>
ინტერესები/მიჯაჭვულობა/რწმენა საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ
<p>მიღწევები: კოტე ინტერესს იჩენს და მონაწილეობს ყველა აქტივობაში და ყველა ცენტრში. ბალში მოსვლისას დედას გამოცვლას არ აცლის და სწრაფი ხოხვით შემოდის ჯგუფში და იწყებს თამაშს. განსაკუთრებით ხშირად ირჩევს და ხალისობს დრამატულ ცენტრში. თამაშობს კუბურების ცენტრში ცხოველების ფიგურებით, ასევე მუშაობს პლასტელინზე ფორმებით. როდესაც ამის აუცილებლობაა, საშუალებას მაძლევს, ამოცანის შესრულებაში დავეხმარო,</p> <p>გამოხატავს მზაობას, ჩემს გარეშე დაკავდეს ახალი საქმიანობით და დამოუკიდებლად ცდის ახალ საქმიანობებს.</p> <p>ყოველ ჯერზე გამოხატავს სიხარულს აქტივობის დასრულებისას, გაღიმებული მოდის და მეუბნება: „მაკა, ეე გავაკეთე“.</p> <p>გავაგრძელებთ მუშაობას:</p> <p>თავის შესაძლებლობებში მეტად რომ დარწმუნდეს, იცოდეს რეალურად რა შეუძლია, არ შეუშინდეს სირთულეებს.</p>

ნატიფი მოტორიკა
<p>მიღწევები: კოტე აქტიურად არის ჩართული სამაგიდო და ხელოვნების აქტივობებში. დაინყო მკრატლის და სახატავი საშუალებების გამოყენება. ხატავს განზრახულ მონახაზს, თითქოს ნახატს ხატავდეს. დამოუკიდებლად იყენებს ფუნჯს და ნებოს, ანებებს პატარა ზომის გამოჭრილ ფურცლებს (იხ. ჩანაწერი პორტფოლიოში და ვიდეო). დახმარებით იყენებს მკრატელს (ფურცელი მე მიჭირავს) და ჭრის სწორ ხაზზე (იხ. პორტფოლიოს ჩანაწერი და ფოტო).</p> <p>გავაგრძელებთ მუშაობას: პლასტიკის, მკრატლის, ცომის, ქვიშის და სახატავი მასალების გამოყენებაზე. ასევე დავინყებთ მსხვილი მძივების აცმას. სრულად რომ იყოს ჩართული, აქტივობებს მის ინტერესებს მოვარგებ.</p>
ნიგნიერება
<p>მიღწევები: თითქმის ყოველდღე, ბავშვებთან ერთად, ათვლიერებს ცხოველების ნიგნებს და საუბრობს ამ თემაზე. აქვს გამორჩეული ნიგნები. იხსენებს წაკითხულ ამბებს. ერთვება საყვარელი ამბის მოყოლაში. პასუხობს კითხვებს.</p> <p>გავაგრძელებთ მუშაობას:</p> <p>მოყვეს გამოგონილი ან ნამდვილი მოკლე ისტორიები.</p>
სოციალური კომპეტენცია
<p>მიღწევები: კოტე ამჟღავნებს, რომ სიამოვნებს სხვა ბავშვებთან თამაში. მეგობრობს გიოსთან და ნიკასთან. ძირითადად კარგად თამაშობს სხვებთან. მესაუბრება დასრულებული საქმიანობის შესახებ. აღწერს სხვა ბავშვის კარგ საქციელს.</p> <p>გავაგრძელებთ მუშაობას: წავახალისებ, რომ უფრო თამამად გამოხატოს თავისი აზრი და მოლოდინები, დასვას კითხვები. სხვა ბავშვებთან ერთად გავაგრძელებთ მუშაობას სოციალური პრობლემის გადაჭრის უნარებზე.</p>

მაკა არ ჯერდება ამ მიღწევებს და დედას უთანხმდება ოკუპაციური თერაპევტის ვიზიტზე, რომ მისგან უფრო მეტი კონსულტაცია მიიღოს მასალების ადაპტირებაზე, ავეჯის მორგებასა, და ფიზიკურ მოპყრობაზე. ოკუპაციური თერაპევტი, რომელიც ბალთან თანამშრომლობს, კოტეზე დასაკვირვებლად მაკას ჯგუფს ეწვია. შემდგომი ვიზიტი სახლში დაიგეგმა, რათა სიღრმისეულად შეეფასებინა მისი საჭიროებები და დედისგანაც აელო დეტალური ინფორმაცია. შეფასების შემდეგ მაკამ და დედამ დამატებითი რეკომენდაციები მიიღეს თერაპევტისგან. იხილეთ ეს რეკომენდაციები ბოქსი 2.

ბოქსი 2. ოკუპაციური თერაპევტის რეკომენდაციები

სახელი, გვარი	კოტე
დაბადების თარიღი	15 ოქტომბერი, 2013
ვიზიტის თარიღი	25 აპრილი, 2018
ოკუპაციური თერაპევტი	ნინო ჭუმბურიძე

რეკომენდაციები

აღნიშნული რეკომენდაციები მორგებულია ბავშვის სპეციფიკურ საჭიროებებზე, რომელიც გამოვლინდა დაკვირვების, მშობელთან და ბალის მასწავლებელთან ინტერვიუს და ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სახლის, ასევე ბალის გარემოში და მოხდეს მისი შეთავსება სხვა აქტივობებთან.

სწორად ჯდომა

ნებისმიერი აქტივობის განხორციელების პროცესში, როდესაც ბავშვს უწევს ჯდომა (მაგ: სამაგიდო აქტივობები, კვება და/ან სხვა), ყურადღება მიაქციეთ და ხელი შეუწყვეთ ჯდომის სწორ პოზას.

რა უნდა გავითვალისწინოთ ჯდომის დროს სწორი პოზის მისაღწევად:

- საუკეთესო და ოპტიმალურ პოზად მიჩნეულია **90 – 90 – 90**, რაც გულისხმობს ჯდომის დროს კოჭ-წვივის, მუხლის და მენჯ-ბარძაყის სახსრის **90** გრადუსიანი კუთხით მოხრას. იგულისხმება, რომ აღნიშნული პოზა არის ბუნებრივი პოზასთან ყველაზე მეტად მიახლოებული და უზრუნველყოფს თავს, ტანსა და კიდურებს შორის კომფორტულ და ფუნქციურ ურთიერთქმედებას. შესაბამისად, აუცილებელია სკამისა და მაგიდის ზომა შერჩეული იყოს ისე, რომ ხელი შეუწყოს ბავშვის ნეიტრალურ პოზას.
- ჯდომის დროს ყურადღება გაამახვილეთ, რომ ბავშვს ორივე ფეხი მყარად ჰქონდეს იატაკზე დაყრდნობილი. თუ სკამის ზომიდან გამომდინარე ეს ვერ ხერხდება - გამოიყენეთ მცირე ზომის კუბურა, რამდენიმე ფენა მუყაო ან რაიმე საფეხურის მსგავსი საყრდენი. ეს უზრუნველყოფს ფეხების სწორ პოზიციას ჯდომის დროს.
- პერიოდულად აკონტროლეთ, არის თუ არა ტანი და მენჯი შუა ხაზზე და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ, რომ გასწორდეს.
- ყურადღება გაამახვილეთ, მიყრდნობილია თუ არა ბავშვი ზურგით საზურგეს. ხომ არ არის დარჩენილი დიდი სივრცე საზურგესა და ბავშვის ზურგს შორის. თუ ატყობთ, რომ ჯდომის პროცესში წინ ცურდება, მოკიდეთ მენჯზე ხელები ორივე მხრიდან და მაქსიმალურად ჩაწიეთ უკან ისე, რომ შეეხოს საზურგეს.
- სასურველია, რომ თავი იყოს ტანის შუახაზთან ახლოს, რადგან შუახაზიდან გადახრამ შესაძლოა, გამოიწვიოს ხერხემლის სხვადასხვა სახის დეფორმაციები.

აქტივობები ჯდომით პოზიციაში

დღის განმავლობაში, აქტივობების განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია პოზირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება.

აქტივობების მაგალითები:

- დასვით ბავშვი სკამზე, დაჯექით მის უკან ისე, რომ ორივე ფეხი გქონდეთ ბავშვის მენჯ-ბარძაყის სახსრის ირგვლივ. ხელები მოკიდეთ მენჯ-ბარძაყის სახსრის ზემოთ, წელზე. ამ დროს ბავშვს ფეხები უნდა ჰქონდეს დაყრდნობილი მყარად იატაკზე. მენჯ-ბარძაყის, მუხლის და კოჭ-წვივის სახსარში უნდა შეინარჩუნოთ **90** გრადუსიანი მოხრის კუთხე.
- ჩართეთ თამაშის პროცესში, სასურველია თანატოლთან ერთად. მიეცით სიტყვიერი მითითებები, გასწორდეს და თავი მალა ასწიოს. რომ გასწორდება, წახალისეთ, მიწვდეს სათამაშოს, რომელსაც თანატოლი წინა მხრიდან მიანჭდის.
- წარმართეთ აქტივობა ისე, რომ ბავშვს მოუწიოს სხვადასხვა მოქმედებების შესრულება - მარჯვნივ ან მარცხნივ, წინ და უკან გადახრა (მაგ. სხვადასხვა დისტანციიდან მიანოდეთ ბურთი და წახალისეთ, რომ მიწვდეს, გამოგართვათ და ჩააგდოს წინ მოთავსებულ კალათში). ასევე, პროცესში სასურველია სარკის გამოყენება. მოათავსეთ დიდი ზომის სარკე მის წინ, რათა ბავშვმა უკეთ აღიქვას საკუთარი სხეული და ვიზუალურად დააფიქსიროს საკუთარი მოქმედებები.
- ხატვა ჯდომის დროს - დასვით ბავშვი უსაფრთხოდ, გააკარით დიდი ზომის ფურცელი მის წინ ისე, რომ ხელით მიწვდეს მას. წახალისეთ, დაისველოს ხელი საღებავებში და დახატოს სასურველი ნახატი. აქტივობის პროცესში ყურადღება გაამახვილეთ ბალანსსა და წონასწორობაზე.

ყოველდღიური საქმიანობები

ყოველდღიური აქტივობის განხორციელების პროცესში მაგ:ჩაცმა/გახდა, კბილების გახეხვა, კვება და სხვა-მაქსიმალურად გამოიყენეთ ბავშვის შესაძლებლობები. დაშალეთ აქტივობები მარტივ ნაბიჯებად და დაიხმარეთ ბავშვი მაქსიმალურად. თუკი უჭირს კონკრეტული აქტივობების განხორციელება, გამოიყენეთ „ხელით ხელზე“ ტექნიკა - მოკიდეთ ბავშვის ხელებს ხელები და მიეცით მცირე ბიძგი მოქმედების შესასრულებლად. პროცესის გამარტივების მიზნით, შესაძლებელია, ასევე, რამდენიმე მარტივი ადაპტაციური საშუალების გამოყენება მაგ: დამატებითი ტარი, რომელიც გააადვილებს ჩაჭიდებას.

დამატებითი ტარის დამზადება და გამოყენება

- კოვზის, კბილის ჯაგრისის, ფანქრების ან კალმის მოხმარებისას, პირველ ეტაპზე, შესაძლებელია დამატებითი სქელი ტარის გამოყენება, რომელიც გაამარტივებს ჩაჭიდებას და ნაკლებად ისრიალებს. აღნიშნული ტარის მორგება შესაძლებელია როგორც სახლში, ასევე ბაღში არსებულ მასალებზე, რომლებსაც ბავშვი დღის განმავლობაში იყენებს. ტარის დამზადება შესაძლებელია მცირე ზომის პირსახოცით ან ნაჭრით, რომელსაც დაამაგრებთ სხვადასხვა ფერადი რეზინებით ან თოკებით.

კვება

- კვების დროს ბავშვი მაგიდასთან სწორ პოზიციაში უნდა იჯდეს. სკამი და მაგიდა უნდა იყოს შესაფერისი ზომის.
- თეფშიდან საჭმლის ამოღებისას, თეფში რომ არ ისრიალოს - გამოიყენეთ, მაგალითად, პლასტიკური, რომლითაც თეფშს „დანებებთ“ მაგიდაზე. ასევე, შესაძლებელია მაგიდის მყარი, ხაოიანი ზედაპირის მქონე გადასაფარებლის გამოყენება, რომელზეც თეფში ნაკლებად ისრიალებს.
- ნაახალისეთ, რომ კვების პროცესში გამოიყენოს ორივე ხელი. როდესაც ერთი ხელით იყენებს კოვზს, უთხარით, რომ მეორე ხელით დაიჭიროს თეფში, ან შესთავაზეთ წინასწარ გამზადებული, ლუკმებად დაყოფილი საკვების გარნირი, რათა პროცესში მუდმივად მოუწიოს მეორე ხელით ალება და პირამდე მიტანა (პატარა ნეჭრებად დაჭრილი ბოსტნეული, ყველი, პური და/ან სხვა

თასების შეკვრა/გახსნა

- პირველ ეტაპზე გამოიყენეთ სქელი, ორი ფერის თასმა.
- თასმაზე მონიშნეთ ის ადგილები, სადაც ბავშვმა უნდა მოკიდოს ხელი.
- თავდაპირველად გამოიყენეთ ფუნქციური დაფა, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის შესაკრავები. ამ ტიპის დაფის დამზადება შესაძლებელია მცირე ზომის ფიცრის, შალითის და სხვადასხვა შესაკრავების მეშვეობით. ასევე, მუყაოს გამოყენებით შესაძლებელია ფეხსაცმლის ფორმის გამოჭრა, რომელსაც გააფორმებთ ბავშვთან ერთად.
- მას შემდეგ, რაც ისწავლის შესაკრავების დაფაზე გახსნას და შეკვრას, ნაახალისეთ, რომ იგივე მოქმედებები საკუთარ ტანსაცმელზე განახორციელოს.
- გამოიყენეთ სხვადასხვა ალტერნატიული საშუალებები. მაგალითად, სათამაშო ტომარა შესაკრავებით, შესაკრავების ყუთი და სხვა.

სხვადასხვა განმავითარებელი აქტივობები/თამაშების მაგალითები

- ნებისმიერი აქტივობის განხორციელების პროცესში, ყურადღება გაამახვილეთ ორი ხელის შეთანხმებულ გამოყენებაზე, დაგეგმეთ აქტივობის ნაბიჯები ისე, რომ ბავშვს მოუწიოს ორივე ხელის თანაბრად გამოყენება.

მოზაიკის აწყობა - აქტივობა ხელს შეუწყობს ნატივი მოტორული და თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარების განვითარებას. თავდაპირველად გამოიყენეთ დიდი ზომის მოზაიკა და აქტივობის გამარტივების მიზნით, დაფაზე ნიშნულები გამოიყენეთ. მოუწიეთ ის მონაკვეთები, სადაც მოზაიკა უნდა ააწყოს.

ძერწვა - საძერწი დაფისა და პლასტიკინების გამოყენებით სხვადასხვა ფიგურების გამოძერწვა და, მაგალითად, თვალსაჩინოებისთვის მუყაოს დაფაზე დანებება.

პლასტიკინის ნაცვლად შესაძლებელია, პურის ფქვილისაგან დამზადებული ცომი ტორტის კრემის საღებავებით გააფერადოთ და გამოიყენოთ.

ქაფებით თამაში - ტორტის ფერებით ასევე შესაძლებელია ქაფების გაფერადება და მიღებული ფერებით ხატვა.

ფურცლებით თამაში - მიეცით ფურცელი და ნაახალისეთ, რომ მეორე ხელით მოახიოს ნაწილი. აღნიშნული მოქმედება გაიმეორეთ რამდენჯერმე, შეაგროვეთ მოხეული ფურცლები და გააკეთეთ მცირე ზომის ბურთები. დამზადებული ბურთები ერთობლივად ისროლეთ მიზანმიმართულად (მაგ. კალათში). აქტივობას შესაძლოა, მისცეთ შეჯიბრის სახე და მასში სხვა ბავშვიც ჩართოთ.

ბრინჯის აქტივობები - შესაძლებელია ბრინჯის სხვადასხვა ფერად შეღებვა, შემდეგ გაშრობა და ფერების ერთმანეთში არევა. პარალელურად, ბავშვთან ერთად დახიეთ და დაამრგვალეთ ფურცლები, მიღებულ ბურთებს ნაუსვით წებო და ამოავლეთ ფერად ბრინჯში.

ხატვა სხვადასხვა ზომის პასტელების გამოყენებით - როდესაც ბავშვს უჭირს ჩაჭიდება, გამოიყენეთ სხვადასხვა ზომის, ფორმის და სტრუქტურის სახატავი საშუალებები. ასევე გამოიყენეთ დიდი ზომის ცარცი.

წერისათვის მზაობა

ბავშვთან მუშაობის პროცესში გამოიყენეთ ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს წერის მზაობისთვის საჭირო უნარების განვითარებას.

ქვიშაში ხატვა - აიღეთ საშუალო ზომის მუყაოს ყუთი, ჩაყარეთ ქვიშა და უთხარით, რომ შიგნით მოხაზოს სხვადასხვა ფიგურები. ქვიშის მაგივრად შეიძლება გამოიყენოთ სხვადასხვა პროდუქტები, მაგ: ფქვილი, წინიბურა, ბრინჯი და სხვა.

პლასტიკინზე ხატვა - გააბრტყელეთ პლასტიკინი ისე, რომ მიიღოთ დაფის ფორმა და სთხოვეთ, შიგნით მოხაზოს ფიგურები, შეაერთოს წერტილები და სხვა.

რეკომენდაციები მზადებულია ორგანიზაციის-მაკლენის ასოციაცია ბავშვებისთვის - ოკუპაციური თერაპევტის მიერ.

8. ლიზი

სმენის სირთულეები

- ლიზი, 4,5 წლისაა. მას სმენის დარღვევა 1,4 წლის ასაკში დაუდგინდა და ამ ასაკიდან სმენის აპარატს ატარებდა. 2,5 ასაკში ერთ ყურში კოხლეარული იმპლანტი ჩაუდგეს. ლიზი აუდიოპედაგოგთან დადის, ესმის ყოველდღიური დანიშნულების სიტყვების მნიშვნელობა და 100-მდე სიტყვის თქმა შეუძლია, თუმცა, უფროსებთან და ბავშვებთან კომუნიკაციისას ურჩევნია ბუნებრივი შესტიკულაცია და მინიშნებები გამოიყენოს.
- ცხადია, ლიზის აქვს ენობრივი განვითარების დარღვევა, რაც მის სმენასთან დაკავშირებული პრობლემებითაა გამოწვეული. ლიზის მშობლებმა იციან, რომ ბუნებრივ გარემოში, ლიზის ენობრივი განვითარებისათვის აუცილებელია, მისი იმპლანტი ყოველთვის ადეკვატურად ფუნქციონირებდეს. ამიტომ, ლიზი რეგულარულად დაჰყავთ აუდიოლოგთან და აუდიოპედაგოგთან. აუდიოლოგი აუდიოპედაგოგთან ერთად, იმ ბგერათა სინთეზს ამონიშნებს, რომელიც ლიზის უნდა ესმოდა. გარდა ამისა, აუდიოპედაგოგი მას კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების განვითარებაში ეხმარება.

ბაგა-ბალის მასწავლებელმა, ნატამ და ლიზის აუდიოპედაგოგმა ტელეფონით ისაუბრეს. აუდიოპედაგოგმა ნატას ასწავლა, რას უნდა მიაქციოს ყურადღება ლიზის კოხლეარული იმპლანტის აპარატთან დაკავშირებით.

ახლა ნატა და მისი თანაშემწე ყურადღებას აქცევენ, რომ საუბრისას ლიზი ყოველთვის ახლოს და იმ მხრიდან ეჯდეთ, საიდანაც იმპლანტი უკეთია. თან ისე, რომ მოსაუბრის სახეს ხედავდეს. ლიზისთან საუბრისას ნატა და მეორე აღმზრდელ-პედაგოგი ყოველთვის მოკლე და მკაფიო წინადადებებს იყენებენ. მათ იციან, რომ ფონური ხმები ლიზის სხვების მეტყველების აღქმასა და გაგებაში უშლის ხელს, ამიტომ, როდესაც რაიმე მცირე ჯგუფურ აქტივობებს გეგმავენ (ლიზის ინდივიდუალური გეგმის ნაწილია, რომ უფროსის მიერ წარმართულ თამაშში, 2-3 ბავშვთან ერთად, ყოველდღე, 10-20 წუთის განმავლობაში იყოს ჩართული), ფონურ ხმებს ითვალისწინებენ და მაშინ თამაშობენ, როდესაც ჯგუფის დანარჩენი წევრები უფრო მშვიდი აქტივობებით არიან დაკავებული.

გარდა ამისა, ლიზი ყოველდღე ატარებს 20 წუთის ბალის ლოგოპედთან. ლიზის მშობლებმა ბალის ლოგოპედი, ხათუნა, ლიზის აუდიოპედაგოგს შეახვედრეს და ახლა ხათუნა, ლიზისთან სესიის დაგეგმვისას, ზუსტად ითვალისწინებს ლიზის აუდიოპედაგოგის რეკომენდაციებს - თამაშობს მასთან მისი ასაკის ბავშვისათვის განკუთვნილი, სხვადასხვა უნარების განმავითარებელი აქტივობებით და თამაშისას აქტიურად იყენებს ენას. გარდა ამისა, ლიზი და ხათუნა, ისევე, როგორც სახლში ლიზი და დედა, ყოველდღე ერთად კითხულობენ/ათვალისწინებენ საბავშვო წიგნებს.

წიგნის კითხვისას ლიზის დედასაც, ბალის მასწავლებელსა და ლოგოპედსაც ახსოვთ, რომ წიგნის კითხვა და დათვალისწინება ორმხრივად საინტერესო და სახალისო პროცესია და ის არ უნდა გავდეს „გამოცდას“. უფროსები ყოველთვის აძლევენ ლიზის საშუალებას, შეჩერდეს, დაბრუნდეს უკან, დიდხანს შეაჩეროს ყურადღება ერთ გვერდზე, გადახტეს მისთვის საინტერესო გვერდზე, რამდენჯერმე დაუბრუნდეს ერთი და იგივე წიგნს - ეს ხომ სიტყვებისა და ფრაზების დამახსოვრებისა და გამდიდრების ყველაზე კარგი საშუალებაა.

ლიზის ინდივიდუალური გეგმის შესადგენად შეკრებილ შეხვედრაზე, ნატამ ლიზის დედასა და ლოგოპედს ურჩია, ლიზისთვის საკითხავ წიგნად „ტოპოტიპის“ სერია შეერჩიათ, რადგან ეს სერია ბავშვების ყოველდღიურობას, მათ ემოციებსა და გრძნობებს კარგად ასახავს და მრავალფეროვან გამოცდილებაზე ლაპარაკის კარგ საშუალებას იძლევა. თუმცა წიგნის კითხვისას, ხათუნაც და ლიზის დედაც წინადადებებს ამარტივებენ და ამოკლებენ.

ლიზის ბალის პროგრამა თემატურ სწავლებაზეა ანკობილი. ლიზის მასწავლებელი, ნატა ცდილობს, ლიზის ლექსიკის გამდიდრება კვირის საგანმანათლებლო თემების სტრუქტურას შეუსაბამოს. ნატა დილის წრეზე თუ სხვა აქტივობებისას, განსაკუთრებით ხაზგასმით იყენებს ვიზუალურ დამხმარე საშუალებებსაც. კვირის თემასთან დაკავშირებული ახალი ცნებების ახსნისას ცდილობს, ბავშვებს ყოველთვის აჩვენოს სიტყვის შესაბამისი საგანი ან სურათი. ნატა ხედავს, რომ ეს სტრატეგია ყველა ბავშვისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა და ახლა მას უფრო მეტი ხალისით იყენებს.

ნატა ცდილობს, შეძლებისდაგვარად ხშირად გაატაროს დრო ლიზის გვერდით, დაეხმაროს სამაგიდო თამაშებისას სურათების დახარისხებასა და ატრიბუციის მიხედვით დალაგებაში.

ნატა, ლიზისთან საუბრისას:

- საუბრობს ჩვეულებრივი ტემპით
- ლაპარაკობს გარკვევით, თუმცა არ ანაწევრებს მეტყველებას (ცალკე არ გამოყოფს ასოებს ან მარცვლებს) და არ უწევს ხმას
- იყენებს მოკლე წინადადებებს
- იყენებს ბავშვისთვის აღქმად სიტყვებს
- იმეორებს და განმარტავს უფრო ხშირად, ვიდრე ამას სხვასთან საუბრისას გააკეთებდა

ნატა ახლა მეტ ყურადღებას აქცევს სპეციფიკურ ლინგვისტურ თამაშებზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადაც ბავშვებს ხშირად უწევთ, პასუხები გასცენ კითხვებზე: ვინ გააკეთა? ვისია? რით გააკეთა? სად გააკეთა? რა გამოიყენა? ვისთან მივიდა? რა დასჭირდა? რატომ? და ა.შ.

ის მეტად ეხმარება ბავშვებს, დაასახელონ საგნების მახასიათებლები: საგნის ზომა, ფორმა, ფერი, რაოდენობა, მასალა; აღწერონ მოქმედებები - ჩქარა, მხიარულად, მარტივად, ხმამაღლა; გაიაზრონ ადგილმდებარეობა - შიგნით/გარეთ/ზევით/ქვევით/ უკან/წინ/ შუაში. ნატა ხედავს, რომ ეს ლიზისთვისაც და ჯგუფში მყოფი ყველა ბავშვისთვისაც ძალიან სასარგებლოა.

ლიზის ჯგუფში მოსვლის შემდეგ, ნატამ დანარჩენ ბავშვებთან მათთვის გასაცემ ენაზე ისაუბრა, რას ნიშნავს სმენის დარღვევა, აჩვენა კოხლეარული იმპლანტის ფოტოები და აუხსნა, როგორ მუშაობს იმპლანტი. ამ ინფორმაციის მოძიებაში მას ლიზის აუდიოპედაგოგი დაეხმარა. ნატამ ბავშვებს ის წესებიც ასწავლა, რაც ლიზასთან ურთიერთობისას უნდა გამოიყენებინათ:

- დადექი პირისპირ
- დარწმუნდი, რომ გიყურებს
- ეცადე, მოერიდო ხმაურიან ადგილებს, ან მისი ყურადღების მისაქცევად ხელი დაუქნიე ან ფრთხილად დაადე მხარზე
- იმეტყველე მკაფიოდ, ნუ იყვირებ და ზედმეტად ნუ ამოძრავებ ტუჩებს
- ისაუბრე მარტივად, იყავი მომთმენი, შეცვალე სიტყვები, გამოიყენე მინიშნებები, ბუნებრივი შესტიკები

ზოგადი რჩევები სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის:	სმენის დარღვევა
<ul style="list-style-type: none"> სმენის დარღვევის მქონე ბავშვები უკეთ სწავლობენ ბუნებრივ გარემოში - სახლში, საბავშვო ბაღში, ეზოში, მაღაზიაში, სტუმრად, როდესაც ისინი მზრუნველი ადამიანების გარემოცვაში იმყოფებიან. შესაძლებლობის ფარგლებში, ადრიდანვე ასწავლეთ ჟესტური ენა, ეს მათ სამეტყველო ენის ათვისებაში ხელს არ შეუშლის, პირიქით, საშუალებას მისცემს, რაც შეიძლება ადრე ეზიარონ ენასა და მის წესებს, რადგან ჟესტური ენაც ენაა, თავისი ენობრივი სტრუქტურებით. თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე ეუფლებოდნენ ჟესტურ ენას, მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ მაღალ კლასებში. ადრეულ ასაკში ბავშვებთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ შეგრძნებების რაც შეიძლება მეტი არხი, განსაკუთრებით კი, შეხება და მხედველობა. ხშირად ითამაშეთ შეხებაზე ორიენტირებული თამაშები - „აჩუ-აჩუ“, „მოვიდა-მოვიდა“ და ა.შ. ბავშვთან ლაპარაკისას, სახეს რაც შეიძლება მეტი გამომსახველობა მიანიჭეთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზედმეტად ხმამაღლა უნდა ილაპარაკოთ, ან სიტყვების გამოთქმისას ტუჩები საჭიროზე მეტად აამოძრაოთ. 	<p>სტატისტიკის მიხედვით, 100-დან 1 ახალშობილი სმენის მნიშვნელოვანი შეზღუდვით იბადება. ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე, სმენის დაზიანების გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, აღნიშნული რიცხვი ორჯერ იზრდება.</p> <p>სმენის შეზღუდვა სიმძიმის მიხედვით განსხვავდება და შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: სმენის დაქვეითება და სიყრუე. უმეტესი სამედიცინო კლასიფიკაციის მიხედვით, ტერმინი სმენადაქვეითებული გამოიყენება იმ ადამიანების მიმართ, რომელთა სმენადობის დიაპაზონი უკეთესი სმენის მქონე ყურში 25-70 დეციბელს შეადგენს, ხოლო ტერმინი ყრუ გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომელთა სმენადობის დიაპაზონიც 70 დეციბელზე მეტია.</p>

<ul style="list-style-type: none"> მიაქციეთ ყურადღება, საით იყურება და რითია დაინტერესებული ბავშვი, მიყევით მის ინტერესს, გაახმოვანეთ, დაეხმარეთ, გაიგოს. პატივი ეცით ბავშვის სურვილს, შეწყვიტოს თამაში ან კომუნიკაცია, ხანდახან ბავშვები გვერდით იყურებიან ან ტირილს იწყებენ, როდესაც ისინი თამაშით და გადამეტებული სტიმულაციით იღლებიან. როდესაც რაიმე საგანზე ლაპარაკობთ, რამდენჯერმე დაადეთ ხელი ამ საგანს, რათა ბავშვმა უკეთ გაიგოს, რაზე ლაპარაკობთ. არ არის აუცილებელი ყოველი ნუთი ამოვავსოთ კომუნიკაციითა და ენით. უფრო მნიშვნელოვანია, მივყვეთ ბავშვის ინტერესს და დავრწმუნდეთ, რომ ბავშვი „ხედავს“ ჩვენი მხრიდან წამოსულ კომუნიკაციურ მესიჯებს. დაეხმარეთ ბავშვს, „ისწავლოს“ გარემოდან წამოსული სხვადასხვა ხმები, ტრანსპორტის ხმა, მუსიკის ხმა, ადამიანის მეტყველება. მიეცით საშუალება, დაგადოთ თავი მკერდზე ან შემოგაჭლოთ ხელები სახეზე, რათა შეიგრძნოს ვიბრაცია მეტყველებისას. არ შეასწოროთ ბავშვის მეტყველება, მიეცით სწორი მაგალითები; ეცადეთ სწორი მაგალითები რამდენჯერმე გაუმეოროთ სხვადასხვა სიტუაციასა და კონტექსტში. გამოიყენეთ ბუნებრივი ჟესტები, მინიშნებები, პანტომიმა, სადაც კი ეს შესაძლებელია. ახლო კონტაქტისას უმღერეთ ნაზად, უმღერეთ ნელა-სწრაფად, ხმადაბლა-ხმამაღლა. ეცადეთ, ბავშვს ჰქონდეს სტრუქტურირებული დღის რუტინა და ხშირად ესაუბრეთ დროსა და სივრცესთან დაკავშირებულ ცნებებზე. სათამაშოდ და ენის გასავითარებლად, გამოიყენეთ ყველა ტიპის რესურსი: სათამაშო ცხენი, ველოსიპედი, ბურთები, კუბურები, ცხოველები, თოჯინები, სასტვენო, ზარი, ქსილოფონი, ჰარმონიკა, დოლი, საბავშვო პიანინო, სამზარეულოს საგნები - კოვზები, ყუთები, ქვაბები, ბუნებრივი მასალები- წყალი, ქვიშა, ფოთლები, კაკლის ნაჭუჭები და ა.შ. მიეცით ბავშვს საკმარისი დრო ინფორმაციის გადასამუშავებლად. გახსოვდეთ, რომ ეს რჩევები სასასრგებლოა სხვა ბავშვებისთვისაც. 	<p>აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ლიტერატურაში ტერმინი „ყრუ“ შედარებით ფუნქციურ დატვირთვას ატარებს და მოიაზრებს ყველა იმ პირს, რომელსაც სმენადობის დიაპაზონის მიუხედავად, ლინგვისტური ინფორმაციის მისაღებად სმენის გამოყენება არ შეუძლია (თუნდაც ხმის გამაძლიერებელი საშუალების დახმარებით) და კომუნიკაციის სხვა ალტერნატიულ საშუალებას საჭიროებს. (წიგნიდან: სმენის დარღვევის მქონე ბავშვის ადრეული და სკოლამდელი განათლება და განვითარება).</p>
--	--

9. ირაკლი

მხედველობის სირთულეები

წლის დასაწყისში 5 წლიანთა ჯგუფში მცირემხედველი ახალი ბავშვი მოვიდა. ეკა აღმზრდელ-პედაგოგისთვის ეს პირველი შემთხვევაა, აქამდე ასეთი გამოწვევის წინაშე არასდროს დამდგარა. ეკა სპეც. პედაგოგთან ერთად მშობლებს შეხვედრაზე შეუთანხმდა. წინასწარ კითხვებიც მოამზადეს, რომ მეტი რამ გაეგოთ ირაკლის შესახებ, რა მოლოდინები ჰქონდათ მშობლებს მათ და, ზოგადად, ბალის მიმართ.

ისინი დაინტერესდნენ:

- რითი თამაშობს ირაკლი სახლში? რა არის მისი ინტერესები?
- იყენებს თუ არა დამხმარე საშუალებებს და სჭირდება თუ არა ამ საშუალებებს (მაგ. სათვალე) სპეციფიკური მოვლა?
- ასწავლიდნენ თუ არა ოთახში და ეზოში დამოუკიდებლად სიარულს და ორიენტაციას?
- რას ხედავს ირაკლი? რას ვერ ხედავს?
- რა მანძილზე მიაქვს საგანი, რომ დაინახოს? რა მანძილიდან ხედავს სახეს, მცირე ზომის საგანს, მოძრავ ადამიანს.
- რას ამბობს ან აკეთებს, რაც ხედვის პრობლემებზე მიგვანიშნებს?
- რისი მოსმენა უნდათ მშობლებს მისგან ბალის შესახებ?
- რა აღლევებთ ბალთან დაკავშირებით?
- როგორ, რა სიხშირით და რა შემთხვევებში უნდათ, რომ დაუკავშირდნენ?
- არის კიდევ რამე, რაც უნდა იცოდნენ და რაც ირაკლისთან ურთიერთობაში დაეხმარებათ?
- არის კიდევ ისეთი რამ, რაც უნდა ეკითხათ?

მშობლების სურვილია, რომ ირაკლი სკოლაში უფრო მომზადებული და დამოუკიდებელი წავიდეს, და მათთვის რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - ბავშვებთან იურთიერთოს. ირაკლის მხედველობის მძიმე დარღვევა აქვს. საგნებს სახესთან ახლოს მიტანით არჩევს და ხედავს. გარემოში ძირითადად სმენით ორიენტირდება. ფიქრობენ, რომ ბალის თანამშრომლების როლი, დასაწყისისთვის, ირაკლის ბაღში ორიენტირებაში დახმარებაა.

ირაკლის ძალიან უყვარს კულინარია, წიგნების კითხვა. განსაკუთრებით მოსწონს დიდი ნახატიანი და სენსორული წიგნები, რომელსაც ხელით ეხება. სახლში ძალიან ბაბი ჰყავს, რომელიც მისი საუკეთესო მეგობარია. ირაკლი არ არის ჩართული ადრეული ინტერვენციის პროგრამაში. ძირითადად, ძიძასთან ერთად ატარებს დღეებს, რადგან ორივე მშობელი მუშაობს. ბავშვებთან ურთიერთობის მწირი გამოცდილება აქვს და უნდათ, რომ ბაღში მეგობრები გაიჩინოს, მოყვეს როგორ ხალისობს და თამაშობს მათთან ერთად. უნდათ, რომ ბაღში სიხარულით დადიოდეს და, რა თქმა უნდა, მეტი ისწავლოს და განვითარდეს.

ფიზიკური გარემოს მორგება

ეკამ და სპეც. პედაგოგმა ბალის გარემოს, ოთახებს, ეზოს და გასასვლელებს ირაკლის თვალთ დაუწყეს ყურება და შეფასება. გარემოში გარკვეული ცვლილებებიც შეიტანეს.

- ✓ კიდევ ერთხელ შეაფასეს, რამდენად ორგანიზებულად და ბავშვის სიმაღლეზე მასალები განთავსებული. ეს ირაკლის დაეხმარება, ადვილად დაიმახსოვროს, სად რა დევს და საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად აიღოს.
- ✓ ცენტრები კონტრასტული საზღვრებით გამოყვეს და იატაკზე კონტრასტული ფერის ლენტები დაანებეს. ფოსფორის ფერის ნაფეხურებით ოთახში შემოსასვლელი და ტუალეტში გასასვლელი მიმანიშნებელი ბილიკებიც გააკეთეს.
- ✓ ცენტრის მინიშნებებზე სხვადასხვა ფაქტურის მასალა დაანებეს, რომ ხელის შეხებითაც აღიქვას განსხვავებები.
- ✓ სამაგიდო აქტივობებისთვის დიდი კონტრასტული ფერის ფურცლები მოიმარაგეს, რომელსაც სამუშაო ფურცლის ქვეშ დაუდებენ, რომ ირაკლიმ ფურცლის საზღვრები კარგად აღიქვას. მაგიდას, რომელთანაც ირაკლი იჯდება, ტაქტილური საზღვრებიც გაუკეთეს. ზოგიერთი აქტივობებისთვის კიდებიან სინსაც გამოიყენებენ.
- ✓ დაათვალიერეს სამაგიდო თამაშებიც და გადამწყვიტეს ბარათებზე სხვადასხვა ფაქტურის მასალის დანებება, რომ შეხებითაც აღიქვას.
- ✓ სხვადასხვა ტექსტურის მასალა საგნებზედაც დაანებეს, მაგალითად, სათამაშოების შესანახ კონტეინერებზე, რომელზედაც ასევეა სხვა მინიშნებები - სურათი, ნახატი, წარწერა.

ჯგუფის მომზადება

ირაკლის მოსვლამდე, მშობლებთან შეთანხმებით, ეკა მასწავლებელი ბავშვებს ირაკლის სპეციფიკურ საჭიროებებზე ესაუბრა. აუხსნა, რომ მათ ახალ მეგობარს მხედველობის სირთულეები აქვს და საგნებს და მის გარშემო მყოფ ნივთებს, ადამიანებს მათსავით მკაფიოდ და გარჩევით ვერ ხედავს. ამიტომ, სათამაშო ახლოს მიაქვს და ისე ათვალთვლებს. მცირე მხედველობის სიმულაციისთვის, ეკამ მოხალისე ბავშვებს თვალელები გამჭვირვალე ნაჭრით აუხვია და სთხოვა, მოეთხროთ, რა სირთულეებს და წინააღმდეგობებს შეხვდნენ. შემდეგ სთხოვა, დაფიქრებულიყვნენ და ემსჯელათ, როგორ დახმარებოდნენ ირაკლის. სხვადასხვა აზრის მოსმენის შემდეგ შეჯერდნენ, რომ:

- ✓ ნივთები და სათამაშოები ერთი და იმავე კონტეინერში და ადგილას შეინახონ, რომ ირკალიმ ადვილად დაისწავლოს, თუ სად, რომელი ნივთი ინახება და მიაგნოს.
- ✓ ცენტრებამდე მისასვლელი ყოველთვის მონესრიგებული და თავისუფალი უნდა იყოს. ძირს არ ეყაროს სათამაშოები, გარდა იმ დასაშვები ადგილებისა (მაგალითად, ნოხზე კონსტრუქციული აქტივობებისას), რის შესახებაც ირაკლი გაფრთხილებული იქნება.
- ✓ ეცადონ, ხმაურის დონე აკონტროლონ, რომ ირაკლის შესაძლებლობა მიეცეს, ხმოვანი სიგნალები კარგად აღიქვას.
- ✓ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვები გააცნობენ ბალის საქმიანობებს და სხვადასხვა თამაშებში ჩართავენ.
- ✓ თამაშისას აუხსნან და ესაუბრონ, რას აკეთებენ, რას ხედავენ.

ირაკლის პირველი დღე ბაღში

ეკა მასწავლებელი ირაკლის, რომელსაც დედაზე ჰქონდა ხელი ჩაკიდებული, შეეგება: „გამარჯობა ირაკლი, მე ეკა მასწავლებელი ვარ.“ ირაკლის სიმალღეზე დაიხარა და ღიმილით ჩახედა თვალებში: „ძალიან მიხარია, რომ მოხვედი. აქ ბავშვები ბევრს თამაშობენ, საინტერესო და სახალისო რაღაცეებს აკეთებენ, სწავლობენ. იმედი მაქვს, ჩვენთან მოგეწონება. მოდი, დავათვალიეროთ, გაჩვენებ, სად რა ხდება. თუ რამის კეთება მოგინდება, შეგიძლია, დედასთან ერთად ითამაშო. დედა შენთან ერთად იქნება. როცა კარგად გაგვიცნობ და გადაწყვეტ, რომ შეგიძლია ჩვენთან დარჩე, მხოლოდ მაშინ წავა ცოტა ხნით.“

ეკამ ოთახი და სათამაშო ცენტრები დაათვალიერებინა ირაკლის. ტუალეტი, პირსაბანი და მისი ნივთების კარადაც აჩვენა. როცა სათამაშოების და მასალების ყუთებთან მივიდნენ, წაახალისა, ხელში აეღო და სათითაოდ ენახა თითოეული ნივთი. რამდენიმე ბავშვი, ეკასთან ერთად, ირაკლის უსხნიდა, როგორ თამაშობენ და რა უყვართ ყველაზე მეტად. ეკამ ქვიშით თამაში შესთავაზა ირაკლის და ბავშვებს. ქვიშაში მცირე ზომის ფიგურები და სათამაშოები ჩაუყარა. ვინც რა ნივთს იპოვიდა, ის უნდა აღენერა. ირაკლიმ ხალისით ითამაშა ბავშვებთან.

დაკვირვება

პირველი დღეები, ბაღის რუტინის და საქმიანობების გაცნობასთან ერთად, დაკვირვებას დაუთმეს. რას და როგორ ხედავს ირაკლი, რა სტრატეგიებს იყენებს. როგორ თამაშობს, როგორ იკვლევს და იყენებს საგნებს თამაშისას, როგორ ურთიერთობს სხვებთან, რას თამაშობს, როგორ მეტყველებს. ესმის თუ არა სივრცითი მიმართებები, თანდებულები: ზევით, ქვევით, ქვეშ, მარჯვნივ, წინ, უკან, გარშემო, ზე, ში, კენ და სხვა. როგორ იყენებს შეგრძნებებს სამყაროს შესაცნობად, როგორ გადაადგილდება სივრცეში, როგორია მისი ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარები.

კოგნიტური განვითარება და მეტყველება მხედველობის სირთულეებისას

კოგნიტური განვითარება მხედველობის გზით მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. როდესაც ბავშვს სხვადასხვა ხარისხის მხედველობის დარღვევა აქვს, იგი შეზღუდვით იღებს იმ ინფორმაციას, რომელიც სამყაროს შემეცნებისთვის არის აუცილებელი. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ, დააკვირდნენ, რას აკეთებენ ადამიანები მათ გარშემო, როგორ იქცევიან სხვადასხვა სიტუაციაში და როგორ რეაგირებენ სხვების ქცევებზე. ყველაფერი ეს პრობლემებს უქმნის გარე სამყაროს სრულფასოვან აღქმასა და ფუნქციონირებაში, სიტყვების საგნებთან დაკავშირებაში, გარემოსთან კონკრეტული ცნებებისა და კატეგორიების დაკავშირებაში.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენების მაქსიმალურად სრული აღწერა და განმარტება. დიალოგის საშუალებით, ბავშვებს შეიძლება მივანოდოთ ინფორმაცია გარემოში არსებული საგნების, მოვლენების, მსგავსებისა და განსხვავებულობის შესახებ, რის საფუძველზეც შემდგომში ხდება ცნებების ჩამოყალიბება. გულისხმიერი უფროსი ძირითად აქცენტს აკეთებს არა ახალი სიტყვების სწავლებასა და გამოთქმის სრულყოფაზე, არამედ ცდილობს დააკვირდეს, რა ინვესს მოსწავლის ინტერესს და აწვდის ბავშვს ვრცელ და ბავშვისთვის გასაგებ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე; ასევე ინტერესით უსმენს ბავშვს, ყოველთვის ინტერესდება რისი თქმა სურს და საშუალებას აძლევს საკუთრი აზრი გამოხატოს¹.

¹ნიგნიდან მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/Mxedvelobis_Dargvevis_mqone_moswav-leebis_swavleba_-pdf.pdf

სენსორული განვითარება

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებში (დარღვევის ხარისხის შესაბამისად), ვიზუალური აღქმის პროცესები შესაძლოა ძალიან ნელა, არასრულად ან საერთოდ არ განვითარდეს. შესაბამისად, ისინი სამყაროს ძირითადად სმენისა და შეხების მეშვეობით შეიმეცნებენ. ამიტომ მნიშვნელოვანია, განვუვითაროთ ყურადღებით მოსმენის და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების უნარი. ბგერები (ხმები), კარგი სმენითი აღქმა მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს გარემოში ორიენტაციის და სამყაროს შემეცნების საშუალებას აძლევს. ხმოვანი სტიმულების გაგებას, სხვა გარეშე ხმებისაგან მათ გამოორჩევას და კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებას გამოცდილება და სწავლება სჭირდება. სმენითი ინფორმაციის ადვილად გამოყენებას ხელს უწყობს სმენისათვის კარგი პირობები და ხმაურის დონის კონტროლის შესაძლებლობა. ზედმეტად ხმაურიანი ან ზედმეტად ჩუმი გარემო ხელს უშლის მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს სმენის გამოყენებით აღიქვან გარემოში მიმდინარე მოვლენები. ვინაიდან მხედველობის დარღვევის შემთხვევაში, სმენით აღქმას ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს ბავშვის კოგნიტურ განვითარებაში, სმენაზე ფოკუსირებული აქტივობების განხორციელება ადრეული ბავშვობიდან უნდა იწყებოდეს, ხმების ლოკაციისა და ამოცნობის უნარ-ჩვევების გასავარჯიშებლად.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები ავტომატურად იყენებენ ხელებს და ტაქტილურ აღქმას საგნებისა და გარესამყაროს შესწავლისათვის, სინამდვილეში ეს ასე არ არის და მეტიც, ხშირად ბავშვები უარს ამბობენ მათთვის უცნობი საგნებისა და უჩვეულო შეგრძნებების აღქმაზე და უფითარდებთ „შეხებისგან თავდაცვის“ რეაქცია. შესაბამისად, იმისათვის რომ ხელები და ტაქტილური აღქმა სამყაროს შემეცნების ეფექტურ სტრატეგიად გადაიქცეს, ბავშვს უნდა გაუზიაროთ ინტერესი და ვასწავლოთ შეხებისა და ტაქტილური აღქმის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს ბავშვი ობიექტის ტაქტილურ შესწავლას. იმისათვის, რომ საგანი შეისწავლოს, ბავშვმა უნდა შეძლოს მისი მოძებნა, მისი მცირე ფრაგმენტების ერთმანეთთან დაკავშირება და საგნის მთლიანი ხატის ჩამოყალიბება. ხელების გამოყენების სწავლება და ტაქტილური ცნობიერების სტიმულირება ადრეული ასაკიდან იწყება და გულისხმობს ბავშვის დაინტერესებას სხვადასხვა საგნებით, სიტყვიერი ინფორმაციის მიწოდებას ყველა საგანსა თუ ნივთზე, რომელსაც ხელში ვაძლევთ და ასევე, თავად ბავშვის სტიმულირებას შეხებით - ხელის გადასმით, ასევე სხვადასხვა ტექსტურის მქონე მასალის შეხებით (ბუმბული, ველვეტი, ღრუბელი, ზეთი ან სხვ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტაქტილური აღქმის განვითარება იმ ბავშვებისთვის, ვისაც მხედველობის მძიმე დარღვევა აღენიშნებათ და მომავალში წერა-კითხვა ბრაილის შრიფტის გამოყენებით უნდა ისწავლონ. ბრაილის შრიფტის წარმატებულ ათვისებას თითების მოძრაობის სიზუსტე, სიძლიერე და მგრძობელობა განაპირობებს. თითების სიძლიერის, აკურატულობისა და ტაქტილური მგრძობელობის გაგვარჯიშება შესაძლებელია ისეთი ვარჯიშებით, როგორცაა ხრახნის მოშვება- მოჭერა, მუშტის გაშლა და შეკვრა, ჭრა, სხვადასხვა სიმძიმის და ფაქტურის ბურთების ხელის კვრა, სხვადასხვა საგნების გამოცნობა და დახასიათება და ა.შ. თითების, ხელების და მაჯების მოქნილობის გაგვარჯიშება შესაძლებელია ასანყოფი სათამაშოების, კონსტრუქტორების, ასანყოფი კუბების, დილაკების გამოყენებით. ტაქტილური მასალების თამაშის ფორმით გამოყენებისას, უმჯობესია, ბავშვს ურთიერთობა ჰქონდეს უფროსებთან ან თანატოლებთან, რათა მიიღოს სიტყვიერი აღწერილობა ყველა იმ აქტივობისა, რომელსაც ახორციელებს¹.

¹ნიგნიდან მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/Mxedvelobis_Dargvevis_mqone_moswav-leebis_swavleba_-pdf.pdf

მოტორული განვითარება

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოტორული განვითარების სტიმულირება, რადგან მათ უჭირთ საკუთარი მოძრაობის მართვა და გარემოს „გონებრივი რუკის“ ჩამოყალიბება. მოტორული განვითარების შეფერხება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის დამოუკიდებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური აქტივობები უფრო სპეციალისტის სფეროდ მიიჩნევა, არსებობს მრავალი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს სხეულის ზოგად გაკაჟებას, მობილობის, კოორდინაციის, სივრცის აღქმისა და თავდაჯერებულობის განვითარებას. მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ძალიან სასარგებლოა ცეკვა, ცურვა და სხვ. ადრეული მობილობა და ფიზიკური აქტივობა განსაკუთრებულ როლს ასრულებს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მიერ ფიზიკური სამყაროს შესახებ წარმოდგენებისა და ცნებების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული გულისხმობს ბავშვის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ არის ორგანიზებული სივრცეები და როგორი მდებარეობა აქვთ სივრცეში საგნებს. დამოუკიდებლობისა და მოტორული ფუნქციების განვითარებისთვის მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები მშობლებს ურჩევენ, ადრეული ასაკიდან ჩართონ ფიზიკურ აქტივობებში, რათა მათ გამოუმუშავდეთ თავდაჯერებულობა, მობილობა და პოზიტიური განწყობა ახალი გამოცდილებისადმი. მცირემხედველი ბავშვები დაკვირვების შედეგად მიღებული ფრაგმენტების თანმიმდევრული გამოვლიანების გზით ახდენენ რთული მარშრუტების აგებას. ნებისმიერ შემთხვევაში, „გონებრივი რუკების“ შემუშავება და სივრცის აღქმა გარკვეულ ათვისების წერტილებთან მიმართებაში უნდა ყალიბდებოდეს. იმისათვის, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მოტორული უნარები განვითარდეს და მათ შეძლონ გარემოში ეფექტური გადაადგილება, ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს მათი სტიმულირება და სხვადასხვა გარემოს შემეცნება. სივრცეში გადაადგილების მარშრუტების სწავლებისას, ბავშვს ერთდროულად შეიძლება განუვითაროთ, როგორც მსხვილი მოტორული უნარები, ასევე მხედველობითი უნარებიც. სივრცეში უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის მნიშვნელოვანია, ბავშვებმა ისწავლონ ყველა შეგრძნების გამოყენება. ბავშვებს შეიძლება ვასწავლოთ მარტივი მარშრუტი ერთი ადგილიდან მეორემდე, რათა მათ წინასწარ გაიაზრონ, რა საგნები ხვდებათ გზაში¹.

¹ნიგინიდან მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო http://ncp.ge/files/inclusion%20education/wigne-bi/Mxedvelobis_Dargvevis_mqone_moswavleebis_swavleba_-pdf.pdf

ეკა აღმზრდელმა სპეც. პედაგოგისგან მიღებული რეკომენდაციებიც გაითვალისწინა:

- ✓ მნიშვნელოვანია აღმზრდელ-პედაგოგის ჩართულობა სიტუაციების მართვისა და კონტროლის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს ირაკლის სტიმულირებას, მის დაინტერესებას და მოტივირებას შეკითხვებისა და საუბრის გზით.
- ✓ ორიენტაცია დახმარების თანდათანობით შემცირებაზე და დამოუკიდებლობის გაზრდაზე
- ✓ ცნებების ჩამოყალიბებაში დახმარების განევა. ამისათვის, მიმდინარე მოვლენების მაქსიმალურად აღწერა და განმარტება. დიალოგის საშუალებით გარემოში არსებული საგნების, მოვლენების, მსგავსებისა და განსხვავებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- ✓ სხვადასხვა ცნებების გაცნობა შეხებით, ყნოსვით, ხმებით და გემოთი.
- ✓ შესაძლებლობის მიცემა იკვლიოს ზედაპირები.
- ✓ მიუხედავად ირაკლის მხედველობითი უნარებისა, წაახალისოს, უყუროს საგნებს.
- ✓ უკუკავშირის მიცემა, რომ დაეხმაროს ირაკლის, დააკვირდეს თავის ქმედებებს.
- ✓ საკმარისი დროის მიცემა ალტერნატიული მოძალობით (შეხებით, სმენით) ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავებისთვის. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ვერბალური უკუკავშირი არ იყოს გადაჭარბებული.
- ✓ დამოუკიდებლად პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობა.

- ✓ ვიზუალურად მასტიმულირებელი მასალების გამოყენება (ბრჭყვიალა, ნეონის საღებავიანი), თუმცა, არა გადაჭარბებული სტიმულაცია.
- ✓ წიგნის კითხვისას და სურათების თვალთვლისას, რეალური საგნების გამოყენება.
- ✓ მასალების კონტრასტულ ფონზე წარმოდგენა (მაგალითად, მუქ ზედაპირზე ღია ფერის კუბურები)

ზემოთ აღწერილი მიდგომები ეხმარება ყველა უმცროსი ასაკის ბავშვს და არა მხოლოდ მხედველობითი სირთულეების მქონე ბავშვებს.

სივრცითი ორიენტაცია და მობილობა მხედველობის სირთულეების მქონე ბავშვებში

განვითარებაში, წარმატებასა და დამოუკიდებლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გარემოს გაგება და მასში უსაფრთხოდ გადაადგილებაა. შესაბამისად, ორიენტაციის (სად ვარ, სად მივდივარ, როგორ დავგვემო სტრატეგიები მიზანმიმდევრულად) და მობილობის (რეალური გადაადგილება ერთიდან მეორე ადგილზე) უნარების განვითარება არსებითია მხედველობის სირთულეების მქონე ბავშვებში. ორიენტაციისა და მობილობის ინსტრუქტორი მცირემხედველ ბავშვებს დამოუკიდებლად და მიზანმიმართულად გადაადგილებას ასწავლის.

ბროშურაში „მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება“ დეტალურადაა ორიენტაციის და მობილობის განვითარების ეტაპები, მიმდინარეობა და დამხმარე სტრატეგიები აღწერილი¹.

¹http://ncp.ge/files/inclusion%20education/wigne-bi/Mxedvelobis_Dargvevis_mqone_moswavleebis_swavleba_-pdf.pdf

პირველი დღეები წარმატებული იყო, პირველი ამოცანები მიღწეული - ირაკლი მარტო რჩება, ბავშვებთან თამაშობს და ურთიერთობს.

ეკა აგრძელებს თავისი სასწავლო სტრატეგიების წარმატებით გამოყენებას, თუმცა გადანყვიტა, მეტი ისწავლოს მხედველობის სირთულეების შესახებ. პროფესიული განვითარების გეგმაში შემდეგი თემები შეიტანა: მხედველობის სირთულეების თავისებურებები, როგორ შევუწყოთ ხელი მცირემხედველი ბავშვის ჩართულობას და განვითარებას, როგორ ვიზრუნოთ და ვასწავლოთ უსაფრთხოების დაცვა, მობილობა და ორიენტაცია მხედველობის სირთულეებისას. ბალის მეთოდისტი და ხელმძღვანელი გადამზადების ცენტრს დაუკავშირდნენ, რომელიც ამ მიმართულებით ბაღში ტრენინგებს ჩაატარებს. ირაკლის მშობლებსაც დაუკავშირდნენ და ამ შეხვედრებში მონაწილეობაზე დაითანხმეს.

10. ანანო

მეცხველას სირთულეები

- ანანო 4,8 წლისაა, ძალიან უყვარს გოჭი პეპას თოჯინებით თამაში, მაგრამ ბაღში დიდი ხალისით არ დადის. მისი ლაპარაკის გაგება შესაძლებელია, თუ ყურადღებით მოუსმენ. თითქმის ყველა სიტყვას თავისებურად ამბობს.

ანანოსთან ბალის (კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების) თერაპევტი, ნინო მუშაობს. როდესაც ნინომ მისი მეტყველების ჩანაწერი გაშიფრა, ნახა, რომ ანანო სირთულის გარეშე ამბობს ყველა ხმოვანს. რ-ს გამოთქვამს მხოლოდ სიტყვის დასაწყისში, მაგრამ ვერ გამოთქვამს როგორც ცალკეულად, ასევე კომბინაციაში თანხმოვნებთან და სიტყვის შუა და ბოლო ნაწილში. ასევე, არამკაფიოდ წარმოთქვამს ჟ,შ,ც ბგერებსაც. ანანოსთვის რთულია თანხმოვანთა ისეთი კომბინაციების წარმოთქმა, როგორცაა: ბლ, ფხ, პყ; დლ, ტკ, თხ, ტყ; ძლ, ცხ, წყ; ჯლ, ჩხ, ხბ, ჭყ,ძგ, ცქ, ნკ; ჯგ, ჩქ, ჭკ.

ანანო ბ-ს ანაცვლებს მ-თი (მაგ. ხმო - ხბო) რ-ს ანაცვლებს ლ- ბგერით. შ-ს ჩანაცვლება ხდება ს- ბგერით.

მეტყველებასთან დაკავშირებული სახისა და პირის ღრუს (ორალურ-მოტორული) შეფასებისას გამოიკვეთა, რომ კუნთების მოძრაობის დიაპაზონი არის მცირე, მოძრაობის სიჩქარე კი - სწრაფი და დაუკავშირებელი, რაც მას სირთულეს უქმნის მეტყველებაში - (მოტორული დაგეგმარების სირთულე). ასევე, ანანოს არ მოსწონს მსხვილ მოტორულ უნარებთან დაკავშირებული აქტივობები - წონასწორობის დაცვა, ცალ ფეხზე ხტუნვა. ნატიფი მოტორიკაც არ არის დახვეწილი, კალამი და ფანქარი უჭირავს მუშტით.

ანანოს აქვს საკმაოდ კარგი ლექსიკური მარაგი, წინადადებების აწყობისას შეცდომებს არ უშვებს, კარგად ესმის მიმართული ენა და აქვს კარგი შემეცნებითი უნარები.

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტმა ანანოს ინდივიდუალური პროგრამა მისი სირთულეების (მოტორული დაგეგმარება -მეტყველებისას საარტიკულაციო აპარატის მწყობრში მოყვანა) და მისი ძლიერი მხარეების (კარგად განვითარებული ენის გაგების უნარები და შემეცნება) გათვალისწინებით ააგო.

პეპას წიგნები და თოჯინები, ჯგუფის ის წევრები, რომლებსაც პეპას ამბები იტაცებთ და თან კარგი კომუნიკაციური პარტნიორობაც შეუძლიათ, ანანოს მხარდაჭერის პროცესის თანამდევები არიან. ნინოს ჩამოწერილი აქვს ის სამიზნე სიტყვები, რომელშიც ბგერათა ის კომბინაციები შედის, რაც ანანოსთვის რთული გამოსათქმელია, თუმცა ნინომ იცის, რომ ანანოს, უბრალოდ, ამ სიტყვების გამეორება რომ სთხოვოს, მიზანს ვერ მიაღწევს. ამიტომ, ნინოს წახალისებით, ნინომ, ანანომ, დათიმ და სოფომ „პეპას პროექტი“ წამოიწყეს. უკვე ორი თვეა, კვირაში სამჯერ, ისინი ერთად „ქმნიან“ პეპას ახალ ისტორიებს, აკეთებენ ამ ისტორიების შესაბამის აპლიკაციებს, ზედ აწერენ, ვინ რა თქვა და ახმოვანებენ

პერსონაჟებს. ნინო ხედავს, რომ არც ანანოს და არც დანარჩენ 2 ბავშვს ეს საქმიანობა არ ბეზრდებათ. ყველა მათგანი იუმჯობესებს და ივითარებს წარმოსახვის, დაგეგმვის და ენობრივ უნარებს. თვალსაჩინოა, რომ ანანომ გაიუმჯობესა ნატიფი მოტორული უნარები, ახლა მას ფანქარი ხელში უკეთ უჭირავს და გამოჭრასაც უკეთესად ახერხებს, უფრო ხალისითაა ჩართული ბალის ცხოვრებაში, მეტყველებაში უფრო გაბედული გახდა და სიტყვის სწორი ვერსიის გაგონების შემდეგ, ხალისით ასწორებს შეცდომებს.

ანანოს თერაპევტის რჩევით, მასწავლებელი მუდმივად იყენებს სწორი ენობრივი მოდელირების სტრატეგიას.

<p>ანანო: რა სათაცილო ლეტვია.</p> <p>მასწ: მეც მომწონს ეს სასაცილო ლექვი. ძალიან საყვარელი სასაცილო ლექვია. სასაცილო ლექვი. ხომ არ იცი, რა ქვია ამ სასაცილო ლექვს?</p>	<p>ანანო: თამომილე ტაქტორი!</p> <p>მასწ: რა ჩამოგილო? ტრაქტორი ჩამოგილო? კარგი, მივწვდები და ჩამოგიღებ. აი, ტრაქტორი ჩამოგიღე, რა დიდი ტრაქტორია!</p>
<p><i>ანანოს მასწავლებელმა უკვე იცის: როდესაც ბავშვი ლაპარაკის დროს ხშირად უშვებს შეცდომებს, ბავშვმა სწორი ფორმა ერთხელ კი არა, რამდენჯერმე უნდა მოისმინოს.</i></p> <p>გარდა ამისა, ანანოს მასწავლებელი ანანოსთვის სასარგებლო აქტივობებს ყველა ბავშვთან უფრო ინტენსიურად იყენებს, რადგან იცის, რომ ეს ყველასთვის ძალიან სასარგებლოა. ის მუშაობს ხმამობაძვებზე, ათამაშებს ბავშვებს ბგერებითა და მარცვლებით, ბავშვები ტაშს უკრავენ ან აკაკუნებენ იმდენჯერ, რამდენი მარცვალიც ესმით სიტყვაში. ვარჯიშობენ სიტყვებში ბგერათა ანალიზსა და სინთეზზე - რამდენი ასო-ბგერისგან შედგება მზე? რუ-ს რომ რ მოვაშოროთ და კ-თი ჩავანაცვლოთ, რა სიტყვა გამოვა? მასწავლებელი ბავშვებს ახალისებს, აღმოაჩინონ და გაასწორონ შეცდომები სიტყვებში.</p> <p>ანანოს მასწავლებელი ბავშვებს ასწავლის განმეორებადი რითმის საბავშვო ლექსებს, მსგავსი ჟღერადობისა და განსხვავებული შინაარსის სიტყვებით. ოღონდ, დიდ ყურადღებას აქცევს, რომ ბავშვებმა ლექსის შინაარსი და თითოეული სიტყვა კარგად გაიგონ. ამისათვის, ისინი ერთად ხატავენ ლექსში მოცემულ მსგავსი ჟღერადობისა და განსხვავებული შინაარსის სიტყვებს, მსჯელობენ ამ სიტყვებზე, მათ შინაარსზე და ბგერათა შემადგენლობაზე.</p> <p>ანანოსთვის ძალიან სასარგებლო აქტივობაში „სიტყვების კლასობანა“- სხვა ბავშვებზე სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას.</p>	
<p>სიტყვების კლასობანა:</p> <p>ეზოში, დერეფანში ან ჯგუფში ცარცით დახატეთ უჯრები, რომელშიც ჩანერთ სახალისო სიტყვათა ან წინადადებათა მარცვლებს. მაგალითად, ბა-ყა-ყი ყი-ყი-ნებს, თხუ-ნე-ლა თხრის, ელ-მა-ვა-ლი, ტრა-ქტო-რი და ა.შ. სთხოვეთ ბავშვებს, ჩახტნენ უჯრებში „კლასობანას“ თამაშის პრინციპით და თან მარცვლები ერთად გაახმოვანეთ.</p>	

მინიშნაბები წერა-კითხვის შესაძლო სირთულეებზე

- დანი 5 წლისაა. მისი განვითარება- კოგნიტური, მოტორული, სოციალურ-ემოციური და თვითმოვლის სფეროები- ნორმას შეესაბამება. ერთი შეხედვით, ნორმასთან მიახლოებულია მისი ენობრივი განვითარებაც. თუმცა, ხშირად, სიტყვებს შეცდომით გამოთქვამს. მას უფრო ხშირად სჭირდება ხოლმე იმის შეხსენება, რის მერე რა გააკეთოს. თანატოლებთან შედარებით, უფრო ხშირად უშვებს გრამატიკულ შეცდომებს და ერთულება დროის აღმნიშვნელი სიტყვების აღქმა. თანატოლებისგან განსხვავებით, ნაკლებად ინტერესდება ნაწერთა და ასოებით. დაჩის უყვარს ნაკითხულის მოსმენა, მაგრამ უჭირს აზრის ჩამოყალიბება ნაკითხულთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ნაკითხულის შინაარს იგებს. ბოლო დროს, ამბების მოყოლაც შეწყვიტა. მისი აღმზრდელ-პედაგოგი ნუხს, რომ დაჩის, შესაძლოა, სკოლაში წერა-კითხვასთან და სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნას.

დაჩის აღმზრდელ-პედაგოგი გამოცდილი, გულისხმიერი ადამიანია. ყოველთვის ცდილობს, დაესწროს ადრეულ განათლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სემინარებსა და ტრენინგებს. ასევე, ხშირად კითხულობს ამ თემატიკასთან დაკავშირებულ ლიტერატურას. ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია, დაჩის მშობლებს ყურადღება მიაქცივინოს დაჩის ენის განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეებისადმი, რომელიც ძალიან თვალსაჩინო არ არის, რადგან დაჩი, ზოგადად (სხვა სფეროებში), საკმაოდ კარგად ვითარდება, მეგობრული ბავშვია, უყვარს თამაში და კომუნიკაცია.

დაჩის აღმზრდელ-პედაგოგი, დალი, ცოტა ღელავს. არ იცის, როგორ უთხრას დაჩის დედას, რომ მას, დაჩის ენობრივ განვითარებასთან დაკავშირებით, გარკვეული ეჭვები აქვს. ბოლოს, ბალის ფსიქოლოგთან და ლოგოპედთან კონსულტაციის შემდეგ, გადანყვიტა, დაჩის დედისთვის შეეთავაზებინა ბავშვის ენობრივი განვითარების კითხვარის ერთად შევსება. სასწავლო წლის დასაწყისია და დალიმ დაჩის დედას უთხრა, რომ ის ამ პერიოდში ყოველთვის აფასებს ყველა ბავშვის განვითარებას სხვადასხვა სფეროების მიხედვით. ასევე უთხრა, რა კარგად ვითარდება დაჩი შემეცნებითი, თვით-მოვლის, სოციალურ-ემოციური და მოტორული თვალსაზრისით (თუმცა, მეტი ვარჯიში სჭირდება წონასწორობის გასაუმჯობესებლად). ასევე უთხრა, რომ დაჩი ძალიან მეგობრული და კომუნიკაბელური ბავშვია და ყოველთვის მზად არის, მეგობრებს დაეხმაროს. საუბრისას, მასწავლებელმა მშობელს ასევე უთხრა, რომ რამდენიმე შეკითხვა აქვს დაჩის ენობრივ განვითარებასთან დაკავშირებით. მაგალითად, აინტერესებს, ყვება თუ არა დაჩი სახლში მოკლე ზღაპრებსა და ამბებს; ან დაინტერესებულა თუ არა ოდესმე, როგორ იწერება საკუთარი ან დედიკოს სახელი. დალიმ ისიც აღნიშნა, რომ შესაძლებელია, სხვა სიტუაციაში, მაგალითად სახლში, დაჩი მეტ ყურადღებას ავლენს დაწერილისა და დაბეჭდილის მიმართ, ბალის გარემოში კი, მას ამ თვისების დანახვა გამოეპარა. დალიმ დაჩის დედას სთხოვა, ამ თვალსაზრისით, ბავშვს უფრო მეტად დაჰკვირვებოდა. მან გულისხმიერად აუხსნა დედას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ენობრივი განვითარების ადრეულ ასაკში ხელშეწყობა, რომ მოგვიანებით, წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლებად გამოვლინდეს.

მომდევნო შეხვედრაზე, დაჩის დედა დათანხმდა, რომ მასწავლებელი ბაღში დაჩისთან ამ საკითხზე ინდივიდუალური მიდგომით იმუშავებდა და საქმეში ბალის ლოგოპედსაც ჩართავდა.

ამის შემდეგ, დალიმ და ლოგოპედმა ერთად დაგეგმეს დაჩისთვის ინდივიდუალური მიდგომები, რომელიც ბალის კვირის გეგმებში, ინდივიდუალიზაციის გრაფაში აისახა, (დაჩის სირთულეები ისეთი არ არის, რომ მას ცალკე შედგენილი ინდივიდუალური გეგმა დასჭირდეს). დალიმ აქტივობები დედასაც გაუზიარა, სახლში მასაც იგივე მიდგომები რომ გამოეყენებინა.

ორივემ, აღმზრდელმაც და ლოგოპედმაც იცის, რომ ყველა ის სტრატეგია, რომელსაც ისინი დაჩისთვის გამოიყენებენ, ძალიან სასარგებლო იქნება ყველა ბავშვისთვის ჯგუფში, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც, დაჩის მსგავსად, ცოტა უფრო მეტად სჭირდება ენობრივი განვითარების სტიმულაცია.

ლოგოპედმა დალის სახალისო აქტივობები გაუზიარა, რომელიც დაჩისა და მის მეგობრებს ენობრივი განვითარების გაუმჯობესებაში დაეხმარება. ამ სახალისო აქტივობებისას, დალი მეტ დროს დაუთმობს დაჩის, რომ სიტყვებით, ბგერებითა და მარცვლებით ათამაშოს.

დალიმ იცის, რომ დაჩის უყვარს ხატვა და იცის ისიც, რომ ვიზუალური აღქმა მისი ძლიერი მხარეა. ერთ დღესაც დალი სამაგიდო აქტივობების დროს, დაჩისა და მისი მეგობრების მაგიდასთან დაჯდა და ბავშვებს შესთავაზა, ერთად „დაეხატათ“ ის პატარა ლექსი, რომელსაც ახლა სწავლობდნენ და რომლის დამახსოვრებაც დაჩის უჭირდა. მასწავლებელმა ლექსის პირველი სტრიქონი დიდ ფურცელზე დაწერა, ბავშვებს აჩვენა, რამდენი სიტყვა შედიოდა ამ სტრიქონში - თითოეული ცალ-ცალკე შემოხაზა და აუხსნა, რა რას ნიშნავდა. შემდეგ, ბავშვებს სთხოვა, მოეფიქრებინათ, როგორც შეიძლებოდა დაეხატათ ან გამოესახათ ამ სტრიქონებში შემავალი ყველა სიტყვა ერთ ხაზზე.

მას შემდეგ, რაც დალი დაჩის სიტყვის მნიშვნელობას აუხსნიდა, დაჩი საოცარი გულმოდგინებით იგონებდა ყველა სიტყვის შესაბამის გამოსახულებას. დალი მიხვდა, რომ დაჩიმ პირველად ახლა აღიქვა ლექსი. მან „დაინახა“, რომ ამ ლექსის სტრიქონებს 4-4 სიტყვა ქმნის და რომ თითოეული მათგანის დახატვა, ან გრაფიკულად გამოსახვა შეიძლება. მალე დაჩიმ ლექსი ზეპირადაც ისწავლა და თავისი მიღწევით ძალიან კმაყოფილი იყო. დალი მასწავლებელი გაკვირვებული დარჩა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ეს სტრატეგია კიდევ რამდენიმე ბავშვს დაეხმარა ლექსის უკეთ გააზრებასა და სწავლაში.

შემდეგი აქტივობა დაჩის საყვარელი სიტყვების დახატვა და მათზე სახელების მინერა იქნება. შემდეგ კი, დალის (ხანდახან ლოგოპედის ან მეორე მასწავლებლის) დახმარებით, იმდენ რგოლს მიახატავენ, რამდენი მარცვალაცაა ამ სიტყვაში; დაანყვიტებენ სურათებს, რომელზეც მსგავსი ჟღერადობის საგნებია გამოსახული; ერთად გააკეთებენ "სიტყვების კლასობანას", რათა დაჩი და მისი მეგობრები იმდენ უჯრედზე გადახტნენ, რამდენი მარცვალი ან ბგერაცაა სიტყვაში. ნაახალისებენ და აღნიშნავენ დაჩის წარმატებებს ამ მიმართულებით.

გარდა ამისა, აღმზრდელი და აღმზრდელ-პედაგოგი განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩინენ დაჩის მეტყველების მიმართ, ყოველთვის მიაქცევენ ყურადღებას დაჩის ნათქვამს და გამოიყენებენ პოზიტიური მოდელირების

მიდგომებს - როდესაც დაჩი წინადადებას გრამატიკულად ვერ გამართავს, შეცდომაზე მითითების გარეშე, სწორ ვერსიას(ყველაზე ცოტა) ორჯერ, ბუნებრივად გაიმეორებენ. მაგალითად, დაჩი:-, გიგა სტაფად მორბოდა და დავარდა”. უფროსი:-, ხო, მეც დავინახე, რა სწრაფად მორბოდა გიგა. შემეშინდა, ასე სწრაფად რომ მორბოდა, ასეთი სწრაფი სირბილი სახიფათოა”.

დალიმ იცის, რომ ამბების მოყოლა ენობრივი განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ყოველთვის ცდილობს, შექმნას სიტუაციები, სადაც ბავშვებს საშუალება მიეცემათ, ამბები მოყვნენ თავისუფალ, არასტრუქტურირებულ გარემოში - თავისუფალი თამაშისას, სენსორული აქტივობებისას, ეზოში თამაშისას და ჭამის დროს. მან იცის, რომ დილის და საღამოს წრე და სხვა დიდი ჯგუფური აქტივობები არ არის შესაფერისი დრო ამბების მოსაყოლად. ბავშვებს ეს მალე ბეზრდებათ. ამიტომ, როდესაც მცირე ჯგუფებში თამაშისას გაიგონებს, რომ რომელიმე ბავშვმა თავისი ამბავი გააზიარა, დაჩისაც ჰკითხავს, გადახდენია თუ არა მას რაიმე მსგავსი, ან -„რა მოხდა, როდესაც...“. ყოველ ორშაბათს, დალი შესაფერის დროს შეარჩევს და დაჩისა და მის რამდენიმე ამხანაგს აუცილებლად ეტყვის: „დარწმუნებული ვარ, რალაც საინტერესოს გააკეთებდით ამ შაბათ-კვირას“ და მათ მონაყოლს გულისყურით მოუსმენს. ამ დროს დალი ბავშვების სიმალლეზე ზის, მათკენაა გადახრილი და სახეზე აწერია, რომ ამბავს დიდი ინტერესით ისმენს. ის ყოველთვის აძლევს ბავშვებს საშუალებას, ამბავი დაასრულონ და ყოველთვის ამბობს რაიმე ისეთს, რაც ბავშვებს მიახვედრებს, რომ მათ გაუგო: „- წარმომიდგენია, როგორ მოიწყენდი, როცა შენი კატა ავად გახდა!“. დალი ყოველთვის ცდილობს, არ გადაუხვიოს თემიდან, არ ჩაერიოს და შეცვალოს თემა, როდესაც ბავშვები რაიმეს ყვებიან. და რაც მთავარია, მან იცის, რომ ბავშვების მონათხრობი არ უნდა აქციოს „გაკვეთილად“ ან „გამოცდად“: - - „როგორ ხმებს გამოსცემს კატა?“ -„კატა შინაური ცხოველია, კიდეც რა შინაური ცხოველი იცით?“ ამგვარი გამონათქვამები და კითხვები ამ ნუთების მთელ ჯადოსნურობასა და ინტიმურობას აქარწყლებს.

დალიმ იცის, რომ დაჩის ნაკითხულის მოსმენა უყვარს, მაგრამ შემდეგ, მოსმენილის გადმოცემა უჭირს. დაჩისთვის დასახული ერთ-ერთი მიზანი თხრობის უნარის გაუმჯობესებაა. დალის ჯგუფში რამდენიმე ბავშვია, რომლებიც დილის წრეზე წიგნების კითხვით არ ინტერესდებიან და ამბის მოყოლის სირთულეებიც აქვთ. ამიტომ, დალიმ სტრატეგია შეცვალა, დილის წრეზე დღის თემასთან დაკავშირებულ მოკლე ამბებს ყვება, ბავშვებს ამ ამბის ნახატებსაც აჩვენებს და ისეთ შეკითხვებს სვამს, რომ ბავშვების ინტერესი და ჩართულობა არ დაკარგოს. მაგალითად:

- როგორ მოიქცეოდით, ქუჩაში მოძრაობის დარეგულირება რომ დაგავალონ?
- როგორ იგრძნობთ თავს, ყირაფივით მალეები რომ იყოთ?
- როგორ აუხსნიდით პატარა ძამიკოს ან დაიკოს, რატომაა კბილების გამოხეხვა მნიშვნელოვანი? და ა.შ.

დალი წიგნებს დღის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა ბავშვებისაგან შედგენილ მცირე ჯგუფებს უკითხავს ხოლმე. ამ დროს, მისი მენყვილე დანარჩენ ბავშვებთან სხვა, შედარებით მშვიდი აქტივობითაა დაკავებული. წიგნის კითხვისას, დალი ყოველთვის ბავშვების სიმალლეზე ზის, ხშირად ჩერდება, ინტონაციებს ცვლის და ბავშვების რეაქციებს აკვირდება. იმისათვის, რომ

დაჩისა და მის მეგობრებს ამბის მოყოლისა და კრიტიკული აზროვნების უნარები განუვითარდეთ და წიგნის კითხვისას აქტიური ჩართულობა შეინარჩუნონ, დალი ხშირად სვამს ასეთ კითხვებს:

- როგორ ფიქრობ, რას იგრძნობდა პატარა დათვი, თავისი სკამი გატეხილი რომ დახვდა?
- კარგი აზრი იყო, გოგონამ ტყეში მარტო წასვლა რომ გადაწყვიტა?
- რას იფიქრებდნენ დათვები, მათ საძინებელში მძინარე პატარა გოგონა რომ დახვდათ?
- როგორ მოიქცეოდი, თვალეგახელილს თავზე წამომდგარი სამი დათვი რომ დაგენახა?

ბალის ყოველდღიურ ცხოვრებაში დაჩის მსგავსი ბავშვი ძალიან ბევრია. მათთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა საჭირო არ არის. უბრალოდ, საჭიროა მეტი ყურადღება, კვირის გეგმებში, ინდივიდუალიზაციის გრაფაში მეტი ენის განვითარებაზე დაფუძნებული აქტივობების შეტანა და იმის გააზრება, რომ ამგვარი აქტივობები ძალიან სასარგებლოა ყველა ბავშვისთვის.

12. მარი

დედის შფოთვა და არბიკულაცია

მარი 5,5 წლის ხდება. ის ბაღში სკოლისათვის მზაობის ჯგუფშია. დედა წუხს, რომ ლაპარაკის დროს ხშირად ურევს ს-სა და შ-ს, ასევე ნ-სა და ჭ-ს. მარის უყვარს მეგობრებთან თამაში და აღმზრდელისთვის სხვადასხვა ამბების მოყოლა.

ბაღის ლოგოპედმა იცის, და მარის დედასაც აუხსნა, რომ მარის ენობრივი განვითარება ნორმალურად მიმდინარეობს. მარის თავისუფლად შეუძლია ამბების მოყოლა. ამბების მოყოლისას 4-5 ან მეტსიტყვიან თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებს იყენებს. აქვს სიტყვათა კარგი მარაგი და წინადადებების დალაგებისას გრამატიკულ შეცდომებს თითქმის არ უშვებს. აქ საგანგაშო არაფერია, მარი დროთა განმავლობაში ამ ბგერებს ერთმანეთში აღარ აურევს, თუმცა, არც ის იქნება ცუდი, თუ ოჯახის წევრები და მასწავლებელი ამაში დაეხმარებიან.

ლოგოპედმა დედასა და მასწავლებელს აუხსნა, რომ დახმარება არაეფექტური იქნება, თუ მარის, ყოველ ჯერზე, არასწორად ნათქვამი ბგერების სწორი ბგერებით ჩანაცვლებას მოვთხოვთ. ამან შესაძლოა, მარის თვითშეფასებაზე იმოქმედოს და მისი კომუნიკაციის სურვილი შეამციროს.

მაგალითად, მარი ამბობს „შაშლელი მომანოდე“ - უფროსი კი ეუბნება - „შაშლელი კი არა, საშლელი“. რა ხდება ამ დროს? მარის არასწორი ფორმა ორჯერ ესმის-საკუთარი ნათქვამი და უფროსის გამეორებული, ხოლო სწორი - ერთხელ, რაც მას სწორი ფორმის დასწავლაში ნაკლებად დაეხმარება.

მოდელირების/მაგალითის მიცემის ბევრი გზა არსებობს, ზოგი ეფექტურია, ზოგი კი არაეფექტური და შესაძლოა, ბავშვის მეტყველების სურვილი შეაფერხოს.

ქვემოთ მოყვანილია არაეფექტური მოდელირების რამდენიმე მაგალითი:

ბ: სავი ფანქარი მომანოდე. უ: სავი ფანქარი კი არა, შავი ფანქარი.	ბ: სავი ფანქარი მომანოდე. უ: სავი ფანქარი-არა. სავი ფანქარი აღარ თქვა. დაიმახსოვრე, სწორი ფორმაა შავი ფანქარი.	ბ: გოგო ფეიტაზე უკრავს? უ: ფ--ლ--ე--იტა იგულისხმე? ფ--ლ--ეიტა უნდა თქვა ხოლმე.	ბ: ხალხები მოვიდა. უ: ხალხები მოვიდა? როგორ უნდა გეთქვა?	ბ: სავი ფანქარი მინდა, თუ სეიდლება. უ: (სარკასტულად) როგორი ფანქარი გინდა, თუ სეიდლება?
რა გაიგონა ბავშვმა? „სავი“ მან გაიგონა ორჯერ, „შავი“-ერთხელ. უფროსმა განყვიტა დიალოგი! ბავშვი აღარ გისმენთ. ბავშვმა „სავი ფანქარი“ სამჯერ გაიგონა, „შავი ფანქარი“-ერთხელ, თუ საერთოდ გისმენდათ.	ბ: [ფიქრობს] ხო... ხო... ოღონდ ვერაფერი გაიგო. მოდელირების ეს გადაჭარბებული ფორმა არ არის რეკომენდირებული. იგი ამახინჯებს სიტყვის რიტმს და ბავშვი ვერ იგებს სიტყვას.	ბ: (ფიქრობს)?ამ მაგალითში მოდელირება საერთოდ არ ხდება.	მაგალითის მიცემა საერთოდ არ მომხდარა. დაცინვით ბავშვი კარგავს თვითრწმენას და კომუნიკაციის სურვილს.	

ამის ნაცვლად, უფროსმა, უმჯობესია, შემდეგ სტრატეგიებს მიმართოს:

ყოველ ჯერზე, როდესაც მარი არასწორ ფორმას გამოიყენებს, უფროსი მას სწორ ფორმას, ძალდაუტანებლად, ორჯერ გაუმეორებს. მაგალითად, მარი ამბობს „შაშლელი მომანოდე“ - უფროსი კი ეუბნება - „საშლელი გჭირდება? აი, გამომართვი საშლელი“.

გარდა ამისა, რამდენადაც მარი უკვე სკოლისათვის მოსამზადებელ ჯგუფშია, ლოგოპედმა დედასა და მასწავლებელს ურჩია, რომ მასთან როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი და ტექტილური მოდალობებიც გამოიყენონ. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ უფროსები მარის არასწორად ნათქვამ ყოველ სიტყვას, ყველაზე ცოტა, ორჯერ იმეორებენ სწორად გამოთქმულს, სარკის წინ „სისინა-შიშინა“თამაშებს თამაშობენ. ასევე, ამ ბგერებს აწერიან, ახატინებენ, აძერწინებენ; თვალეზაბუჭებებს (გამოსაცნობად) ხელზე აწერენ; ასევე, ტომარაში ჩაყრილ ასოებში შ-სა და ს-ს, ჭ-სა და ჭ-ს აძებნიან და ა.შ.

დროთა განმავლობაში, მარი შ-სა და ს-სა და ჭ-ს გარჩევას სწავლობს და მეტყველებისას ნაკლებ შეცდომებს უშვებს. მისი დედა ამით ძალიან გახარებულია.

13. სანდრო

ენობრივი განვითარების შეფერხება

- სანდრო 2,8 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყენებს 2 სიტყვიან წინადადებებს. მისი ლექსიკონიც ძალიან მწირია, მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ამბობს, როდესაც რაიმეს მოთხოვნა უნდა. ძალიან უჭირს დილაობით დედასთან განშორება, ბაგა-ბალის ჯგუფში ძირითადად მარტო თამაშობს და არც აღმზრდელთან ურთიერთობს. სადილის შემდეგ „უმიზეზო“ ტირილსა და შთოფთვას იწყებს. სანდროს, აუცილებლად ექნება თავისი ძლიერი მხარეები, რომელსაც დაკვირვება და შეფასება ჭირდება - მისი ძლიერი მხარეები მასთან მუშაობის დასაგეგმად რომ გამოვიყენოთ.

იმ მწირი მონაცემებიდან გამომდინარე, რაც სანდროს შესახებ ვიცით, საჭიროებები ენობრივი განვითარების თვალსაზრისით, შესაძლოა, ასე გამოიყურებოდეს

- გამოიჩინოს მეტი ინიციატივა ჯერ უფროსებთან, შემდეგ კი ბავშვებთან ურთიერთობისას (კომუნიკაცია);
- ლექსიკის გაფართოება (სემანტიკა);
- გადავიდეს 2 სიტყვიანი და შემდეგ - 3 სიტყვიანი ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებაზე (მორფო-სინტაქსი).

როდესაც სანდროს პედაგოგმა, მზიამ და მშობელმა ისაუბრეს, გაირკვა, რომ სანდროს ძალიან უყვარს ქვიშაში თამაში და წიგნი დინოზავრებზე. ამიტომ, დედამ და მასწავლებელმა ერთად შემდეგი რამ მოიფიქრეს:

- სანდროსა და მისი დედის განშორება უფრო უმტკივნეულო რომ იყოს, ყოველთვის, როდესაც სანდრო ბაღში მოვა, აღმზრდელი, 5-10 წუთის განმავლობაში, ქვიშის კონტინერთან ეთამაშება. რიტუალი, რომელიც სანდროს ინტერესებზეა მორგებული, მას დედასთან განშორების შფოთს შეუმსუბუქებს და ხელს შეუნყოფს პედაგოგთან სანდრო მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, ამ პერიოდს აღმზრდელი გამოიყენებს, რომ სანდროს კომუნიკაციის ინიციატივი გაუზარდოს და 2 სიტყვიანი წინადადებების მეტი და მეტი მაგალითი შესთავაზოს.
- მზია, ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგ ანის შეუთანხმდა, რომ როდესაც ის სანდროს იქნება დაკავებული, ანი აიღებს პასუხისმგებლობას, რომ დანარჩენ ბავშვებს დახვდეს ჯგუფში და მიესალმოს
- სანდრო, 2-3 თვის მანძილზე დაიწყებს 2 სიტყვიანი ფრაზების - „კიდე მინდა“, „ჭიქა გაივსო“, „ჩაყაროთ კიდე“, „კოვზი მომანოდე“ და სხვა- გამოყენებას ბუნებრივ ვითარებაში.
- იმისათვის, რომ სანდროს კომუნიკაცია წაახალისოს, ის სანდროს არასდროს მიმართავს მსგავსი ფრაზებით: - სანდრო, შეხედე, ქვიშა. აბა, თქვი - ქვიშა!

მზია გულისხმიერი და დაკვირვებული ადამიანია, მას კარგად ესმის, რომ ლაპარაკის ძალდატანება დალაპარაკების სურვილს ამცირებს. მზიამ იცის, რომ სანდროს სჭირდება დრო იმისათვის, რომ შეეჩვიოს და მასთან კავშირი დაამყაროს. ამის საუკეთესო საშუალება კი თამაშში შენეობაა. მზია და სანდრო ერთად ავსებენ ქვიშის კონტინერებს, ერთად პოულობენ ქვიშაში დამალულ პატარა სათამაშოებს, ერთად თამაშობენ „პასკა, პასკა გამოცხვის“. ასეთ დროს, მზია ყოველთვის ცდილობს, ინიციატივების გამოჩენის, თამაშის წესებისა და თანმიმდევრობის წარმართვის უფლება სანდროს დაუტოვოს და თავად სანდროს რიტმს მისდოს. მზია სანდროს ყურადღებით უყურებს, მის შემოხედვაზე ყოველთვის გაღიმებულია და თავის დაქნევით რეაგირებს. ეკითხება, ხომ არ უნდა, კოვზი მიანოდოს, ქვიშა დაამატოს და ა.შ.

მზიამ გამოცდილებით ისწავლა, რომ დალოდება კომუნიკაციის და ენის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხერხია. „როდესაც ელოდები, შენ ბავშვს აძლევ დროს, გამოიჩინოს ინიციატივა და ჩაერთოს აქტივობაში“.

მზიამ იცის, რომ ბავშვებისთვის, განსაკუთრებით კი სანდროს მსგავსი ბავშვებისთვის, ხანდახან რთული შეიძლება იყოს იმის გაგება, თუ რა ითქვა. მზიამ იცის ისიც, რომ პატარა ბავშვები ამ დროს განმარტებას არ ითხოვენ ხოლმე. შეიძლება მათ ვერც გააცნობიერონ, რომ ვერ გაიგეს, რა ითქვა. მაშინაც კი, თუ გააცნობიერებენ, შესაძლოა, არაფერი გააკეთონ განმარტების მისაღებად. შედეგად, ისინი ნაკლებ სახარბიელო მდგომარეობაში არიან სწავლისა და ახლის გაგების თვალსაზრისით, მათ შორის, ენის სწავლის თვალსაზრისითაც.

ამიტომ, მზია ყოველთვის ცდილობს, ბავშვებს აჩვენოს იმის მაგალითი, თუ როგორ მოითხოვონ განმარტება.

ჭამის ან ხატვის დროს, მზია ხშირად ჯდება ხოლმე სანდროს სიახლოვეს და ყოველთვის, როცა ამის შესაძლებლობა მიეცემა, სანდროს იმის მაგალითს აძლევს, თუ როგორ შეიძლება მოითხოვო განმარტება, როდესაც რამეს ვერ გაიგებ. მაგალითად, როდესაც რომელიმე ბავშვი რაიმეს გაუგებრად ეტყვის, მზიას სახეზე გარკვევით დაწერება, რომ ვერ გაიგო, რა უთხრეს. შემდეგ, ბავშვებს ხელების მოძრაობით ანიშნებს, რომ ვერ გაიგო, იხრება სანდროსკენ და გარკვევით ამბობს: - „სანდრო, ვერ გავიგე, რა მითხრა თიკამ, მოდი ერთად ვკითხოთ“, - რა? თიკა, რა თქვი?“ თიკა ცოტა უფრო გასაგებად იმეორებს თავის ნათქვამს. მზია: - „ა, შენი ფანქარი გატყდა? ხედავ, სანდრო, თიკას ფანქარი გატყდა“.

გარდა ამისა, რამდენადაც სანდრო თავისუფალი თამაშების დროს, ძირითადად, კუბურებით ერთობა, აღმზრდელ-პედაგოგი ყურადღებას მიაქცევს, რომ სანდრომ ხანდახან ამ თამაშში მის სივრცეში მყოფი ბავშვებიც ჩართოს. მზიამ უკვე იცის, რომ სანდროს საყვარელი წიგნი დინოზავრების შესახებაა. დინოზავრებს ხშირად ახსენებს ლუკაც. ლუკა კომუნიკაბელური და გახსნილი ბავშვია, ასაკისთვის შესაბამისი, კარგი ლექსიკური მარაგით. მზია ფიქრობს, რომ შეიძლება ლუკასა და სანდროს შორის ურთიერთობების ხელშეწყობას. ცხადია, ამისთვის საუკეთესო დრო თავისუფალი თამაშია. იმ დღეს, მზიამ ჯიბეში ორი პატარა დინოზავრი დამალა და მაშინ, როდესაც სანდრო კუბურებისგან კოშკს აშენებდა და ლუკაც იქვე, შორიახლო იყო, დინოზავრები ხელისგულზე დაილაგა და თქვა - „ეს პატარა დინოზავრები გუშინ გამოიჩივნენ. დედა წასულია, შეიძლება საჭმელი უნდა უშოვოს. ლუკა, სანდრო, სად დავმალეთ პატარები, სანამ დედა მოვა? სანდრო, შეიძლება შენს კოშკში დავმალეთ?“ სანდრო გაბრწყინებული თვალებით აქნევს თავს. მოგვიანებით, სანდრომ, ლუკამ და მზიამ პატარა დინოზავრებს სახელებიც შეურჩიეს, ამასობაში დინოზავრების დედაც დაბრუნდა და შეიძლება ხორცის დიდი ნაჭერი მოუტანა.... ლუკასა და სანდროს საერთო ინტერესი ძალიან კარგი წინაპირობა გამოდგა მათი ერთობლივი თამაშის ხელშეწყობად. გარკვეული პერიოდის მანძილზე, მზია ხშირად იყო ხოლმე ამ თამაშების წამოწყების მონაწილე. ის თავისი მარტივი და ბავშვებისთვის საინტერესო კომენტარებით - „ნეტა, ამ დინოზავრებს პირიდან ცეცხლი გადმოსდით?“ - სანდროს ენობრივ და კომუნიკაციის განვითარებას კარგ ასპარეზს უქმნიდა. დროთა განმავლობაში, სანდროსა და ლუკას თამაშში მისი ზედმეტად აქტიური ჩართულობა საჭირო აღარ იყო.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ სადილის შემდეგ, უკვე დაღლილ სანდროს მშვიდი აქტივობა და მეტი ყურადღება სჭირდება, ამიტომ აღმზრდელ-პედაგოგი და სანდროს დედა შეთანხმდნენ, რომ თავის დინოზავრების წიგნს სანდრო ბაღში ატარებს ხოლმე და სადილის შემდეგ ყოველთვის ერთნაირი რიტუალი გაიმართება: ანი და სანდრო ერთად დასხდებიან წყნარ კუთხეში და დინოზავრების წიგნს დაათვალიერებენ. ამ აქტივობის დროსაც, მიზანი სანდროს კომუნიკაციური ინიციატივის და მეტყველების უნარების გააქტიურება იქნება.

სანდროს დედა და აღმზრდელ-პედაგოგი ასევე შეთანხმდნენ, რომ კარგი იქნება, თუ სანდროს ენობრივ განვითარებას კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტიც შეაფასებს.

ბავშვებს შორის კონფლიქტის მოგვარება და მშობელთან საუბარი

(ასაკობრივი ჯგუფი 3 წელი)

როცა სოფოს თავისი 3 წლის ქალიშვილი, ლიზა საბავშვო ბაღში მიჰყავს, ცოტა ხნით ბავშვთან ერთად რჩება ხოლმე ჯგუფში. დღეს დილითაც, როგორც ყოველთვის, სოფო ცოტა ხანი ლიზასთან ერთად რჩება ჯგუფში. დედა და შვილი ერთად იწყებენ ხის კუბურებით კომპის შენებას. იქვე, 3 წლის მარიამიც აწყობს კუბურებისგან სხვა კომპს. ორივე ბავშვი ისეა ჩართული თამაშში, რომ ერთმანეთს ყურადღებას არ აქცევენ, სანამ ლიზა არ დგება და იმ თაროსკენ არ მიდის, სადაც კუბურებია დალაგებული, რომ თავისი კომპისთვის ახალი კუბურა წამოიღოს. მარიამი თავის კომპს ზუსტად იმ თაროს წინ აშენებს, სადაც ლიზა მიდის. მარიამი ლიზას ფეხზე არტყამს ხელს და ყვირის: „არა!“ სოფოს, ლიზას დედას, ძალიან უკვირს მარიამის ასეთი საქციელი და მაშინვე ბავშვებთან მიდის. ხელს კიდებს თავის ქალიშვილს, უყურებს მარიამს და ეუბნება: „ახლავე უნდა მოიხადო ბოდიში! სთხოვე, რომ გაპატიოს!“ მარიამი ყვირილით პასუხობს: „ჩემი კუბურები!“ და უბრუნდება კომპის აწყობას.

დალი, მთავარი პედაგოგი, ხედავს, რომ ატირებულ ლიზას დედა ამშვიდებს და აღელვებული მიდის მათკენ. დალი ეკითხება მარიამს, ხომ არ იცის, რატომ ტირის ლიზა. მარიამი უხეშად პასუხობს: „ჩემი კუბურები. ლიზას კუბურები არა“. როდესაც დალი ლიზასკენ ტრიალდება, რომ ჰკითხოს, რატომ ტირის, მის მაგივრად დედამისი პასუხობს: „ლიზა თაროდან ახალი კუბურის ასაღებად მიდიოდა და ამ დროს მარიამმა ფეხზე დაარტყა.“ „აჰ“-ამბობს დალი. „ლიზა, თქვენ ორივე კუბურებს იყენებდით კომპის ასაშენებლად, არა?“ ლიზა თავს უქნევს. „მარიამ, შენ გეგონა, რომ ლიზა ძალიან ბევრ კუბურას აიღებდა და შენ აღარ დაგრჩებოდა შენი კომპის ასაშენებლად?“ „ჩემი კუბურები. ჩემი კომპი ცამდეა“-ამბობს მარიამი და ხელებს მალლა წევს. „ხო, ეს ის კუბურებია, რომელიც შენ შეგიძლია გამოიყენო“- ეუბნება დალი და მარიამის წინ დალაგებულ კუბიკებზე მიუთითებს: „სად არის კუბურები, რომელიც ლიზას შეუძლია გამოიყენოს?“ მარიამი უყურებს თაროზე დალაგებულ კუბურებს: „აი“- ამბობს ის და თაროს ბოლოში დალაგებული კუბურებისკენ იყურება: „ეს ჩემი კუბურებია, ჩემი კუბურები“ განაგრძობს მარიამი და ყველა დანარჩენ კუბურაზე მიუთითებს.

„აქ ორივესთვის საკმარისი კუბურაა“- მიმართავს დალი ორივე ბავშვს: „მარიამ, შეგიძლია ლიზას ანახო, სად დევს ის კუბურები, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს? დარტყმა საჭირო არ იყო. ლიზა დარტყმის გამო ტირის. ხედავ, სახეზე ცრემლები რომ აქვს?“- ეკითხება დალი სერიოზული ხმით. მარიამი ლიზას სახეზე უყურებს. „როცა შენ დაარტყი, ლიზას ძალიან შეეშინდა და ეწყინა“- აგრძელებს დალი და მეგობრულად ადებს ხელს ლიზას: „მწყინა, ლიზას რომ დაარტყეს. მწყინს, როცა ჯგუფში ვინმეს რამე სტკივა. ჩვენ ერთმანეთი უნდა დავიცვათ. შენ თუ ლიზას აუხსნი, საიდან შეუძლია აიღოს კუბურები, მაშინ აღარ იღელვებ იმაზე, რომ ლიზამ შეიძლება ის კუბურები აიღოს, რომელიც შენ გჭირდება. მაშინ ყველა კარგად იქნება და არავის არაფერი ეწყინება“. დალი ცოტა ხანი ჩერდება და შემდეგ ეკითხება: „რა შეგიძლია გააკეთო, რომ ლიზამ

3 ადაპტირებულია ნიგინიდან 'შემთხვევების შესწავლა ადრეულ განათლებაში: განვითარების შესაბამისი პრაქტიკის იმპლემენტაცია'. ავტორები: რ. ოზრეტიჩი, ლ. ბარტი, ს. დოეჩერი, მ. ფოსტერი, 2009 წელ

თავი უკეთ იგრძნოს?“ ცოტა ხანი მარიამი იატაკისკენ იყურება, შემდეგ ლიზას შეხედავს და ეკითხება: „ახლა კარგად ხარ?“

ლიზაც თავს უქნევს და ამბობს: „კი.“

„აი, ერთი“- ეუბნება მარიამი და ერთ კუბურას აძლევს ლიზას. შემდეგ, ისევ თავის კომპს უბრუნდება.

„მიხარია, რომ ახლა თავს უკეთ გრძნობ, ლიზა. მარიამ, მაგლობა, რომ ლიზას კუბურა მიეცი. ახლა ორივეს შეგიძლიათ ააშენოთ კომპი“-ამბობს დალი. სოფო ამ დროს საათზე იყურება, ხვდება, რომ უკვე მისი წასვლის დროა. ლიზა და სოფო კარისკენ მიდიან, ერთმანეთს ემშვიდობებიან. „კარგად, ჩემო პატარავ. ძალიან მიყვარხარ“- ეუბნება სოფო ქალიშვილს. „მე უფრო მიყვარხარ“- პასუხობს ლიზა და ხელს უქნევს დედას.

იმავე დღეს, დალი სოფოსგან ელ-ფოსტით მოწერილ წერილს ნახულობს:

„გამარჯობა, დალი.“

მინდა, დღეს დილით მომხდარ პრობლემაზე მოგწეროთ. სანამ სამსახურში მივიდოდი, ვფიქრობდი, როგორ დაარტყა მარიამმა ლიზას და მივხვდი, რომ თქვენ მარიამისთვის ბოდიში არ მოგიხდევინებიათ. ბავშვებში კარგ ქცევას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მეგონა, ლიზა საჭიროების შემთხვევაში, თქვენს ჯგუფში ბოდიშის მოხდასაც ისწავლიდა. ახლა კარგად ვერ ვიგებ, ბავშვებს საერთოდ ახდევინებთ ხოლმე ბოდიშს, თუ არა? ლიზას მართლა ძალიან უყვარს ბაღში სიარული და ხშირად ყვება თავისი მეგობრების შესახებ. მე, უბრალოდ, ვერ ვიგებ, რატომ არ მოახდევინებთ მარიამს ბოდიში.“

დალი მაშინვე პასუხობს

„გამარჯობა, სოფო.“

ძალიან გამიხარდა, დღევანდელი შემთხვის შესახებ რომ მომწერეთ. კარგი ქცევის, კარგი მანერების და ზოგადად ისეთი სოციალური უნარების სწავლება, როგორიცაა ერთმანეთის დახმარება, ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. თქვენ სწორად აღნიშნეთ, მე ბოდიშს არ ვახდევინებ ბავშვებს, თუ ისინი ამისთვის მზად არ არიან. ჩემი მიზანია, ბავშვებმა მართლაც გულწრფელად გააცნობიერონ თავიანთი საქციელი. გააცნობიერონ, რომ წუხან, როდესაც მათ რომელიმე მეგობარს ატკინეს ან აწყენინეს. „ბოდიშის“ ან „მაპატიეს“ თქმამდე, მათ გარკვეული ფუნდამენტური უნარები უნდა განუვითარდეთ. ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ ამ უნარების განვითარებაზე. დიდი სიამოვნებით შეგხვდებოდით, რომ ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ როგორ მივალწიოთ ამ ერთობლივ მიზანს. ხვალ, როდესაც ლიზას მოაკითხავთ, დრო ხომ არ გექნებათ, ან შეგვიძლია, თქვენთვის სასურველ დროს შევხვდეთ.

მადლობა, დალი.“

მეორე დღის საღამოს, სოფო გაღიმებული შემოდის ჯგუფში, ხედავს, რომ მარიამი და ლიზა თავსატეხით ერთად თამაშობენ. დალი ღიმილით ხვდება სოფოს: „კიდევ ერთხელ გამარჯობა, ხომ არ გინახავთ ჩემი წერილი?“

„დიახ, ვნახე. დიდი მადლობა და მინდა, კიდევ დაგელაპარაკოთ ამის შესახებ. დიდხანს ვერ დავრჩები, მაგრამ იქნებ რამდენიმე კითხვაზე მიპასუხოთ.“

დალი აღმზრდელს სთხოვს, დარჩეს ჯგუფში ბავშვებთან, სოფო კი ლიზას

ეუბნება: „ლიზა, ცოტა ხანი კიდევ ითამაშე, მე კი დალის დაველაპარაკები, კარგი?“ ლიზა თავს უქნევს და სათამაშოს უბრუნდება.

დალი და სოფო გვერდით ოთახში გადიან, დალი სოფოს სკამს სთავაზობს. დაფაზე ლიზას ნახატია გამოკრული. დალი სოფოს ნახატის შესახებ უყვება: „ვიცი, ბევრი დრო არ გაქვთ, მაგრამ სანამ დავინწყებთ, მინდა, ლიზას დღევანდელი ნახატი გაჩვენოთ. ჯერ მხოლოდ ერთი ფერით დაინყო ხატვა... ცისფერით, შემდეგ გამოიყენა წითელი, მწვანე და იასამნისფერი. აღფრთოვანებული იყო, რომ ამდენი ფერი ჰქონდა ერთ ფურცელზე და ნახატის თქვენთვის ჩვენება უნდოდა. მე ვუთხარი, რომ შეეძლო ამ ნახატის სახლში წაღება.“ დალის, ლიზას ნახატის შესახებ საუბრისას, ეტყობა, რომ ბავშვის აღფრთოვანებას იზიარებს. „მადლობა!“ ამბობს სოფო, რომელიც შვილის ნახატს ღიმილით დასცქერის. „ჩვენ სახლში სპეციალური ადგილი გვაქვს, სადაც ლიზას ნახატებს ვკიდებთ, რათა მათი ნახვა ყველამ შეძლოს.“ ამბობს სოფო და განაგრძობს: „კიდევ ერთხელ მინდა ბოდიშის მოხდის შესახებ ვისაუბროთ. თქვენს წერილში ამბობთ, ბავშვებს ჯერ გარკვეული ფუნდამენტური უნარების განვითარება ესაჭიროებათ, რათა შემდგომში ბოდიშის მოხდა შეძლონ. რას გულისხმობთ ამ ფუნდამენტურ უნარებში? ლიზამ უკვე იცის ბოდიშის მოხდა. როდესაც ვეუბნები, რომ ბოდიში მოიხადოს, ის ყოველთვის ამბობს „ბოდიში“. ამის გარდა, კიდევ რა უნდა იცოდეს?“

„ვფიქრობ, ჩვენ ორ სხვადასხვა უნარზე ვსაუბრობთ“- ამბობს დალი. „გარკვეული უნარია საჭირო იმისთვის, რომ თქვა სიტყვა „ბოდიში“, ამ უნარს ჩვენი ჯგუფის ბავშვების უმეტესობა ფლობს. ხოლო მეორე უნარია, როდესაც ადამიანს მართლა შეუძლია გააცნობიეროს წუხილის ემოცია, რომელიც სხვისთვის ტკივილის მიყენების ან წყენინების შემთხვევაში ეუფლება. თუ გახსოვთ, ერთი თვის წინ, მშობლების შეკრებაზე ვსაუბრობდით, თუ როგორ ვასწავლოთ, როგორ დავეხმაროთ ბავშვებს საკუთარი და სხვისი გრძნობებისა და ემოციების სწორად განსაზღვრაში.“

„გამახსენდა“- ამბობს სოფო- „თქვენ საუბრობდით ბავშვების გრძნობებზე, თუ როგორ გამოხატავენ საკუთარ ემოციებს, როცა გაბრაზებულები ან გახარებულები არიან.“ „დიახ, ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ ბავშვებმა სწორად შეიცნონ და გამოხატონ ემოციები, რადგან პატიების სურვილიც ისეთივე ემოციაა, როგორც ბრაზი ან სიხარული. ამიტომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, როდესაც ამ ემოციის გამოხატვას ვასწავლით. პატარები, ხშირად, საკუთარ ბრაზსა და შიშში იკარგებიან და საერთოდ არ განიცდიან თავიანთი საქციელის გამო სინდისის ქენჯნას. მარიამს არ ეტყობოდა, რომ ის თავის საქციელს განიცდიდა. არ ეტყობოდა, რომ პატიების თხოვნა სურდა. ის უფრო გაბრაზებული და შესაძლოა, შეშფოთებულიც იყო იმის გამო, რომ მის „ტერიტორიაზე შემოიჭრნენ“. სწორედ ამიტომ არ მინდოდა, არასწორი მიმართულება მიმეცა მისი ემოციების გამოხატვისთვის და ამიტომაც არ მსურდა, რომ მას უბრალოდ ეთქვა სიტყვა „ბოდიში“. „ჯგუფში მყოფ 3 წლის ბავშვებს ჯერჯერობით კარგად არ შეუძლიათ როგორც თავისი, ასევე სხვისი ემოციების გაგება. ამიტომ, ვზრუნავ იმაზე, რომ მათ ემოციურ მდგომარეობას სხვა მიმართულება არ მივცე. მაგალითად, ერთი და იგივე ემოციურ მდგომარეობას არ შეიძლება ერთხელ დავარქვათ „ბრაზი“ და სხვა დროს - „პატიების სურვილი“. ამგვარმა აღრევამ შეიძლება ხელი შეგვიშალოს, ვასწავლოთ ბავშვებს ემოციების სწორად გაგება. ამასთან, როცა ბავშვი ეჩვენება სიტყვა „ბოდიშის“ უბრალოდ თქმას, მან შეიძლება იფიქროს, რომ ეს ჯადოსნური სიტყვაა და მას ნებისმიერი ქმედებისგან პასუხისმგებლობას არიდებს. „მე ყველაფრის გაკეთება შემიძლია მანამ, სანამ ჩემი ქმედების შემდეგ ვიტყვი „ბოდიშს“. სულაც არ არის საჭირო, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდე ან სინდისის ქენჯნას განვიცდიდე, მთავარია ვთქვა „ბოდიში“.

„აი, ეს ნამდვილად გასაგებია ჩემთვის“- ამბობს სოფო- „ჩვენ ქუჩაზე ერთი ბიჭია, რომელიც სულ ასე იქცევა. ნამდვილად არ მინდა, ლიზაც ასე იქცეოდეს, მაგრამ მინდა, რომ მას შეეძლოს „ბოდიშის“ თქმა და, ამასთანავე, განიცდიდეს ბოდიშის მოხდის სურვილს. როგორ შეიძლება ისწავლოს ბოდიშის მოხდა, თუ ამას პრაქტიკაში არ განახორციელებს?“

„გეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვები გულწრფელები იყვნენ მაშინ, როდესაც პატიებას ითხოვენ. ჩვენ სხვადასხვა სტრატეგიებით ვასწავლით ბავშვებს სოციალურ უნარებს, რომლებიც მათ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაში დაეხმარებათ. მნიშვნელოვანია, არასწორად არ გამოიყენონ სიტყვები, რომელიც არ არის კავშირში იმ ემოციასთან, რასაც განიცდიან. ამ დილით მინდოდა, მარიამს გაეცნობიერებინა, რომ მისმა საქციელმა ლიზა გაანანყენა და შეაშინა. მსურდა, შეეხედა ლიზასთვის, დაენახა, რომ ის მონყენილია და ცრემლები მოსდის. თავდაპირველად, მარიამი არ განიცდიდა სინდისის ქენჯნას თავისი საქციელის გამო და ზუსტად არც ვიცი, რა ემოცია ჰქონდა მას იმ მომენტისთვის. მაგრამ ვიცოდი, რომ შემეძლო მეთხოვა, აელო მცირედი პასუხისმგებლობა თავის საქციელზე. ამიტომ, დავაფიქრე იმაზე, თუ რა გაეკეთებინა ისეთი, რომ ლიზას თავი უკეთ ეგრძნო. მანაც შესთავაზა ლიზას სხვა კუბურა. სხვა სიტუაციაში, შეიძლება სხვაგვარად დაეხმაროს: ნატკენის შემთხვევაში, გადახვევა შესთავაზოს, ყინული დაადოს. თუ თოჯინა გაუტყდება, დაეხმაროს შეკეთებაში და სხვა.“

„ძალიან კარგია, რომ ბავშვები პასუხისმგებლობას სწავლობენ, მაგრამ პატიების განცდას რაც ეხება, მაგაზე რას იტყვით? როგორ ისწავლიან ბოდიშის მოხდას? თუ არავინ იტყვის ამ სიტყვებს?“

„რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზეც ვმუშაობთ“- ღიმილით პასუხობს დალი- „კარგია, რომ ეს საკითხი ისევ წამოჭერთ. ისევ იმაზე თუ დავფიქრდებით, რაც დღეს დილით მოხდა, ზუსტად ვიცი, რომ მარიამი არ წუხდა თავისი საქციელის გამო, ანუ იმის გამო, რომ ლიზას აწყენინა, მაგრამ მინდოდა დაენახა, რომ მე ვწუხვარ. ამიტომაც გავაკეთე ქცევის მოდელირება. ვუთხარი, რომ ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ ლიზას ეტკინა. ვთქვი ეს მნიშვნელოვანი სიტყვები და შევეცადე, სახეზეც დამტყობოდა, რამდენად შევწუხდი ლიზას გამო. ბავშვებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ ჩვენზე, ჩვენს საქციელზე დაკვირვებით. ლიზას ბევრი რამ აქვს ნასწავლი თქვენგან, მაგალითად, როგორ იყოს თბილი სხვა ბავშვებთან მიმართებაში. მე ისიც მსურდა, რომ ბავშვებს არა მხოლოდ ლიზას შიში და წყენა დაენახათ, არამედ ისიც, რომ მარიამიც შეწუხებულია. მინდოდა ბავშვებს გაეგოთ, რომ წუხილის შემთხვევაში, შეუძლიათ პოზიტიური სტრატეგიების გამოყენება. მაგალითად, იმის ჩვენება, თუ სად დევს კუბურები, რომ ყველამ კარგად და უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. მარიამმა უსაფრთხოდ იგრძნო თავი, რადგან მისი კოშკის აშენებას საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ლიზამ კი იმიტომ, რომ მარიამმა ფეხის დარტყმის ნაცვლად- კუბურა მიანოდა.“

„მაგრამ ლიზას არ უნდოდა მარიამის კუბურების აღება. იქ ბევრი ელაგა, ლიზას კი მხოლოდ ერთის აღება სურდა. მარიამი ამის გამო არ უნდა გალიზიანებულიყო“- ამბობს სოფო.

„დიახ, ეს მეც ვიცი, მაგრამ მარიამმა არ იცოდა, რომ ლიზას მხოლოდ ერთი კუბურა უნდოდა. ეს სწორედ ის უნარებია, რაზეც ბავშვებთან ვმუშაობთ: გაიგონ, რა სურთ სხვა ადამიანებს, გაერკვნენ სხვის და საკუთარ ემოციებში და ამ ცოდნით შეძლონ სხვების ქმედებების განსაზღვრა. ეს ის უნარებია, რაც ბავშვებმა უნდა ისწავლონ, რათა დროთა განმავლობაში სხვისი პერსპექტივის დანახვაც შეძლონ. როდესაც ეს უნარები განვითარდება, მაშინ ისინი შეძლებენ, უფრო წარმატებულები იყვნენ თავიანთი ემოციების პოზიტიურად მართვაში. და

საკუთარი ემოციები აღარ იქნება მათთვის დამთრგუნველი. ამ ფუნდამენტური უნარებით, ბავშვები იწყებენ სხვების გაგებას. როდესაც ასეთი შემთხვევები ხდება ჯგუფში, მე ვცდილობ, ემოციების იდენტიფიცირება მოვახდინო, ანუ გავაგებინო, რომ სიტყვა „ბოდიში“ დაკავშირებულია შინაგან შეგრძნებასთან, გრძნობასთან, ემოციასთან.“

„ანუ, თუ თქვენ შეატყობთ, რომ ბავშვი სინდისის ქენჯნას გამოხატავს, მაშინ სთხოვთ, რომ მოიხადოს ბოდიში?“- ეკითხება სოფო გაბრწყინებული თვალებით.

„დიახ“- ღიმილით პასუხობს დალი. „თუ ბავშვი გამოიყურება ისე, თითქოს განიცდის თავის საქციელს, რომლითაც სხვას ატკინა ან აწყენინა, მე ვეტყვი: „მგონი ძალიან განიცდი იმას, რომ გიოს ეტკინა. ან ვეტყვი, ხომ არ გინდა უთხრა გიოს, რომ განიცდი, მას რომ ატკინე? ამის შემდეგ მივცემ ბავშვს საშუალებას, თვითონ გადანწყვიტოს, უთხრას ბოდიში, თუ- არა. ასევე მივცემ საშუალებას, აილოს პასუხისმგებლობა თავის საქციელზე და ვკითხავ: რა შეგიძლია გააკეთო იმისთვის, რომ გიომ თავი უკეთ იგრძნოს?“

„გასაგებია“, ამბობს სოფო და საათს უყურებს. „ახლა უნდა ნავიდე, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მიხარია,, ამ თემაზე საუბრის საშუალება რომ მოგვეცა. ძალიან დამაფიქრეთ.“

„მეც მოხარული ვარ, კითხვები რომ დამისვით. ეს მე ფიქრში მეხმარება, თუ როგორ განვაავითარო ბავშვებში ყველა ის უნარი, რაც მათ სჭირდებათ.“- ამბობს დალი და სოფოსთან ერთად ბავშვების ოთახში ბრუნდება. „აუცილებლად გამაგებინეთ, კიდევ თუ გექნებათ შეკითხვები ბავშვების ემოციებისა და ბოდიშის მოხდასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, ამ თემით სხვა მშობლებიც დაინტერესდებიან?“ სოფო დასტურის ნიშნად თავს უქნევს დალის. ამასობაში ლიზა დედის მუხლებს ეხვევა. „ რამდენიმე მშობლის აზრსაც გავიგებ და ამ თემების განსახილველად თარიღს დავთქვავ.“- ამბობს დალი ღიმილით და თბილად ემშვიდობება დედა-შვილს. „მზად ხარ, დედასთან ერთად ნახვიდე სახლში, ლიზა?“- ეკითხება დალი ლიზას და მის სიმაღლეზე იხრება, რომ დასამშვიდობებლად ჩაეხუტოს. „ნახე, დედას შენი ფერადი ნახატი აქვს, დღეს რომ დახატე. აჩვენე ყველა ფერი, რომელიც გამოიყენე“. ლიზა და სოფო თავის ნივთებს იღებენ და კარისკენ მიდიან. „კარგად იყავით“.-საბოლოოდ ემშვიდობება დალი- „ხვალ ისევ გნახავთ!“.

14. სარა⁴¹

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა

სარას უყვარს თავისი სამუშაო და სჯერა, რომ შეუძლია ბავშვების ცხოვრება უკეთესი გახადოს. სარა დიდი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით უძღვება თავის ჯგუფს და ამაყობს ამით.

რობერტი სამი წლის იყო. სარა მასზე რამდენიმე თვე ზრუნავდა და მისი ქცევით ძალიან შეწუხებული იყო. რობერტი მუდამ კონფლიქტში იყო სხვა ბავშვებთან, არ უსმენდა სარას და არ ასრულებდა მის არც ერთ მითითებას. სარა დაინტერესდა, რობერტის ასეთი ქცევა რაიმე პრობლემით ხომ არ იყო გამოწვეული. ის მას ყურადღებით აკვირდებოდა და ბავშვის საქციელის შესახებ ჩანაწერებს აწარმოებდა.

სარამ ივარაუდა, რომ რობერტს კარგად არ ესმოდა. მან შენიშნა, რომ ყოველ დღით, როცა ბავშვები გაიგონებდნენ ნაგვის მანქანის ხმას და ფანჯარასთან მიცვივდებოდნენ ხოლმე, რობერტი ან არ რეაგირებდა, ან ყველაზე ბოლოს მიიღებდა ფანჯარასთან. ერთ დღეს სარა ჩუმად დადგა რობერტის უკან და ხმადაბლა უთხრა: „რობერტ, ლანჩის დროა“. სხვა ბავშვებს სწრაფი რეაქცია ჰქონდათ, რობერტს კი თავიც არ აუღია თავისი თავსატეხიდან.

სარამ რამდენჯერმე აცნობა რობერტის მშობლებს ბავშვის პრობლემის შესახებ. ერთხელ ჰკითხა: „მე არა ვარ ამის ექსპერტი, მაგრამ მაინტერესებს, აქვს თუ არა რობერტს სმენითი პრობლემები. ოდესმე შეუმონმებია თუ არა პედიატრს მისი სმენა?“. რობერტის მამამ უპასუხა: „ეს სასაცილოა, მას ესმის რისი გაგონებაც უნდა, მაგრამ, უფრო ხშირად, იგნორირებას არჩევს“; დედამ კი თქვა: „მის ექიმს არასდროს შეუნიშნავს ეს პრობლემა. ჩემი აზრით, ყველაფერი კარგადაა“.

სარამ გააგრძელა რობერტთან მუშაობა, მაგრამ არ ასვენებდა ფიქრი, რომ მართალი არ იყო რობერტთან, რომელიც სხვა მხრივ ძალიან გონებაგახსნილი ბავშვი იყო. მან შეამჩნია, რომ ბავშვს გაუფუჭდა ურთიერთობა მშობლებთან და ვეღარც უფროსებთან და ვეღარც ბავშვებთან ურთიერთობას ვეღარ აწყობდა. ბოლოს გადანწყვიტა, შეხვედროდა და ცალკე დალაპარაკებოდა რობერტის მშობლებს.

სარამ კეთილმოსურნე ტონით და თავაზიანად უთხრა მათ: „ვიცი, რომ ყველაფერს აკეთებთ რობერტისთვის, მაგრამ მე ისე უნდა მოვიქცე, რომ მართალი ვიყო რობერტთან და სხვა ბავშვებთანაც. ძალიან შემეყვარდა რობერტი. ის შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვია, მაგრამ ხშირად მის ქცევას ვერ ვაკონტროლებ და არ ვიცი, რა მოვახერხო. იმაზე ვნერვიულობ, რომ შეიძლება არ ესმის და მაინტერესებს, იქნებ ეს არის მისი პრობლემა. ვფიქრობ, რომ უნდა შევამოწმოთ, თუნდაც იმისთვის, რომ სმენის პრობლემა გამოვრიცხოთ“.

რობერტის მამამ დაუფიქრებლად წამოიძახა: „კარგი, ჩვენ ვიპოვით სხვას, ვინც მასზე იზრუნებს, იმიტომ, რომ არ ვაპირებთ იმ პრობლემის ძიებას, რაც რეალურად არ არსებობს“. სარამ უპასუხა: „გასაგებია, უფლება გაქვთ,

4 ¹ შემთხვევა მომზადებულია ბარბარა კაიზერის ნიგნიდან "რთული ქცევა პატარა ბავშვებში - გაგება, პრევენცია, ეფექტური მართვა", 2007 წ.

გააკეთოთ ის, რასაც თვლით, რომ საუკეთესოა თქვენი შვილისთვის. მეც ასე მოვიქცეოდი. მინდა, რომ კარგად გამიგოთ, პრობლემები მაქვს რობერტთან და დამნაშავედ ვიგრძნობ თავს, თუ არ გავაკეთებ იმას, რასაც საჭიროდ ვთვლი მისთვისაც და სხვა ბავშვებისთვისაც. პატივს ვცემ თქვენს გადაწყვეტილებას, ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაგეხმაროთ რობერტისთვის სხვა ჯგუფის ან ბალის შერჩევაში. თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ თავი კარგად ვიგრძნოთ“.

რობერტის დედას არ სურდა რობერტის გადაყვანა ახალ ბაღში. მას მოსწონდა სარა, მისი ურთიერთობა ბავშვებთან. რობერტის დედას რამდენჯერმე ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი როგორც ბავშვის ექიმთან, ასევე თავის ქმართან და საბოლოოდ დაარწმუნა ქმარი, რომ სპეციალურ კლინიკაში რობერტის სმენა შეემონებინათ.

რამდენიმე კვირის შემდეგ რობერტის მამა მივიდა სარასთან და უთხრა: „დარწმუნებული ვიყავი, რომ რობერტს სმენის პრობლემა არ ჰქონდა და როცა თქვენ სმენის შემონმებას ითხოვდით, ძალიან გაგანაწყენეთ. ვერ ვიჯერებ, ექიმმა მითხრა, რომ მას სამოცდათხუთმეტი პროცენტით აქვს სმენა დაქვეითებული ერთ ყურში და მეორეშიც სუსტად ესმის. მე ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი“.

სარამ უპასუხა: „მე შეიძლება ერთნაირი ალბათობით ვყოფილიყავი მართალიც და მტყუანიც, მე ხომ არ ვარ სმენის ექსპერტი, მაგრამ მე უფრო მეტი ვიცი. ვიცი, რომ როცა ბავშვს ასეთი რთული პერიოდი უდგება, ამას თავისი მიზეზები აქვს. დიდი მადლობა, რომ ასე გულისხმიერად მოექცეცით ჩემს კითხვებსა და სადარდებელს. ვფიქრობ, რომ ჩვენ, ყველა ერთად, გაცილებით ეფექტურად შევძლებთ, დავეხმაროთ რობერტს მიზნების მიღწევაში“.

რობერტის მამა მიბრუნდა, გასვლამდე რობერტს თავზე ხელი გადაუსვა და წყნარად წარმოთქვა: „გმადლობ, ღმერთო, სარა რომ გამომიგზავნე!“